საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის წინაშე ეროვნულ წმინდანთა უდიდესი დამსახურების გამო, მათ გამოსახულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და გვხვდება ქრისტიანული ხელოვნების თითქმის ყველა დარგში (ქვაზე კვეთილობა, კედლის მხატვრობა, ხატწერა, ხელნაწერთა დასურათება, ნაქარგობა). ცალკე მდგარი, სხვა წმინდანთან ერთად გამოსახული, სიუჟეტურ სცენებში ან მათი „ცხორების“ ამსახველ ციკლებში ჩართული ამა თუ იმ წმინდანის გამოსახულებები სხვადასხვა მასალითა და ტექნიკითაა შესრულებული და ხასიათდება კონკრეტული ეპოქებისთვის ნიშანდობლივი იკონოგრაფიული და სტილური ნიშნებით.

მათ გალერეაში განსაკუთრებული სიმრავლითა და იკონოგრაფიული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს გამოსახულებები. ისინი ცხადია არასრულადაა მოღწეული, მაგრამ შემორჩენილი მასალის მიხედვითაც ჩანს, რომ მას გამოსახავდნენ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთაც - ქართველთა მოღვაწეობის უცხოურ კერებში (ათონის მთა, სომხეთი). ამდენად, მოციქულთასწორი ქალწულის გამოსახულებები ერთგვარ გეოგრაფიულ-კულტურულ მარკერებად გვევლინება ქვეყნის პოლიტიკური ისტორიისთვის.

ამ გამოსახულებებიდან უადრესი თარიღდება X ს-ის მეორე ნახევრით (ოშკის ტაძრის ბარელიეფი), იმ დროით, როცა იწყებოდა ქართული მიწების გაერთიანება ტაოელი

Images of Saint Nino in the Medieval Georgian Art

Based on the special merit of the national saints before the state and the church, their images were given a significant place in the Medieval art of Georgia. They have been preserved in almost all kinds of art (stone carving, wall painting, icon painting, manuscript illumination, embroidery) in fairly large numbers, despite the fact that many monuments have not reached us due to complex historical circumstances.

Among the gallery of local saints, a special place is occupied by the image of St Nino, enlighteners of Georgia. They have been preserved not only in Georgia itself, but also beyond its borders (Mount Athos, Armenia). The general overview shows that they are certain geographical-cultural markers for the political history of the country.

The earliest depiction of her, dated to the second half of the 10th century, until recently, was in the Oshki church in Tao-Klarjeti (present-day Turkey). This is the time of the beginning of the process of unification of the Georgian lands under the leadership of the Bagrationi dynasty and, on the other hand, the period, when the Georgian written sources already had different editions of St Nino's Life, which were based themselves on an unpreserved biography of the saint, known already in the 5th -6th centuries.

After stone icon from Oshki church, her images in different iconographic versions (standing alone, paired with another saint, in narrative scenes, etc.) appear in Georgian murals of the 11th -14th centuries, in manuscripts of the 15th -18th centuries, in icon painting and artistic embroidery of the 17th-18th centuries.

ბაგრატიონების მეთაურობით და უკვე არსებობდა მისი „ცხო-
რების“ ამსახველი წერილობითი ძეგლების სხვადასხვა რე-
დაქციები, რომელთაც საფუძვლად ედოთ მისი ადრეული,
მაგრამ არ შემონახული V-VI სს-ის ხელნაწერები.

ოშკის ქვის ხატს ქრონოლოგიურად მოსდევს XI-XIV სს-
ის კედლის მხატვრობის ნიმუშები, XV-XVIII სს-ის ხელნა-
წერთა მინიატურები, XVII-XVIII სს-ის ფერწერული ხატები
და ამავე, გვიან შუა საუკუნეების პერიოდის ნაქარგი გამო-
სახულებები. მათგან ზოგი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი,
ნაკლებადაა ცნობილი ან სრულიად უცხოა სამეცნიერო
საზოგადოებისთვის.

მოხსენებაში ყურადღება სწორედ ამ ბოლო, ნაკლებად
ცნობილ და დღემდე უცნობ ხელოვნების ნიმუშებზეა გამახ-
ვილებული, თუმცა, აქვე უკვე ცნობილი მასალის შესახებაც
არის გამოთქმული ახალი მოსაზრებები.

One part of these images is already well known in scientific literature, while the other part consists of little-known or completely unknown monuments.

In the report, special attention will be paid to the images of the last category, although here also new considerations are presented regarding St Nino's well-known images.

Грузинских письменных источниках уже имелись разные редакции Жития равноапостольной святой.

გიორგი გაგოშიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
g_gagoshidze@yahoo.com

ეპისკოპოს ილარიონ ყანჩაელის აღმშენებლობა სამთავისის ეპარქიაში

(XI საუკუნის პირველი ნახევარი.)

XI საუკუნის პირველ ნახევარში სამთავისის ეპარქიაში დიდი სამშენებლო სამუშაო გაჩაღდა. ეპარქიის საეპისკოპოსო საყდარი - VI-VII საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა 1030 წელს შეიცვალა ჩაწერილი ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესიით. სამთავისის სამნავიანი ბაზილიკა კონსტრუქციულად ისე იყო დასუსტებული, გადაწყდა - ახალი ეკლესია ძველზე კი არ დაემყარებინათ, როგორც ეს მიღებული იყო (მაგ. სვეტიცხოველი, სამთავრო, ბაგრატი, ნიქოზი და სხვ.), არამედ ბაზილიკის გვერდით, უშუალოდ ჩრდილოეთითდაედგათ. ძველი, დაზიანებული ბაზილიკა დაშალეს, მიწით მოასწორეს და მის ჩრდილოეთით, მიჯრით, გუმბათიანი ეკლესია ააშენეს. ეს დიდი საქმე სამთავნელმა ეპისკოპოსმა ილარიონ ყანჩაელმა ითავა. სამთავისის გუმბათიანი ეკლესია გეგმის გადაწყვეტით და საფასადო დეკორით სამაგალითო გახდა მომდევნო ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის. სამთავისის ეკლესიის წარწერებმა შემოგვინახა ცნობა - ეპისკოპოს ილარიონს 1050 წელს სამთავისის მონასტრისთვის აუგია მარანი და საწნახელი.

სამთავისის საეპისკოპოსო ტაძრის გარდა ილარიონ ყანჩაელმა იზრუნა ეპარქიის სხვა სავანეებზეც. ლაპიდარული წარწერა გვაუწყებს, რომ მას 1032 წელს აუგია სამთავისის საყდრის მეტოქიონი - იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი აშურიანში (თეთრახევის მონასტერი). იგოეთის სამების ეკლესიის (IX-X სს-ის მიჯნა) კრამიტის ასომთავრული წარწერით („ქრისტე შეიწყალე

*Building Activities of Bishop Ilarion Kanchaeli in Samtavi-
si Eparchy
(First half of the 11th century)*

Extensive construction works took place in Samtavisi Eparchy in the first half of the eleventh century. The episcopal church of the eparchy – a three-nave basilica of the sixth-seventh centuries was replaced by a domed church of the inscribed cross type in 1030. The three-nave basilica was so weakened in constructional terms that it was decided to erect a new church next to the basilica, north of it, instead of establishing one upon the old structure, which was a common practice at the time (e.g., Svetitskhoveli, Samtavro, Bagrati, Nikozi, etc.). The original damaged basilica was demolished, the ground was levelled and a domed church was built north of it. This important pursuit was initiated by Bishop Ilarion Kanchaeli of Samtavisi. By rendering of the plan and the façade décor, the domed church of Samtavisi became an example for Georgian architecture of the following epoch. The inscriptions of Samtavisi church preserved an account, according to which Bishop Ilarion had a wine cellar and a wine press built for the monastery of Samtavisi in 1050.

Apart from the episcopal church of Samtavisi, Ilarion Kanchaeli took care of other monasteries of the eparchy as well. We find out from a lapidary inscription that he had a metochion of Samtavisi Church - monastery of John the Baptist (Tetrakhevi Monastery) - built in Ashuriani in 1032. An asomtavruli (capital) inscription on the tile of the ninth-tenth- century church of the Trinity in Igoeti (“Christ, have mercy on Bishop Ilarion of Samtavisi, son of Vache Kanchaeli) reads that Bishop Ilarion had the damaged roof of the old church of Igoeti replaced by a new one.

ილარიონ სამთავნელი ეპისკოპოსი, ძე ვაჩე ყანჩაელისა“), ვიგებთ, რომ ეპისკოპოს ილარიონს იგოეთის ძველი ეკლესიის დაზიანებული გადახურვა ახლით შეუცვლია.

ილარიონ სამთავნელის სამშენებლო საქმიანობას აფინანსებდა მისი მამა, ადგილობრივი ფეოდალი ვაჩე ყანჩაელი, რომელიც ილარიონის წარწერებში იხსენიება.

სამთავისის ეპისკოპოსი ილარიონი გარდაიცვალა 1056 წელს და დაკრძალეს სამთავისის ტაძრის სამხრეთით, სპეციალურად ეპისკოპოსის სამარხავ ეკვდერად აგებულ მინაშენში.

Building activities carried out by Ilarion of Samtavisi were financed by his father, a local feudal lord Vache Kanchaeli, who is mentioned in Ilarion's inscriptions.

Bishop Ilarion of Samtavisi died in 1056 and was buried in an annex specially built as an ossuary south of the church of Samtavisi.

ნანა გამყრელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

nanukagamkrelidze07@gmail.com

„ფრეიმი და ინტერკულტურული კომუნიკაცია“

საზოგადოების განვითარების მანძილზე მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, ილექება ადამიანთა გამოცდილებაში, მუდმივად რეგულირდება ამ გამოცდილების ფორმალური, სტრუქტურული და ფუნქციური ნიუანსები. აღნიშნული გულისხმობს მის განახლებას და შინაარსობრივად ახლებურ გადააზრებას.

ერის წიაღში მიმდინარე მოვლენათა კულტუროლოგიურ ასპექტში განხილვა მაინტეგრირებელი პროცესია, რადგან „კულტურა არა მარტო ჩვენს გარშემო არსებული ადამიანური სინამდვილის, არამედ ყოველი ჩვენგანის შინაგანი სულიერი განხორციელება“ [1]

კულტურა, ეროვნული თვითრეფლექსიით დეტერმინირებული სიმბოლოები, სტერეოტიპული მოდელები, ინფორმაციის გაზიარების პერსპექტივის, კონტექსტუალური მოლოდინის და ქცევის ნორმების სისტემური მთლიანობაა. იგი სრულად ასახავს ერის თვითმყოფადობას, ისტორიას, ტრადიციას და ღირებულებებს. ინტერკულტურული კომუნიკაციის მიზანია ადრესატისათვის მკაფიოდ სტრუქტურირებული ცოდნის გაზიარება. ეს პროცესი ენის სემიოტიკურ ასპექტზე ორიენტირებული ვერბალური და არავერბალური კოდების კრებულია. იგი ადრესანტის ინტენციის შესაბამისად, ექსტრა - და ინტერლინგვური ფაქტორების გათვალისწინებით ადრესატის მიერ უნდა იყოს დეკოდირებული.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციის პროცესი აფერხებს ერის კულტურის მულტიფროფილური განვითარების ხარისხს, რასაც შედეგად

„Frame and Intercultural Communication”

During the development of society, the important events are reflected in people’s experience, the formal, structural and functional nuances of this experience are constantly regulated. This means updating it and rethinking its content.

Discussing the events taking place in the heart of the nation in the cultural aspect is an integrative process, because “culture is not only the human reality around us, but also the inner spiritual realization of each of us.”[1]

Culture is the systemic totality of symbols, stereotypical models, information-sharing perspectives, contextual expectations, and behavioral norms determined by national self-reflection. It fully reflects the nation’s identity, history, tradition and values.

The goal of intercultural communication is to share clearly structured knowledge with the addressee. This process is a collection of verbal and non-verbal codes focused on the semiotic aspect of language. It should be decoded by the addressee in accordance with the intention of the addressee, taking into account extra- and interlinguistic factors.

In modern linguistics, there is an opinion that the process of globalization hinders the quality of the multicultural development of the nation’s culture, which may result in misinterpretation of information.

Obviously, a person compares any new information with the old, accumulated knowledge in his consciousness.

ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია შეიძლება მოჰყვეს.

ცხადია, ადამიანი ნებისმიერ ახალ ინფორმაციას მის ცნობიერებაში არსებულ ძველ, აკუმულირებულ ცოდნას ადარებს.

ერის კულტურაზე დაფუძნებული ცოდნა აისბერგივითაა. იგი შედგება ზედაპირული და სიღრმისეული პლასტებისაგან. ინტერკულტურული კომუნიკაცია ზეგავლენას ახდენს, ჩვენს ცნობიერებაში არსებულ ზედაპირულ შრეებზე და სწორედ ამ ფაქტით აიხსნება ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში შექმნილი ვერბალური ბარიერები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lebanidze G. Kommunikative Linguistik ” Sprache und Kultur” Tbilissi 2004

Knowledge based on a nation's culture is like an iceberg. It consists of superficial and deep plates. Intercultural communication affects the superficial layers of our consciousness, and this fact explains the verbal barriers created in the process of intercultural communication.

used literature:

1. Lebanidze G. Kommunikative Linguistik " Sprache und Kultur" Tbilissi 2004

ნანა გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nana.gelashvili@tsu.ge

nanagelashvili12@yahoo.com

ქართლის მეფის - სიმონ I-ის ალამუთის ციხიდან განთავისუფლების საკითხისათვის

ქართლის მეფე სიმონ I 1569 წელს ფარცხისთან, ყიზილ-ბაშების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ტყვედ ჩავარდა, რის შემდეგაც, ის შაჰ თამაზს მიჰგვარეს ირანში. შაჰმა დიდი პატივით მიიღო ქართლის მეფე, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, ისლამის მიუღებლობისთვის, ის ირანის მიუვალ ციხეში - ალამუთში გამოკეტა. სიმონმა ტყვეობაში რვა წელი გაატარა, ქართლს კი იმ ხნის მანძილზე მისი ძმა - გამუსლიმებული დაუდ-ხანი მართავდა. ბედის ირონიით, სიმონთან ერთად, ციხეში იმყოფებოდა შაჰ თამაზის უფროსი ვაჟი - ისმაილი, რომელიც მამამისმა ჯერ კიდევ 1557 წელს დაატყვევა, უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო. სხვადასხვა წერილობით წყაროთა გადმოცემით, ქართველ მეფესა და ირანელ უფლისწულს შორის ციხეში ისეთი გულთბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რომ ისმაილმა ციხიდან განთავისუფლებისა და სეფიანთა სამეფო ტახტის დაკავებისთანავე, თავისი ტყვეობის მეგობარი პატიმრობიდან გაანთავისუფლა. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, შაჰ ისმაილ II-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულმა მოჰამმად ხოდაბანდემ სიმონი საქართველოში გაისტუმრა. როგორც ისტორიიდან ცნობილია, 1578 წლის შემოდგომაზე სამშობლოში დაბრუნებული სიმონ მეფე აქტიურად ჩაერთო ახლად გაჩაღებულ ირან-ოსმალეთის ომში.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და დაზუსტებულია ზემოთ ხსენებული ისტორიული მოვლენების ცალკეული დეტალები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულადაა გაშუქებული სხვადასხვა წერილობით წყაროებში. მათი მონაცემების ურთიერთ-

Nana Gelashvili
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Nana.gelashvili@tsu.ge
nanagelashvili12@yahoo.com

*For the release of King of Kartli – Simon I
from Alamut prison*

King of Kartli Simon I was captured in 1569 near the Partskhisi, during the battle against Qizilbashs, after which he was sent to Shah Tahmasp in Iran. The Shah received King of Kartli with great honor, but after some time, because of his non-acceptance of Islam, he was locked in a remote prison of Iran – Alamut. Simon spent eight years in captivity, and at that time Kartli was ruled by his brother - converted to Islam, Daud Khan. Ironically, the eldest son of Shah Tahmasp - Ismail, was imprisoned with Simon, who was captured by his father in 1557, due to unreasonable jealousy. According to various written sources, such a cordial relationship was established in the prison between the Georgian king and the Iranian prince, that Ismail released his captive friend from prison immediately after being released from prison and seizing the throne of the Safavids. A little later, after the death of Shah Ismail II, Mohammad Khodabandeh, who reigned, sent Simon to Georgia. As is known from history, in autumn of 1578, King Simon returned to his homeland and was actively involved in the Iran-Ottoman war.

Individual details of above-mentioned historical events, which are covered differently in written sources, are discussed and specified in the presented work. Based on the mutual comparison and critical analysis of their data, as well as taking into account the contemporaneity of the events developed in the specific historical period under consideration, appropriate conclusions are drawn in the paper. In particular, King Simon was released from prison by Shah Ismail II, the

შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ასევე განხილულ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში განვითარებული მოვლენების თანადროულობის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოტანილია სათანადო დასკვნები. კერძოდ, სიმონ მეფე პატიმრობიდან გაანთავისუფლა სწორედ შაჰ ისმაილ II-მ, ამის მიზეზი ქართლის მეფის მიმართ მისი გულთბილი დამოკიდებულება იყო. 1577 წელს მოულოდნელი გარდაცვალების გამო, მან სიმონის სამშობლოში გასტუმრება ვეღარ მოასწრო, ეს ირანის მომდევნო შაჰმა - მოჰამად ხოდაბანდემ განახორციელა. ამჯერად სიმონის მიმართ გამოჩენილი გულმოწყალება - საქართველოში გასტუმრება და მისთვის ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება, ირანის პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული, კერძოდ, მას საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრილ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა.

reason for this was his warm attitude towards the king of Kartli. Due to his sudden death in 1577, he was unable to send Simon to his homeland. This was already done by the next shah of Iran - Mohammad Khodabandeh. This time, the mercy shown to Simon - letting him go to Georgia and returning the royal throne of Kartli to him, was due to the political interests of Iran, in particular, he was responsible for the fight against the Ottomans, who invaded the territory of Georgia.

მარიამ გველესიანი

საქართველოს უნივერსიტეტი

mar.gvelesiani@ug.edu.ge

დასავლეთ ევროპის პილიგრიმულ წყაროებში ქართველთა „სარტყლის ქრისტიანებად“ მოხსენიების საკითხისათვის

შუა საუკუნეების დასავლურენოვან წერილობით წყაროებში ხსენებულნი არიან „სარტყლის ქრისტიანები“ (*cristians de la centura*), რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში განიმარტება, როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანთა ცალკეული ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების აღმნიშვნელი სახელი. V-XIX საუკუნეებში წმინდა მიწაზე მყოფ უცხოელ პილიგრიმთა ჩანაწერებში ამ ჯგუფებთან ერთად, ქართველებიც „სარტყლის ქრისტიანებად“ არიან მოხსენიებულნი. მკვლევარნი ქართველთა ამ სახელდებას შინაარსობრივად უკავშირებენ ღვთისმშობლის სარტყელს, რამდენადაც მისი ერთი ნაწილი, როგორც წმინდა რელიკვია, დავანებულია საქართველოში - კერძოდ, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულ, „ვლადქერნის ღვთისმშობლის ხატად“ წოდებულ, მოოქრული ვერცხლის სამკარედ ხატზე.

მართალია, „სარტყლის ქრისტიანები“ შუა საუკუნეების თითქმის ყველაენოვან ევროპულ წყაროებში მოიხსენებიან, ამ სახელის განსაზღვრება მაინც გარკვეულ სირთულეებს ქმნის: არც წყაროებსა და არც მკვლევართა შორის არაა თანხვედრა ამ სხელწოდების შინაარსობრივ მხარესთან მიმართებით. ამის მიზეზია ის, რომ რამდენადაც შუა საუკუნეების ევროპელი მომლოცველნი თუ მოგზაურნი არცთუ კარგად, ან სულ არ იცნობდნენ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა აღმსარებლობისა თუ ცხოვრების წესს, ეს გარემოება მათი აღქმისა თუ ხედვის ცდომილებებს განაპირობებს. ამიტომ ძნელდება ამ სახელის მატარებელი ეთნიკური თუ რელიგიური დაჯგუფებების ამა თუ იმ ნიშ-

On the Issue of Referring to Georgians as “Christians of the Girdle” in Western European Pilgrimage Textual Sources

In Western European written sources of the Middle Ages, “Christians of the Girdle” (cristians de la

centura) is mentioned, which is interpreted in scholarly literature as a name denoting separate ethno-confessional groups of Eastern Christians. In the records of foreign pilgrims who visited the Holy Land between the 5th-19th centuries, along with these groups, Georgians are also referred to as “Christians of the Girdle”. Scholars meaningfully associate this name of the Georgians with the girdle of the Mother of God, since one part of it was entrusted to Georgia as a holy relic. It is enclosed in the three-panel gilded silver icon, called “The Blachernae Icon of the Mother of God” and housed in the Shalva Amiranashvili Fine Arts Museum in Tbilisi.

Although the “Christians of the Girdle” are mentioned in almost all European sources of the Middle Ages, this name presents problems of interpretation: neither sources nor researchers agree on the definition of it. The reason for this is that, since the European pilgrims and travelers of the Middle Ages had little or no knowledge of the religious confessions and lifestyle of Christians in the Middle East, this circumstance leads to errors in their perception and vision of surrounding reality. Therefore, it is difficult to identify the ethnic or religious groups bearing this name on one or another basis or to clarify several issues.

In the records of foreign pilgrims, “Christians of the Girdle” are mentioned briefly. Christians with this name were distinguished from

ნით იდენტიფიკაცია ან რიგ საკითხთა გარკვევა.

უცხოელ პილიგრიმთა ჩანაწერებში გაკვრიტაა მოხსენიებული „სარტყლის ქრისტიანები“. ამ სახელის მქონე ქრისტიანები სხვა სარწმუნოების (მუსულმანები, ებრაელები) მქონეთაგან განირჩეოდნენ სამოსის აუცილებელი ატრიბუტების - თავსაბურავისა და სარტყლის განსხვავებული ფერით. რამდენადაც პილიგრიმთა ჩანაწერებში ხშირად მეორდება საქართველოსა და ქართველების (Georgia, Georgians) წმინდა გიორგის სახელიდან წარმომავლობა, ზოგიერთი მომლოცველი ქართველების დაკავშირებას სარტყლის ქრისტიანებთან ახდენს სწორედ ამ ნიშნით - წმ. გიორგის სარტყლით, რომლითაც წმინდანმა შეკრა შემუსრული გველეშაპი. მართალია, სამეცნიერო მიმოქცევაში უმართებულოდაა მიჩნეული „სარტყლის ქრისტიანობის“ წმინდა გიორგის სარტყელთან დაკავშირება, ასევე სათუო უნდა იყოს მისი მიმართება ღვთისმშობლის სარტყლის ფლობასთან: სხვადასხვა ფაქტობრივ მონაცემთა გარდა, გასათვალისწინებელია უპირველესად, ის გარემოება, რომ ამ სახელით მომლოცველნი მოიხსენიებენ იერუსალიმში მყოფ ქართველებს, რომელთა გარდა, „სარტყლის ქრისტიანების“ მათეულ ჩამონათვალში არაერთი ეთნიკური და კონფესიური ჯგუფია, რომელთაც ამ წმინდა რელიკვიის ფლობასთან არანაირი კავშირი არ აქვთ.

representatives of other faiths (Muslims, Jews) by the necessary attributes of clothing - a different color of headgear and belt. Since the origin of Georgia and Georgians on behalf of St. George is often repeated in the records of pilgrims, some pilgrims associate Georgians with the Christians of the Girdle precisely on this basis - St. George's girdle, with which the saint tied the coiled dragon. Although the association of the "Christians of the Girdle" with St. George's attribute has been taken by scholars as a misleading view, the same should be said in terms of the possession of the girdle of the Virgin Mary; In addition to other pieces of evidence, it is necessary to take into account, first of all, that the pilgrims call by this name the Georgians in Jerusalem, in addition to which there are several ethnic and confessional groups listed as "Christians of the Girdle" that have nothing to do with the possession of this holy relic.

ლილიანა გოგიჩაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
liliangogichaishvili@gmail.com

*იდენტობის კრიზისი ტონი მორისონის ნაწარმოებებში
„ყველაზე ცისფერი თვალი“ და „ქებათა ქება
სოლომონისა“*

ტონი მორისონი პირველი აფრო-ამერიკელი ქალი ავტორია, რომელმაც 1993 წელს ნობელის პრემია მიიღო. მისი ლიტერატურის მრავალმხრიანობა, თემატიკის მრავალფეროვნება, ნარატივის სტრუქტურა მოგვაგონებს ვირჯინია ვულფის, ჯეიმს ჯოისის, უილიამ ფოლკნერის შემოქმედებას. მოდერნისტულ სიდრმისეულობას მორისონთან ემატება იმ პრობლემების მრავალხმიანობა, რაც მხოლოდ თანამედროვე, ინტერკულტურილი პერსპექტივიდან შეიძლება იყოს ყველაზე მეტად ხელშესახები - რასიზმი, ჰომოფობია, ტრავმა, ეგზისტენციალური კრიზისი, იდენტობის ძიებაში მყოფი მარტოსული ადამიანის გზააბნეულობა და სხვა.

ნაშრომი იკვლევს იდენტობის კრიზისს ტონი მორისონის ნაწარმოებებში „ყველაზე ცისფერი თვალი“ და „ქებათა ქება სოლომონისა“. ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟები რასობრივი ჩაგვრით გამოწვეულ იდენტობის კრიზისს განიცდიან, სამყაროში ჩაკარგულნი ცდილობენ გამოარკვიონ სად არის მათი ადგილი; იბრძვიან თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრებისთვის.

ნაშრომში მიმოხილულია ტონი მორისონის, როგორც აფრო-ამერიკელი ქალი ავტორის როლი თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურაში. ცალკეული ნაწარმოებების განხილვასთან ერთად წარმოდგენილია მოცემული ორი რომანის შედარებითი ანალიზი. გამოკვეთილია მაძიებელი გმირების იდენტობის ფორმირების პრობლემა.

Liliana Gogichaishvili
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
lilianngogichaishvili@gmail.com

Identity Crisis in Toni Morrison's novels "The Bluest Eye" and "Song of Solomon"

Toni Morrison is the first African-American female author to win the Nobel Prize in 1993. The multi-layered nature of her literature, the variety of themes, and the structure of the narrative remind us of the works of Virginia Woolf, James Joyce, and William Faulkner.

On top of the deep nature of Modernist literature, in Morrison's case we come across these kind of polyphonic, intercultural problems that can only be understandable from the modern perspectives- racism, homophobia, trauma, existential crisis, the confusion of an isolated person searching for the self etc.

The paper examines the identity crisis in Toni Morrison's works "The Bluest Eye" and "Song of Solomon." The main characters of the works experience an identity crisis caused by racial oppression; being lost in the world, they try to figure out where they belong to; They fight for self-determination and self-establishment.

The paper reviews Toni Morrison's role as an African-American female author in contemporary English-language literature. Along with the overview of individual works, a comparative analysis of the above-mentioned two novels is presented. The problem of lyrical heroes' identity formation is highlighted.

ანდრო გოგოლაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
gogoladzea@gmail.com;
a.gogoladze@ug.edu.ge

სამყაროს სურათი (გეოგრაფიული თვალსაწიერი) შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში

ძველი მსოფლიოს გეოგრაფიული სურათის მეტნაკლებად სრული აღწერილობა ანტიკური ხანის ბერძენ მწერლებთან გვხვდება. შემდგომში ადრეული შუა საუკუნეებიდან ანტიკური ხანის რაციონალური შეხედულებები გეოგრაფიაზე და სხვა მეცნიერებებზე ბიბლიურმა მსოფლმხედველობამ გადაფარა. მაგრამ მიმდინარე საუკუნეების მანძილზე და განსაკუთრებით ჯვაროსნულ ეპოქაში სამყაროს სურათი ამ ეპოქის საზოგადოების თვალში უფრო რაციონალური და რეალისტური გახდა.

აქედან გამომდინარე ჩვენი საკვლევი თემის მთავარი ასპექტი მდგომარეობს შემდეგში: განვიხილოთ და გავიზოროთ, თუ რა ცოდნას ფლობდნენ გარემომცველი სამყაროს შესახებ შუა საუკუნეების ქართულ ინტელექტუალურ სამყაროში. როგორი იყო მათი ოიკუმენე. რა იყო ამ ცოდნის საფუძვლები და როგორ ხდებოდა ამ ჰორიზონტის გაფართოება ადრეული შუა საუკუნეებიდან კლასიკური შუა საუკუნეებისაკენ (XII-XIV სს). ამ დაკვირვების ფარგლებში მოვახდინეთ შედარებითი ანალიზი შუა საუკუნეების ევროპულ ნარატიულ წყაროებთან (ჯვაროსნული ეპოქის ავტორთა ცნობები) და ვიზუალურ მასალასთან (კარტოგრაფიული რუკები, პორტალანები). რა იყო დასავლეთში გარემომცველი სამყაროს ცოდნის საფუძვლები, რა პარალელები შეიძლება დავინახოთ ჩვენ მწერლობაში შემორჩენილ ცოდნასთან?! ამ კუთხით ყურადღება გავამახვილეთ XIV საუკუნის ავტორის, „ქართლის ცხოვრების“ მემათიანის ჟამთააღმწერელის კოსმოგრაფიაზე. კერძოდ თუ როგორ იცვლებოდა სამყაროს სურათი იმდროინდელ ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში, რამდენად განსხვავებული იყო იგი

Andro Gogoladze
The University of Georgia
gogoladzea@gmail.com;
a.gogoladze@ug.edu.ge

Picture of the World (Geographic Perception) in Medieval Georgian Literature

A rather complete description of the geographic picture of the ancient world is encountered with the Greek authors of the Classical epoch. Later, in early medieval times, the rational viewpoints of the Classical epoch about geography and other sciences were covered up by biblical ideology. However, over centuries and, especially, in the epoch of the Crusades, public's view of the world became more rational and realistic.

Hence, the main aspect of the research topic is the following: to review and conceptualize what was the knowledge that the medieval Georgian intellectual society had about the surrounding world; what their oikumene was like; what were the grounds for this knowledge and how expansion of this horizon from the early Middle Ages to the Classical medieval period (12th -14th cc) occurred. During these observations we did comparative analysis of medieval European narrative sources (accounts of the authors of the epoch of the Crusades) and visual material (cartographic maps, portolan charts). We tried to find out what were the grounds of the knowledge about the surrounding world in the west; what parallels can be found with the knowledge preserved in our literature. In this respect we focused our attention on the cosmography of the 14th -century author, chronicler of 'The Life of Kartli', in particular, how the notion of the world was changing in the Georgian intellectual society of the time, how different it was from the public awareness of previous centuries considering perception of the oikumene. We observed that the chronicler's historical-geograph-

ჩინა საუკუნეების საზოგადოების ცნობიერებისგან ოიკუმენეს აღქმის საკითხში. ჩვენი დაკვირვებით, ჟამთააღმწერლის თვალსაწიერზე სამყაროს ისტორიულ - გეოგრაფიული და ესქალოტოგიური ცოდნის საკითხში გავლენა მოახდინა, არა მარტო პოლიტიკურმა პროცესებმა („ასწლოვანი მატიანე“), არამედ იმდროინდელ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში გავრცელებულ ჩვენთვის კარგად ცნობილი ლეგენდარული მეფე-მღვდლის, იოანე პრესვიტერის ლეგენდის გარშემო არსებულ თქმულებების ციკლმა.

ical and eschatological understanding of the world was influenced not only by the political processes ('Centennial Chronicle'), but also the cycle of stories about John the Presbyter, legendary king and bishop, widely known in the Crusade east.

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრი

tazogogoladze@yahoo.com

დარეჯან გველესიანი

დამოუკიდებელი მკვლევარი

gvelesianid@yahoo.com

*ანტიოქიაში წმიდა სვიმეონის მონასტერში გრიგოლ
ერისთავთ ერისთავის დაკვეთით გადაწერილი 1050-
1070-იანი წლების ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური
კრებული (A-142)
(ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)*

წინამდებარე მოხსენებაში განხილული გვექნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი წიგნის (A-142) რამდენიმე ანდერძ-მინაწერი, საიდანაც ვიგებთ რომ ხელნაწერი ანტიოქიაში მდებარე სვიმეონის მონასტერში გრიგოლ ერისთავთ ერისთავის დაკვეთით თეოდორეს გადაუწერია. ხელნაწერთა აღწერილობაში ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი წიგნის თარიღად მოცემულია ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთი - XI საუკუნე. ქართული ნარატიული წყაროებისა და ათონის მონასტრის სააღაპე წიგნის მასალების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ხელნაწერი შეიქმნა ერთიანი საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის დროს მოღვაწე არტანუჯის ერისთავის - გრიგოლ აბუსერიძის დაკვეთით. ხელნაწერის მოგვიანო ხანის ერთ-ერთი მინაწერიდან ვიგებთ, რომ ის ბოლნელ ეპისკოპოსს - იოსებ რევისშვილს უყიდა და მის მიერ განახლებულ წრულეთის იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიისათვის შეუწირავს. ანდერძში მოხსენიებული ბოლნელი მწყემსთავარი - იოსებ რევისშვილი XVII საუკუნის II ნახევრის ცნობილ სასულიერო პირს წარმოადგენს, რომლის შესახებაც

Tamaz Gogoladze
Korneli Kekelidze
Georgian Natonal Centre
of manuscripts
tazogogoladze@yahoo.com

Darejan Gvelesiani
Independent Researcher
gvelesianid@yahoo.com

*Hagiographical-Homiletic collection of the years 1050-
1070 copied by order of Grigol Eristav-Eristav in the
Monastery of Saint Simeon in Antioch (A-142)*
(Historical-source-scientific analysis)

In the present report, we will discuss several wills-inscriptions of the Manuscript (A-142) preserved in the National Center of Manuscripts, from which we learn that the manuscript was copied by Grigol Eristavi by order of Theodore in the Symeon Monastery in Antioch. In the description of the Manuscripts, a general chronological section is given as the date of the manuscript book of interest to us - XI century. Based on the comparison of Georgian narrative sources and the materials of the Athos monastery's fable book, we think that the manuscript was created by the order of Grigol Abuseridze, the Eristavi of Artanuji, who carried out the reign of Bagrat IV, the king of united Georgia. From one of the letters of the later age of the manuscript, we learn that it was bought by Ioseb Revisskhvili, the bishop of Bolnisi, and donated by him to the church of John the Baptist in Tsruleti. Ioseb Revisskhvili, the shepherd of Bolneli mentioned in the will, is a well-known clergyman of the second half of the 17th century, about whom we can find a fairly rich source knowledge base. According to the construction inscription of the Demirsu Basilica Church of 1651, he built the said

საკმაოდ მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მოგვეპოვება. 1651 წლის დემირსუს ბაზილიკური ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის თანახმად, მას აღნიშნული ეკლესია აუშენებია მაშინ, როდესაც მეორედ წმიდა მიწიდან - იერუსალიმიდან დაბრუნებულა. 1651 წლის წარწერის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოლნელმა ეპისკოპოსმა სწორედ მისი წმიდა მიწაზე ერთი-ერთი მოგზაურობის დროს შეიძინა ეს ხელნაწერი და შესწირა იგი წრუღეთის იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიას. საინტერესოა რით იყო გამოწვეული ბოლნელი ეპისკოპოსის ასეთი განსაკუთრებული ზრუნვა წრუღეთის იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე?

ქართული ისტორიული დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სწორედ წრუღეთის იოვანე ნათლისმცემლის ეკლესია გახლდა რევისშვილთა ფეოდალური სახლის საძვალე და ამით აიხსნას მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება აღნიშნული ეკლესიისადმი. ჩვენამდე იოსებ რევისშვილის მინაწერს XVI საუკუნით ათარიღებდნენ და მასში მოხსენიებულ ეკლესიას კითხვისნიშნით წვერის ეკლესიასთან აიგივებდნენ. ვითვალისწინებთ რა მისი ბოლნისის ეპარქიის მწემსთავრობის პერიოდს - 1646-1670; 1677-1683 წლებს, ხელნაწერის მინაწერს ამავე ქრონოლოგიური მონაკვეთით ვათარიღებთ.

church when he returned from the Holy Land - Jerusalem for the second time. On the basis of the inscription of 1651, we can assume that the Bishop of Bolnisi bought this manuscript during one of his trips to the Holy Land and donated it to the Church of John the Baptist in Tsruleti. It is interesting what caused such a special care of the Bishop of Bolnisi for the Church of John the Baptist in Tsruleti?

Based on the data of Georgian historical documents, we can express the opinion that it was the church of John the Baptist in Tsruleti that was the crypt of the Revisskhvili feudal house, and this explains its special attitude towards the said church. Before us, Ioseb Revisskhvili's letter was dated to the 16th century and the church mentioned in it was equated with the church of Tsveri with a question mark. We take into account the period of his leadership of Bolnisi diocese - 1646-1670; 1677-1683, we date the manuscript letter with the same chronological section.

*მოციქულთა სწორი დედების „ცხოვრებათა“ წიგნები
ადრეშეუასაუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში და
„წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციები*

მოციქულთა სწორი დედების ცხოვრებათა წიგნების ვრცელ რედაქციებში ბიოგრაფები დაწვრილებით აღწერენ თითოეულის ისტორიას, საქმიანობას და წვლილს ქრისტიანობის გავრცელებაში. იმ (მსგავსი) მისიიდან გამომდინარე, რომელიც მათ საკუთარ თავზე აიღეს, ბუნებრივია, განმანათლებელთა ბიოგრაფიების შინაარსი სინქრონულია. მაგალითად, თითოეული ავტორი თავის გმირს „მოციქულს“ გაბედულად უწოდებს; აღწერს, როგორ მონათლა მან სხვა ადამიანები; ზოგჯერ საუბარი ისეთ მოქმედებებზეც არის, რომლებიც დღეს მხოლოდ მამაკაც მოციქულებს მიეწერებათ – ქადაგება, განკურნება, დემონების განდევნა, მკვდრის აღდგინებაც კი.

ბრიტანელი ისტორიკოსი ელი კატეუმი წიგნში „წმინდა მარიამი და ადრეშეუასაუკუნეების ქალები“ ერთ თავს მოციქულთასწორ დედებს უძღვნის და სამ გამოკვლევაზე დაყრდნობითა და ოთხი განმანათლებელი ქალის ისტორიის გათვალისწინებით ასკვნის, რომ წმინდა მარიამნას, წმინდა თეკლასა და წმინდა ირინეს მოციქულებრივი ღვაწლი ერთგვარად მიჩქმალულია და ერთადერთი, ვინც სათანადო პატივითაა მომდევნო საუკუნეებში შემკული, წმინდა ნინოა. შესაბამისად, ის ეძიებს ასეთი „მიჩქმალვის“ მიზეზებსა და მოტივებს.

მკვლევარი იყენებს ნამუშევრებს, რომლებშიც წარმოდგენილია:
ა) II-V საუკუნეებით დათარიღებული ფილიპეს საქმეთა ხელნაწერი ფრაგმენტებიდან ამოკრებილი თხრობა ევანგელისტ მარიამნაზე;
ბ) I ს-ის მქადაგებელ ირინე მაკედონელზე ვრცელი ისტორიის ანალიზი (სწორედ ამ გამოკვლევაში ვხვდებით პარალელს „წმინ-

“Lives” of the Woman Saints Equal to Apostles in Early Medieval Byzantine Literature and the Oldest Versions of “The Life of Saint Nino”

In extensive redactions of the books of the lives of the apostolic mothers, biographers provide detailed description of their history, activities and contributions made by each of them to the spread of Christianity. Given the mission they undertook, indeed the content of the biographies of the enlighteners show their synchronicity. For instance, each author boldly refers to their hero as ‘apostle’; describes how they baptized other people. Sometimes they even speak about the deeds that presently are ascribed to only male apostles – preaching, healing, expulsion of demons, even raising from the dead.

In her work *Saint Mary and Early Medieval Women* British historian Ally Kateusz dedicates one chapter to the apostolic mothers and, based on three studies and considering the histories of four women enlighteners, concludes that the contribution of the enlightener women (Saint Mary, Saint Tekla and Saint Irene) is somehow obscured and the only one who is duly honored in the following centuries is Saint Nino. Accordingly, her searches for the reasons and motifs of this ‘obscuration’.

The researcher uses the works that represent: a) narrative of Mariamne the Evangelist gathered from the handwritten fragments of the Acts of Philip dated to the 2nd – 5th centuries; b) analysis of extensive history of the first-century preacher Irene of Macedonia (it is in this research that the parallel with *The Life of Saint Nino* is drawn); c) Saint Tekla’s history provided in two works is reviewed: one is a short Greek work *Acts of Tekla* (2nd c) and another – a more extensive

და ნინოსთან ცხოვრებასთან“); გ) მიმოხილულია წმინდა თეკლას ისტორია ორ თხზულებაში: მოკლე ბერძნულ – „თეკლას საქმეებსა“ (II ს.) და უფრო ვრცელ, ასევე ბერძნულ თხზულებაში „თეკლას ცხოვრება“ (V ს.). „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ თუნდაც მისი რომელიმე თარგმანის საშუალებით ის არ იცნობს, თუმცა საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებისას ტექსტის მონაცემებს იშველიებს და აცხადებს, რომ: 1. ადრეულ შუასაუკუნეებში შექმნილ განმანათლებელ დედათა თუ ქალწულთა შესახებ უძველეს ტექსტებში მართლაც ჩანს, რომ ისინი აღასრულებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მხოლოდ მამაკაცი მოციქულების ხელით აღესრულება, ქალისთვის კი დაუშვებელია; 2. გვიანდელი რედაქტირების შედეგად ამ ტიპის ყველა ინფორმაცია შესწორებულია ან გამქრალი; 3. იშვიათ შემთხვევაში, რედაქტორს გამორჩენილი აქვს მსგავსი მომენტები და ტექსტების ზოგიერთ ვერსიაში დარჩენილია ინფორმაცია, რომელიც, რედაქტირებას უნდა დაქვემდებარებოდა. სწორედ, ასეთ იშვიათ შემთხვევად მიაჩნია ავტორს „წმინდა ნინოს ცხოვრება“.

ჩინამდებარე მოხსენების მიზანია, ზემოხსენებულ მოსაზრებათა განხილვა და მათი გათვალისწინებით „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციების ახალი რაკურსით გააანალიზება, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არა მხოლოდ ბრიტანელი მეცნიერის მოსაზრების დაზუსტებისა თუ გადამოწმების, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის – ქართული მწერლობის დასაწყისის პრობლემის კონტექსტშიც.

Greek text – The Life of Tekla (5th c). While providing arguments for her opinion the author calls on the data of The Life of St. Nino and states that: 1. ancient texts about the enlightener mothers or virgins in the Early Middle Ages actually show that they performed such actions that are only performed by the hands of male enlighteners and are prohibited for women; 2. this type of information is either corrected or lost due to the later period editing; 3. in rare occasions, editors omitted such moments and some versions have preserved the information that had to have been subject of editing. The author considers The Life of Saint Nino as an example of such a rare case.

The purpose of the present report is to discuss the above-mentioned opinions and to analyze the ancient editions of The Life of St. Nino from a new perspective, which we consider important not only for clarifying or verifying the opinion of the British scientist, but also in the context of one very significant issue for the history of Georgian literature – the problem of the beginning of Georgian writing.

დეა გუნია

დამოუკიდებელი მკვლევარი

deagunia@yahoo.com

*შუა საუკუნეების ქართული რელიგიური პლასტიკის
სახვითი ენის მდგრადობა კავკასია-ევროპის
კულტურათშორისი დიალოგის პარადიგმულ
კონტექსტში*

საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელების პარალელურად, ყალიბდება ადგილობრივი ხუროთმოძღვრული სკოლა. არქიტექტურული სტილისტიკის ზოგადი მახასიათებლები, რა თქმა უნდა, ექვემდებარება ბიზანტიის იმპერიაში მიღებულ ნორმებს, მაგრამ ამასთანავე ის იძენს მკვეთრ თვითმყოფად მახასიათებლებს. ქართული ხუროთმოძღვრული სკოლის ინდივიდუალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვექტორი არის მისი საფასადო შემკულობის სისტემა. ეს უკანასკნელი შეიქმნა მეთავე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველოს სამეფო გაძლიერდა და გაერთიანდა.

კულტურათშორის გზაჯვარედინზე, უძველესი ცივილიზაციების დროიდან ფართოდ გავრცელებული სიმბოლური გამოსახულებების სახისმეტყველება ქართულ ხელოვნებაში, არქაული ნიმუშებიდან მოყოლებული ვლინდება: იქნება ეს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მონაპოვარი, ანტიკური პერიოდის თუ ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლები – ყველა შემთხვევაში იკვრება ერთი გენეტიკური ხაზი. მაშინაც კი, როდესაც ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი იგებოდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონში: ინგუშეთში, დაღესტანში, სომხეთში – ყველა მათგანს მნიშვნელოვნად გასდევს საერთოქართული სტილის მახასიათებლები. ამის დასტურად ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც ანისის ქართული ტაძრის და თხაბა-ერდის (ტკობია-ერდი, ინგუშეთი) ტაძრის, ღღეისათვის სავალალო მდგომარეობაში მყოფი, რელიგიური გამოსახულებების განხილვა.

*The sustainability of the artistic language of medieval
Georgian relief sculpture in the paradigm context of the
Caucasian-European intercultural dialogue*

In Georgia a local school of architecture was formed parallel to the spread of Christianity. The general characteristics of the architectural style, of course, are subject to the norms accepted in the Byzantine Empire, but at the same time it acquires distinctly authentic characteristics. One of the important vectors of individualism of the Georgian school of architecture is its system of decoration. The latter was created from the second half of the 10th century, when the Kingdom of Georgia was strengthened and unified.

At the crossroads between cultures, the expression of widespread symbolic images from the time of ancient civilizations is revealed in Georgian art starting with archaic samples: be it the archaeological discoveries of the Bronze Age, the Antique Age, or the early and developed Middle Ages. In all cases, the monuments are related to an identical genetic line. Even when the Georgian architectural monument was built in different regions of the Caucasus: Ingushetia, Dagestan, Armenia - in all cases, the characteristics of the common Georgian style are significantly absent. As a proof of this, it is very important to consider the relief images of Georgian church in Ani (Historical Armenia) and Tkhaba-Yerdy temple (Ingushetia), which are in a deplorable condition nowadays.

In addition to the cultural relations within the Caucasus, it is important to outline very clear connections between the Georgian style and the European Romanesque style. Comparative analysis makes visible the systematic unity of the identity features of Georgian relief

კავკასიის ფარგლებში არსებული კულტურული ურთიერთობების გარდა, მნიშვნელოვანია, ზოგადქართული სტილის ძალიან ცხადი კავშირების გამოკვეთა ევროპის რომანულ სტილთან. კომპარატივისტული ანალიზი თვალსაჩინოს ხდის ქართული რელიეფური პლასტიკის იდენტობის მახასიათებელების იმგვარ სისტემურ ერთობას, როდესაც საფასადო შემკულობის სტრუქტურა ეფუძნება ხაზობრივ დინამიკას, სისადავეს, ზოგ შემთხვევაში ნატიფ პროპორციებს, ზოგ შემთხვევაში კი ხისტ, ექსპრესიულად გაზრდილ ფორმებს.

ქართული სკოლის დომინანტურ რეპერტუარს ძალიან საინტერესოდ ეხმიანება იბერიის ნახევარკუნძულის რომანული რელიეფური პლასტიკა. ამას გარდა, განსაკუთრებით საინტერესოა იტალიაში პესკარას სანტა მარია დელ ლაგოს ტაძრის (XI-XII სს.) ჩვენთვის ახლადგამოვლენილი რელიეფური მქანდაკებლობა, რაც მნიშვნელოვან პარალელს ქმნის კუმურდოს ტაძრის (X) რელიეფურ შემკულობასთან.

განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ შუა საუკუნეებში, მაშინ როდესაც ყალიბდებოდა ეროვნული იდენტობის სისტემური მახასიათებლები, საქართველოს, როგორც კავკასიის რეგიონის თვალსაჩინო წარმომადგენელს, მკვეთრად ჰქონდა განსაზღვრული საკუთარი ავთენტიკური გამომსახველობითი ენა, რაც თანხვედრაში იყო თანადროულ ევროპულ პარადიგმულ ტენდენციებთან.

carving - when the structure of the facade decoration is based on linear dynamics, in some cases delicate proportions, and in other cases rigid, expressively increased forms.

The dominant repertoire of the Georgian school is very interestingly echoed by the Romanesque relief sculpture of the Iberian Peninsula. Also, particularly interesting is newly studied by us the relief sculpting of the Santa Maria del Lago temple in Pescara (XI-XII c. Italy), which finds an interesting parallel with the relief decoration of the Kumurdo cathedral (X c. Georgia).

The discussed examples confirm that in the Middle Ages, when the systemic characteristics of the national identity were being formed, Georgia, as a prominent representative of the Caucasus region, had sharply defined its own authentic expressive language, which was in line with contemporary European paradigmatic trends.

რუსუდან დაუშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
daushvilirusiko@yahoo.com

კავკასიის კონფედერაცია

- კავკასიელ ემიგრანტთა დაახლოებასა და ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნაში დიდი როლი შეასრულა კავკასიის კონფედერაციამ.
- 1921 წლის 15 ივნისის სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა პარიზში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, 1924 წელს სტამბოლში შეიქმნა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“.
- 1934 წელს ბრიუსელში ხელმოწერილ პაქტში ჩამოყალიბებული იყო კონფედერაციის საფუძვლები. არჩეულ კავკასიურ საბჭოს და მისი აღმასრულებელ პრეზიდიუმს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია კავკასიელთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლისათვის.
- 1936 წლის 25 სექტემბერს კავკასიის კონფედერაციამ თურქესტანის და უკრაინის წარმომადგენლებთან ერთად, მოხსენება წარუდგინა ერთა ლიგას, 28 სექტემბერს - მემორანდუმი და პაქტი.
- კავკასიელთა და საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ხალხთა ერთიანობამ და თანამშრომლობამ თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა მათ რიგებში სომხებიც აღმოჩნდნენ.

Rusudan Daushvili
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
daushvilirusiko@yahoo.com

Caucasus Confederation

- The Caucasus Confederation played a big role in the rapprochement of the Caucasian emigrants and the creation of the anti-Bolshevik front.
- On June 15, 1921, the representatives of Armenia, Azerbaijan, the North Caucasus and Georgia signed a declaration in Paris, in 1924, the “Caucasus Independence Committee” was established in Istanbul.
- In 1934, the pact signed in Brussels laid down the foundations of the confederation. The elected Caucasian Council and its Executive Presidium were to lead the Caucasian national liberation struggle.
- On September 25, 1936, the Caucasus Confederation, together with the representatives of Turkestan and Ukraine, presented a report to the League of Nations, on September 28 - a memorandum and a pact.
- The unity and cooperation of the oppressed peoples of the Caucasus and the Soviet Union manifested itself in the years of the Second World War, when Armenians also appeared in their ranks

ირმა დოლიძე

შოთა რუსთაველის

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

დომიტრი ჯანელიძის სახელობის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

idolidze@tafu.edu.ge

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინტერპრეტაციის საკითხისათვის (გორი ციხე)

საქართველო მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსებით. მათი სამეცნიერო კვლევა, რესტავრაცია-კონსერვაცია, ინტერპრეტაცია კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გავრცელების უმთავრესი გზაა. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია გორის ციხე-ქალაქ გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან. თავისი მასშტაბითა და ისტორიული მნიშვნელობით, ის გამორჩეული სათავდაცვო ნაგებობაა, რომელიც თანამედროვე ურბანულ ქსოვილშიც კი ინარჩუნებს დომინანტურ როლს.

გორის ციხის მშენებლობის ქრონოლოგია ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს (ძვ.წ. III-I სს.) და სხვადასხვა ინტენსივობით XIX საუკუნეებამდე გრძელდება; წერილობით წყაროებში პირველად XI საუკუნეში იხსენიება და VII საუკუნის ისტორიულ მოვლენებზე მოგვითხრობს.

გორის ციხის ყველაზე ადრინდელი ვიზუალური მასალა 1633 წელს კათოლიკე მისიონერის, ქრისტეფორო დე კასტელის მიერ შესრულებული ნახატია. იგი პირველია ჩვენამდე მოღწეულ საქართველოს ციხეთა ამსახველ ნახატებს შორის. სწორედ ამ ნახატით ირკვევა, რომ დღეს არსებული სახე ციხეს იმ დროს მიუღია.

საუკუნეთა განმავლობაში გორის ციხე არაერთგზის დაუნგრევიათ და კვალავ აღუდგენიათ. არქიტექტურული კომპლექსი

Irma Dolidze
Dimitri Janelidze
Scientific-Research Institution of the
Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University
idolidze@tafu.edu.ge

*For the interpretation of the cultural heritage monument
(Gori fortress)*

Georgia is rich of the cultural heritage monuments, architectural-archeological complexes. Their scientific research, restoration/conservation and interpretation is one of the main means for increasing awareness about cultural heritage.

Gori Fortress is located in the center of Gori city (East Georgia), on the rocky hill, at the confluence of Kura and Liakhvi rivers. According to its large scales and history, it's an outstanding defensive construction of medieval Georgia. For nowadays, the fortress still is a dominant structure of the city planning, main landscape and architectural highlight.

The first construction of Gori Fortress was begun in antique epoch (3rd - 1st centuries B.C.). Afterwards, the construction continued till the 19th century with various intensity; During centuries the fortress had been destroyed and restored several times. Firstly the fortress was mentioned in historical source of 11th century where the 7th century events were described.

The earliest visualization of Gori Fortress dates back to 17th c., 1633. Catholic missionary Christoforo De Castelli's sketch is one of the first of the visualization of Georgian fortresses. According to it, it becomes clear that the fortress acquired its present appearance in that very period.

Nowadays, the complex represents fences, towers and other re-

დღეს დამთვალიერებელს ციხე-სიმაგრეებისთვის ტიპური გალავნებით, კოშკებით, არქიტექტურულ ნაგებობათა ნაშთებით ეგებება, რაც, შუა საუკუნეთა სათავდაცვო არქიტექტურის მსგავს ნიმუშებს მოგვაგონებს. თუმცა მას გამორჩეული თავისებურებებიც აქვს. ციხის (180 X 40 მ.) სტრუქტურა მიჰყვება მთის რელიეფს, ორმაგი გალავნით, სრულიად ორიგინალური, ფერდობიდან დაბლობისკენ დაშვებული კოშკების კასკადით (ე.წ. „ცხრაკარიანი“), საიდუმლო გვირაბების, წყლის აუზების, ეკლესიებისა და სასახლის, საცხოვრებლებისა და მარნების, თონეების, ჭებისა და წყალგაყვანილობის სისტემათა ნაშთებით. ციხის კედლებში დღესაც იკითხება სროლის შედეგად კედლებს შერჩენილი, გაქვავებული, საბრძოლო ყუმბარები.

1920 წლის მიწისძვრამ გორის ციხე მნიშვნელოვნად დააზიანა. 1952 წლიდან ის საფუძვლიანად აღადგინეს. 2018-2019 წლებში კვლავ განახლდა კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა და რეაბილიტაციის პროცესი.

გასულ საუკუნეში, გორის ციხის ტერიტორიაზე, აიგო წყლის რეზერვუარის მიწისქვეშა შენობა. დროთა განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილი ეს ნაგებობა, მისი რეაბილიტაციისა და სამუზეუმოდ ადაპტაციის შემდეგ, გორის ციხის ისტორიის რეკონსტრუქციის ადგილად მოიაზრება.

გორის ციხის კომპლექსის პოტენციალი სამუზეუმო, შემეცნებითი, დასვენების და, ზოგადად, ვიზიტორთა მიზიდულობის მხრივ, გამორჩეულია და, სწორად პრეზენტირების და მართვის პირობებში, ერთ-ერთ აქტიურ ტურისტულ, საგანმანათლებლო-კულტურულ ზონად - საიტ-მუზეუმად - შეიძლება ჩამოყალიბდეს.

mains of architectural constructions. The double walls of the structure (180 X 40 m), unique cascade of towers (so called “Tskhrakariani” – 9 gates), remains of secret tunnels, water reservoirs, churches and the palace, dwellings and wine cellars, bakeries, wells and water supply system are spread on the mountain terrain. One can still see the cannon balls stuck in the walls, reflecting the traces of fights.

Gori Fortress was seriously damaged after the 1920 earthquake. Since 1952 it was substantially restored. In 2018-2019 the archeological study and rehabilitation of the complex was renovated.

During the last century the underground water reservoir was constructed on the territory of the fortress. However, it has been abandoned for years and thus, can be adapted as a museum space and used for the reconstruction of the fortress history.

Gori Fortress has potentials for museum, educational, recreational spaces. In case of its proper presentation and management, it can be established as one of the most active tourist destinations and cultural zones.

დინარა ვაჩნაძე
თავისუფალი მკვლევარი
Dinara.vachnadze@yahoo.com

ნინო ხუნდაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
ninokhundadze@yahoo.com

*იძულებით შეწყვეტილი სამეცნიერო კვლევის
პირველადი შედეგები
(XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული
ხელოვნების კოლექციის კვლევისთვის)*

2018 წელს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის ორასწლოვანი შენობის ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე, 2006 წელს დახურული მუდმივი ექსპოზიციების მსგავსად, დაიხურა მეორე სართულზე განთავსებული დროებითი საგამოფენო სივრცეებიც. ამ გარემოებამ მუზეუმში გააჩინა დამატებითი ოთახები ფონდ-საცავებისთვის. ამ სივრცეში უმნიშვნელოვანესი - ქართული დაზგური მხატვრობის პირველი ნიმუშების, XVIII-XIX საუკუნეების პორტრეტული ხელოვნების, კოლექციისთვის გამოიყო ადგილი. ამ კოლექციის ყველა ნიმუში ამ დარბაზში ჩამოვითანეთ, რამაც შესაძლებელი გახადა პირველებს გვენახა კოლექცია სრული სახით და დაგვეჩყო ფიქრი სრული კოლექციის კომპლექსურ სამეცნიერო შესწავლაზე, რაც მანამდე შეუძლებელი იყო (სამეცნიერო კვლევები ამ კოლექციის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხება).

სამასზე მეტი ექსპონატის მდგომარეობა რესტავრატორებთან ერთად შეფასდა. ეროვნული მუზეუმის სხვადასხვა შენობაში მოვიძიეთ ძველი ჩარჩოები, რომლებიც სურათებიდან ათწლეულების წინ მოიხსნა, რათა იმ დროს დიდი რაოდენობის სურათების მცირე სივრცეში დაბინავება შესაძლებელი გამხდარიყო. ჩარჩოები სურათებს მიუსადაგეთ, რაც ურთულესი ამოცანა აღმოჩნდა. ჩარჩოებს და

Dinara Vachnadze
Independent Researcher
Dinara.vachnadze@yahoo.com

Nino Khundadze
The University of Georgia
ninokhundadze@yahoo.com

*Preliminary results of a forcibly suspended scientific
research
(For the research of the Georgian Portrait Art Collection
of the XVIII-XIX centuries)*

In 2018, based on the technical expertise of the two hundred years old building of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts of the National Museum of Georgia, the temporary exhibition spaces located on the second floor were also closed, as other halls of the permanent exhibitions closed in 2006. This circumstance created additional spaces for fund-storages. In this hall was placed the most important collection of the first examples of the Georgian Easel Painting, the Portrait Art of the XVIII-XIX centuries. We brought all the samples of this collection to this space, which made it possible for us be the first who saw the collection in its entirety and to start thinking about the complex scientific research of the complete collection, which was impossible before (scientific research concerns only a one part of this collection).

The condition of more than three hundred exhibits was evaluated together with conservators. We searched in different buildings of the National Museum old frames of the paintings that were removed from pictures decades ago in order to accommodate a large number of the collections in a small space, allocated for storages for that time. We tried our best to adjust the frames to the pictures, which turned out to be the most difficult task. Frames and paintings, mostly quite damaged, were restored, conservators gave them a new life. It is interesting that new details were revealed in the pictures after

ფერწერულ სურათებს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, რესტავრატორებმა მათ ახალი სიცოცხლე შესძინეს. საინტერესოა, რომ რესტავრაციის შემდგომ სურათებზე ახალი დეტალებიც გამოვლინდა. ავთენტური სახით სრული კოლექციის დეტალური დათვალიერება, შემდგომი სამეცნიერო კვლევის და ატრიბუციის მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა:

1. დოკუმენტებთან შეჯერებით დაზუსტდა და გამოიკვეთა პორტრეტირებულთა ოჯახური კუთვნილება თუ ნათესაური კავშირები;
2. საარქივო მასალებთან შეჯერებით დაკონკრეტდა ზოგიერთი უცნობი პიროვნების ვინაობა;
3. გაჩნდა შესაძლებლობა სხვადასხვა მხატვრული სკოლის სურათების დაჯგუფებისა;
4. კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა საქართველოში შესრულებულ სხვადასხვა ტიპის პორტრეტებზე კულტურული კავშირები და გავლენები, როგორც ქართველ ოსტატთა მიერ ევროპული თუ აღმოსავლური მხატვრობის სახვითი სისტემების მიღებისა და შეთვისების ცდა, ასევე გვიანი შუასაუკუნეების მხატვრული ტრადიციის მიმართ მათი დამოკიდებულება;
5. პორტრეტები ჯგუფდება სხვადასხვაგვარად: გვარების, ნათესაური კავშირების და კომპოზიციური სტრუქტურის მიხედვით, რაც ინტერდისციპლინური კვლევის და სურათების ატრიბუციის მნიშვნელოვანი საფუძველია;
6. პორტრეტები საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოების და ქვეყნის სოციალური ვითარების შესწავლისათვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს.

მოხსენებაში წარმოდგენილი მასალა დროებით, იძულებით შეწყვეტილი სამეცნიერო კვლევის პირველად დასკვნებს წარმოადგენს.

the restoration. A detailed examination of the complete collection in authentic form has become an important basis for the further scientific research and attribution:

1. By comparing with the documents, the family affiliation or family ties of the portrayed persons were specified and identified (several cases);
2. By comparing with archival materials, the identity of some unknown persons was clarified;
3. There was an opportunity to group pictures of different artistic schools;
4. The cultural connections and influences on the different types of portraits made in Georgia were even more evident, both the attempt of the Georgian masters to accept and assimilate the fine systems of European and Eastern painting, as well as their attitude towards the artistic tradition of the late Middle Ages;
5. Portraits are grouped in various ways: by surnames, kinship ties and compositional structure, which is an important basis for interdisciplinary research and image attribution;
6. Portraits are an important resource for studying the multi-ethnic society of Georgia and the social situation of the country.

The material presented in the report represents the primary conclusions of the forcibly suspended scientific research.

თეა თვალავაძე
გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი
teatvalavadze@gmail.com

ივანე მაჩაბლის წერილების კულტურულ-ისტორიული ასპექტები

ივანე მაჩაბელს XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის საპატიო და განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი იყო მრავალმხრივი მოღვაწე – მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და მდივანი, ჟურნალ „ივერიისა“ და გაზეთ „დროების“ რედაქტორი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი.

ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიის – ლიტერატურული მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის საკვლევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერი წყაროები. ეს მასალა სანდო დასაყრდენია ქართული მწერლობის, მთარგმანის ისტორიის, საზოგადოებრივ-კულტურული, ეკონომიკური თუ ქართულ-უცხოური ლიტერატურული ურთიერთობების საკვლევად. წერილები დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ეს პირადი თუ ოფიციალური წერილები დოკუმენტური ხასიათის ტექსტებია, რომელებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის როგორც ავტორის, ისე მისი გარემოცვისა და ისტორიულ-კულტურული თუ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ. მათი კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ ავტორის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესასწავლად, არამედ ზოგადად წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული თვალსაზრისითაც. გარდა ამისა,

Tea Tvalavadze
Giorgi Leonidze
State Museum of
Georgian Literature
teatvalavadze@gmail.com

Cultural-Historical aspects of Ivane Machabeli's Letters

Ivane Machabeli holds an honourable place among other Georgian thinkers of the 19th century. He was versatile: translator, publicist, journalist, founder and secretary of the Society for Spreading Literacy among Georgians, editor of the magazine *Iveria* and a newspaper *Droeba*, and a member of “The Knight in the Panther’s Skin’s” text defining commission.

Archival manuscripts are significant sources of information for studying Ivane Machabli’s biography, literary heritage and public career. They are fundamental for examining Georgian literature, the history of translation, the social-cultural and economic context of the period, and scholarly relations between Georgia and the outer world. The letters are preserved in the State Museum of Georgian Literature, the National Archives of Georgia and the National Center of Manuscripts. These letters of a documentary nature provide essential information about the author, his surrounding society and historic-cultural or social-political circumstances. Their research is instrumental in examining the literary input and work of the author, as those letters are of high value for the source and history studies. In addition, dating the letters, identifying the mentioned persons and commenting on passages that are difficult to comprehend will contribute to further scholarly research of historical and cultural nature. Letters help clarify the details of the writer’s biography and diverse work. They also display facts regarding the XIX century Georgia’s history, literature, and daily life, which are not evident from other sources or are alternatively

დათარიღების საკითხი, მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია და რთულად გასაგები პასაჟების კომენტირება, მათ თავისთავად ღირებულებასთან ერთად, საფუძვლად დაედება ისტორიულ-კულტურული ხასიათის შემდგომ კვლევებს.

ივანე მაჩაბლის წერილებით ზუსტდება მწერლის ბიოგრაფიისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის დეტალები, ირკვევა მე-19 საუკუნის საქართველოში მიმდინარე ისეთი ისტორიული, ლიტერატურული და ყოფითი ფაქტები, რომლებიც სხვა დოკუმენტებში არ დასტურდება, ან სხვაგვარად არის ცნობილი ოფიციალურ საბუთებსა და თანამედროვეთა მოგონებებში. ეს წერილები უტყუარი მთხრობელია ავტორისდროინდელი ამბების, და შესაბამისად, იმ პერიოდის კულტურულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გარემოს შესასწავლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროებია.

interpreted in other official papers and memoirs. Ivane Machabeli's epistolary heritage contains genuine descriptions of the events that occurred during Machabeli's times and, therefore, represents one of the most significant sources to examine the cultural, social and political environment of that period.

ანა იმედაშვილი

ააიპ „საქართველოს კულტურისა და ტურისტული
რესურსების კვლევის ცენტრი“
kvlevis_centri@cu.edu.ge

შალვა კოლუაშვილი

ააიპ „საქართველოს კულტურისა და ტურისტული
რესურსების კვლევის ცენტრი“
koghuashvili.shalva@gmail.com

თუშეთში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის ისტორიის შესწავლისთვის

თუშეთი რელიგიური სინკრეტიზმით გამოირჩევა, რამაც დღემდე, თუშეთის ძველი რელიგიისა და ქრისტიანობის შერწყმით, უნიკალური რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები შემოგვინახა. მატერიალური სახით ეს დღემდე გამოხატულია ჯვარ-ხატების ნაგებობებში - ფიქალი ქვით ნაგები, სხვადასხვა ზომის თუ ფორმის ყრუ ნაგებობები შუკუმებით და სასანთლებით.

დღეს თუშეთში ცხრა ქრისტიანული ეკლესიაა ცნობილი, ისინი მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენდა. თუშეთში ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების მისიონერულ საქმიანობას უკავშირდება. ამ პერიოდში, თუშეთის ოთხი ხეობის მოსახლეობისთვის ეკლესიები აიგო გეოგრაფიული პრინციპით, ისე, რომ თუშეთის ყველა ხეობის მკვიდრისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო წირვა-ლოცვაზე დასწრება.

2020-2022 წლებში ჩვენ მიერ თუშეთში ჩატარებული საკვლევი ექსპედიციების შედეგებზე და რამდენიმე წერილობით წყაროზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ თუშეთში საეკლესიო მშენებლობა გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო, აქ უფრო მეტი ეკლესია უნდა ყოფილიყო, თუმცა ეკლესიების მშენებლობის პირველი ტალღა ადგილობრივთა მესხიერებას ნაკლებად

Ana imedashvili
NNLE „Research Center of Georgian Culture
and Tourism resources“
kvlevis_centri@cu.edu.ge

Shalva Koghuashvili
NNLE „Research Center of Georgian Culture
and Tourism resources“
koghuashvili.shalva@gmail.com

To study the history of the construction of Christian temples in Tusheti

Tusheti is characterized by religious syncretism, which has preserved unique beliefs and rituals until today, by combining Tusheti's ancient religion and Christianity. In a material form, this is still expressed in the buildings of cross-icons - slate stone built, deaf buildings of different sizes and shapes with niches and candlesticks.

Today, nine Christian churches are known in Tusheti, they were built at the end of the 19th century and the beginning of the 20th century. The construction of Christian churches in Tusheti is connected with the missionary activity of the Society for the Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus. During this period, churches were built for the population of the four gorges of Tusheti according to the geographical principle, so that it was possible for the inhabitants of all the gorges of Tusheti to attend prayer.

Based on the results of the research expeditions we conducted in Tusheti in 2020-2022 and several written sources, we assume that the church construction in Tusheti should have started much earlier, there should have been more churches here, although the first wave of church construction has not survived in the memory of the locals, and their actual outlines can still be read today.

It is likely that the first stage of church construction in Tusheti

შემორჩა, მათი ფაქტობრივი კვალი კი დღემდე იკითხება.

სავარაუდოა, რომ ეკლესიების მშენებლობის პირველი ეტაპი თუშეთში 1814 წლისთვის უკვე დასრულებული იყო და რამდენიმე სოფელს საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ აქრივში დაცულია იოანე აფხაზის წერილები საქართველოს ეგზარქოსისადმი, ის, როგორც ამ მხარეში მივლენილი მოურავი, 1818 წელს აღწერს თუშეთის მდგომარეობას და ითხოვს ეკლესიების მშენებლობას და მღვდლების განწესებას (ფ. 488, აღწერა 1, საქმე 189, 277). მიმოწერიდან ირკვევა, რომ შენაქოში არსებობს ერეკლეს დროინდელი ეკლესია, წოვათის ხეობაში სამი ეკლესია და ერთი ეკლესიაც ბოჭორნაში. წერილებში იოანე აფხაზის მიერ ჩამოთვლილია ის სოფლები, სადაც სასურველია ეკლესიების აშენება, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებისთვის აშენებული ეკლესიების ნაწილი ზუსტად ემთხვევა ამ მონაცემს. საკვლევ ექსპედიციებში გამოვლინდა, როგორც ამ საბუთში მოხსენიებული ეკლესიების კვალი, ასევე, იოანე აფხაზის მიერ დასახელებული ეკლესიები, რომელთა აგებასაც ის ითხოვდა და რომელთა ნაწილიც დღეს უცნობია.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევა, ერთის მხრივ შეეხება საექსპედიციო სიახლეებს, მეორეს მხრივ კი თუშეთში საეკლესიო მშენებლობის პროცესს, საფუძვლებს, პერიოდს, ინიციატორ პირებს, ეკლესიის არქიტექტურას, რაც გაცილებით მეტ ინფორმაციას გვაძლევს ამ მხარეში მართლმადიდებლური ცხოვრების წესის განვითარების შესახებ.

was already completed by 1814, and several villages had their own churches. The State Central Archive of Georgia preserves the Ioane Abkhazi's letters to the Exarch of Georgia. He, as a Mouravi (regional governor) of this area, describes the situation in Tusheti in 1818 and requests the construction of churches and the sending of priests (p. 488, description 1, file 189, 277).

It is clear from the correspondence that there is a church from the time of Erekle (King) in Shenako, three churches in Tsovata gorge and one church in Bochorna. In the letters, Ioane Abkhazi lists the villages where it is desirable to build churches. Part of the churches built in the 20s of the 20th century exactly matches this data. In the research expeditions, traces of the churches mentioned in this document were revealed, as well as the churches named by Ioane Abkhazi, whose construction he requested and whose part is unknown today.

The research presented by us, on the one hand, concerns the news of the expedition, and on the other hand, the process of church construction in Tusheti, the foundations, the period, the initiators, the architecture of the church, which gives us much more information about the development of the Orthodox way of life in this area.

ქეთევან კაკიტელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ketevan.kakitelashvili@tsu.ge

*ქართველ ებრაელთა იდენტობის რელიგიური
და ნაციონალური განზომილება მე-20 საუკუნის
დასაწყისის საქართველოში*

ნაშრომი ქართველ ებრაელთა იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს ეხება. მასში, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის მდიდარი მასალების საფუძველზე, გაანალიზებულია ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ქართველ ებრაელთა იდენტობის რელიგიური და ეროვნული მოდელები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინტელექტუალურ დისკურსზე. როგორც რუსეთის იმპერიულ, ისე ადგილობრივ ქართულ დონეზე, განსხვავებულმა პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა და კულტურულმა კონტექსტმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ქართველ ებრაელთა იდენტობის ჩამოყალიბებაზე. ნაშრომში სწორედ მათი გათვალისწინებით არის გაანალიზებული ებრაელთა იდენტობის ფორმირების დინამიკა აღნიშნულ პერიოდში. ეს კონტექსტებია: მეცხრამეტე საუკუნეში, 1917 წლამდე - რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და საკანონმდებლო კონტექსტი; მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში - ქართული კულტურული, ინტელექტუალური და პოლიტიკური დისკურსების ლოკალური კონტექსტი, რომელიც მიმართული იყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; ხოლო 1918–1921 წლებში ეს იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ხანმოკლე პერიოდი, როდესაც ებრაული იდენტობის შესახებ დისკუსია გაგრძელდა ქართულ ეროვნულ და საკანონმდებლო კონტექსტში, სადაც სახელმწიფოსა და ებრაული თემის დომინანტურ ნაწილს შორის მიღწეული იყო შეთანხმება ქართველ-ებრაელთა იდენტობის კონვენციური მოდელის შესახებ.

Ketevan Kakitelashvili
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
ketevan.kakitelashvili@tsu.ge

*Religious and National Dimensions of
the Georgian-Jewish Identity in
the beginning of the 20th Century*

In the beginning of the twentieth century, religious and national dimensions of the Georgian-Jewish identity developed. By utilizing rich source materials from the late 19th and early 20th century Georgian language press, this paper examines the competing religious and national models of the Georgian-Jewish identity that formed at that period. The paper focuses on the intellectual discourse rather than on popular (self-)perception of the Georgian-speaking Jewry. At the imperial as well as local levels, different political, ideological, and cultural contexts had a crucial impact on the development of how the Georgian-Jewish identity was conceived. Some of these contexts coincided in time. In the nineteenth century, prior to 1917, it was the political and legislative context of the Russian Empire; in the late nineteenth to early twentieth centuries, it was the local context of Georgian cultural, intellectual, and political discourses, aimed against the Russian Empire. Within the latter, a Georgian secular national identity developed; and in 1918–1921 it was the short period of Georgia's independent statehood when the discussion regarding Jewish identity continued within the Georgian national and legislative context, in which agreement between the state and the dominant part of the Jewish community was reached regarding the conventional model of Georgian-Jewish identity.

გიორგი კალანდაძე

ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და

ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია

gkalanda@hotmail.com

*წმიდა გაბრიელ მცირის შედგენილი კრებულის
„ოქროს წყაროდ“ მიმართება მის პირველწყაროებთან
- იოანე ოქროპირის შრომათა ექვთიმე
მთაწმინდლისეულ თარგმანებთან*

კრებულ „ოქროს წყაროს“ შედგენილი წმიდა გაბრიელ მცირე 18-ე საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდა, გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში. მან არაერთი ორიგინალური თუ შედგენილი კრებული დაგვიტოვა. მათ შორისაა „ოქროს წყაროდ“, რომელიც იოანე ოქროპირის 100 სწავლას მოიცავს. „ოქროს წყაროდს“ ავტოგრაფების და მათი ასლების რაოდენობა დიდია. ხსენებული კრებულის 20 ერთეულამდე ნუსხაა დაცული სიძველეთსაცავებში.

ჩინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენი მიზანია გადავჭრათ შემდეგი სამეცნიერო საკითხები: 1. საიდან აიღო გაბრიელ მცირემ „ოქროს წყაროში“ შეტანილი იოანე ოქროპირისეული სწავლანი. 2. რა სახის ცვლილებები შეიტანა გაბრიელ მცირემ კრებულ „ოქროს წყაროდს“ მომზადების დროს პირველწყაროებთან მიმართებაში.

დასახული სამეცნიერო პრობლემების გადასაჭრელად შევიმუშავეთ მეთოდოლოგია, რომლითაც ეფექტურად მივაღწევდით დასახულ მიზანს. შევქმენით კრებულ „ოქროს წყაროდს“ ციფრული ბაზა. მოვიძიეთ იოანე ოქროპირის სხვადასხვა სწავლათა კრებულები. შედარებითი მეთოდით მივაკვლიეთ „ოქროს წყაროდს“ პირველწყაროებს. ხელნაწერები შევისწავლეთ ინდექსური და ჰიპოთეტურ-დედუქციური, პალეოგრაფიული და გენეალოგიური კვლევის მეთოდებით. გამოვიყენეთ გამორიცხვის მეთოდი. შევქმენით ტექსტის ელექტრონული ბაზა ვარიანტული

Georgi Kalandadze
Association for Textual and Editorial Studies and
Digital Humanities, Georgia
gkalanda@hotmail.com

*The relation of the collection “The Golden Spring”
compiled by St. Gabriel Mtsire to its primary sources -
Euthymius the Athonite translations of the works of John
Chrysostom.*

Compiler of the collection “Golden Spring” St. Gabriel Mtsire lived at 18th century in Gareja. “Golden Spring” includes 100 teachings of John Chrysostom.

In present research, our aim is to resolve the following scientific questions: 1. From which source did Gabriel Mtsire get the studies of John Chrysostom included in the “Golden Spring”. 2. What changes did Gabriel Mtsire make regarding the primary sources for the collection “Golden Spring”.

To reach scientific goal we created a digital base of the collection “Golden Spring”; We researched different studies of John Chrysostom; Using a comparative method traced their primary sources of the “Golden Spring”. We studied the manuscripts using inductive and hypothetico-deductive, paleographic and genealogical research methods. We used the exclusion method. Using the corpus research method, we grouped the differences between the “Gold Spring” and its primary sources.

Results of the research: the primary sources of the collection “Golden Spring” are the Euthymius the Athonite translations of the texts of John Chrysostom, which are attached to the texts of the commentary of the Gospel of Matthew and John. Based on comparison, it has been established that St. Gabriel replaces the titles of studies in most cases

სხვაობებითურთ. კორპუსული კვლევის მეთოდის გამოყენებით დავაჯგუფეთ „ოქროს წყაროსა“ და მის პირველწყაროებს შორის არსებული სხვაობანი.

კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი: კრებულ „ოქროს წყაროდს“ პირველწყაროებს წარმოადგენს იოანე ოქროპირის ტექსტების ეფთვიმე მთაწმინდლისეული თარგმანები, რომლებიც მათეს და იოანეს სახარების განმარტების ტექსტებს ერთვის. ამ ტექსტების შემცველი ხელნაწერები მრავლადაა სიძველეთსაცავებში, მაგრამ მათ შორის უმნიშვნელოვანესი 10-11 საუკუნეების ხელნაწერებია. ურთიერთშედარების საფუძველზე დადგინდა, რომ გაბრიელ მცირე სწავლათა სათაურებს უმრავლეს შემთხვევაში ცვლის სხვა სათაურით, ასათაურებს მათ შინაარსის მიხედვით და უჩენს მათ სასურველ ადგილს შინაარსის მიხედვით. ზოგჯერ გაბრიელ მცირე პირველწყაროში წარმოდგენილ ორ სწავლას აერთიანებს კომპილაციური მეთოდით და ერთ თხრობად გარდაქმნის. ზოგჯერ პირველწყაროს ერთი სწავლა „ოქროს წყაროში“ ორ სწავლადაა წარმოდგენილი. ზოგჯერ ტექსტები ენობრივი თვალსაზრისითაც სხვაობენ.

კვლევა საინტერესოა ფილოლოგიით დაინტერესებულ პირთათვის და წარმოაჩენს გაბრიელ მცირის შემდგენლობით თავისებურებებს, 10-11 და 18-ე საუკუნეების ენობრივ განსხვავებებს.

with other titles and gives the desired substantive position. Sometimes Gabriel Mtsire combines two studies compiling them in one teaching; Sometimes vice versa. There are also linguistic differences.

The research is of interest to those interested in philology and presents the compositional features of Gabriel Mtsire, the linguistic differences of the 10-11th and 18th centuries.

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

salomesokhumi@yahoo.com

ქართულ-სომხური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობები ტიციან ტაბიძის პუბლიცისტური წერილებში

კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობები ყველა ერის ისტორიის მნიშვნელოვანი შემადგენელია. ის არა მარტო ასახავს კულტურული სივრცის მრავალფეროვნებას, არამედ წარმოაჩენს მისი თვითგადარჩენის უნარს აკულტურაციის შეუქცევად პროცესებში. ასეთ მოცემულობაში საქართველო ყოველთვის ახერხებდა, შეენარჩუნებინა თავისთავადობა და, ამასთან, ყოფილიყო მსოფლიო კულტურული პროცესების თანაზიარი. ამ თვალსაზრისით, საინტერესო პერიოდს წარმოადგენს მეოცე საუკუნის დასაწყისი, როდესაც ეპოქალური ცვლილებების ფონზე კიდევ უფრო წარმოჩნდა ქართველ მწერალთა ინტერკულტურული განაზრებების ტრადიციები, მეგობრული ურთიერთობებისთვის მუდმივი მზადყოფნა და კეთილგანწყობა. ქართველმა სიმბოლისტებმა, მათ შორის ტიციან ტაბიძემ, დიდი ამაგი დასდეს ქართულ-რუსულ და ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს. ევროპული მწერლობის პარალელურად, ტიციან ტაბიძის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ამიერკავკასიის მწერალთა შემოქმედება. ტიციან ტაბიძეს მათთან პირადი მეგობრობაც აკავშირებდა. მის პუბლიცისტურ წერილებში წარმოჩენილია ეპოქის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მაჯისცემა, ისინი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც იმ პერიოდის თანამედროვე სომეხ მწერალთა ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევისათვის საყურადღებოა. ნაშრომში მიმოხილული ტიციან ტაბიძის პუბლიცისტური წერილები ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი მათიანეა, რომელიც ასახავს არა მარტო ეროვნული ლიტერატურის განვითარების დინამიკას, არამედ ქმნის ამიერკავკასიაში მიმდინარე კულტურული პროცესების ზოგად სურათს.

*Georgian-Armenian cultural-literary relations in Titian
Tabidze's journalistic writings*

Cultural-literary relations are an important component of the history of every nation. It not only reflects the diversity of the cultural space, but also demonstrates its self-preservation ability in the irreversible processes of acculturation. In such circumstances, Georgia always managed to maintain its independence and, at the same time, to be a participant in world cultural processes. From this point of view, the beginning of the twentieth century is an interesting period, when in the background of epochal changes, not only the traditions of intercultural considerations of Georgian writers, but also the constant readiness for friendly relations appeared even more. Georgian symbolists, including Titian Tabidze, made a great contribution to Georgian-Russian and Georgian-Armenian literary relations. Along with European writing, Titian Tabidze was particularly interested in the works of Transcaucasian writers. The writer had a personal friendship with them. In his journalistic letters, the pulse of the literary-cultural relations of the era is presented, it contains information that is noteworthy for the study of the biography and creativity of Armenian writers of that period. The journalistic letters of Titian Tabidze reviewed in the paper are a kind of chronicle of literary and public life, which reflects not only the dynamics of the development of national literature, but also creates a general picture of the cultural processes taking place in Transcaucasia.

ეკა კაჭარავა

საქართველოს უნივერსიტეტი
ekkacharava@gmail.com

არაგვის ერისთავთა გენეალოგიის საკითხისათვის (XVIII-XIX საუკუნეების მიჯნა)

ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი, არაგვის საერისთავოს ისტორიის კვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა, მიუხედავად ამისა, სადღეისოდ არ არის სრულფასოვნად შესწავლილი.

არაგვის საერისთავოს ისტორია ცნობილია, როგორც საკუთრივ ფეოდალური სახლის შიგნით თუ სხვა ფეოდალურ ერთეულებთან ბრძოლის სისასტიკით, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებითა და სეპარატიზმისკენ მიდრეკილებით, ზოგ შემთხვევაში მასზე უპირატესობის მოპოვების მცდელობითაც.

ჩვენი მიზანია, XIX საუკუნეში გაუქმებული არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა ცნობებში შემონახული გენეალოგიისა და დღემდე აღნიშნულთან დაკავშირებული, ჩრდილში მოქცეული პირველწყაროების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება არაგვის საერისთავოს გაუქმების ისტორია - მიზეზები და შედეგები, საერისთავოს დაბრუნების სურვილი და მცდელობები, დაბოლოს, არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა და სხვა ცნობებში ასახული არაგვის ერისთავთა გენეალოგია.

ამდენად, კვლევის შედეგად გამოქვეყნდება დღემდე უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროები, მათი მეშვეობით რეკონსტრუირებული იქნება უძლიერესი ქართული ფეოდალური სახლის საერისთავოს გაუქმების შემდგომი ისტორია, დაზუსტდება და შეივსება არაგვის ერისთავთა გენეალოგია.

*For the issue of genealogy of Aragvi Eristavi
(18-th – 19-th centuries)*

The study of the history of Aragvi Saeristavo, one of the strongest in the country, occupies an important place in Georgian historiography, but despite this, it is not fully studied.

The history of Aragvi Saeristavo is known for the brutality of fighting within the feudal house itself or with other feudal units, as well as for confrontation with the central government and tendency towards separatism, in some cases by trying to gain an advantage over it.

Our goal is to bring the genealogy preserved in the records of the legal heirs of the Aragvi Saeristavo, that was canceled in the 19-th century, as well as the primary sources related to the aforementioned, which are still in the shadows, into the scientific circulation.

The paper will present the history of the abolition of the Aragvi Saeristavo – causes and consequences, the willingness and attempts to return, and finally, the genealogy of the legal heirs of the Aragvi Saeristavo and other references.

Thus, as a result of the research, unknown and little-known sources will be published, through them the history after the abolition of the nobility of the strongest Georgian feudal house will be reconstructed, and the genealogy of the nobles of Aragvi will be clarified and completed.

ბუბა კუდავა

კავკასიის უნივერსიტეტი

bkudava@artanuji.ge

*დემნა უფლისწული, ორბელთა ამბოხი და ქალის
გამეფების რევოლუცია
(ნაცნობი ისტორიის ახლებური წაკითხვის
მცდელობანი)*

XII საუკუნის 50-70-იანი წლების შიდაპოლიტიკური ბრძოლა ერთ-ერთი საინტერესო საკითხია საქართველოს სამეფოს ისტორიაში. აღნიშნული მოვლენების შედეგად ქალი აღმოჩნდა სამეფო ტახტზე, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო არა მხოლოდ საქართველოსა და მთელი რეგიონისთვის, არამედ ზოგადად, იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაშიც.

თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული ვერსია თითქმის სრულად თანხვედრა გამარჯვებული სამეფო შტოს კარის მემკვიდრეთა ისტორიას. არადა, უფროსი ძმის - დავით V-ის საეჭვო გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასული გიორგი III-ის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა შეიძლება დაისვას. რა ვითარებაშიც არ უნდა გამეფებულიყო გიორგი, ფაქტია, რომ ზეობის ბოლო პერიოდისთვის დინასტიის უფროსი ხაზის წარმომადგენელი, დავითის ძე - დემნა ბატონიშვილი უკვე მოწიფულ ასაკშია. გიორგი მის კანდიდატურას არ განიხილავს, მიუხედავად იმისა, რომ თავად მემკვიდრე გაჟი არა ჰყავს.

მიჩნეულია, რომ დემნა უფლისწულის გამეფების მიზნით მოწყობილი „ორბელთა ამბოხი“ მეფისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა რთული წარმოსადგენია, გამოცდილ და ძლიერ გიორგი III-ს, თან, ლეგიტიმაციისა და მემკვიდრის პრობლემის მქონეს, ამ მხრივ ყურადღება მოედუნებინა. ადრე თუ გვიან, ივანე ორბელის სიძეობით ზურგშემავრებული დემნა კუთვნილ ტახტს მოითხოვდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, მეფეს მოეხსენებოდა, შესაბამისად, ნებისმიერ გამოსვლას მომზადებული დახვედებოდა.

Prince Demna, the Orbeli Rebellion and the Revolution of Female Coronation (Some New Ways of Reading a Familiar Story)

The internal strife of the 1150-1170s is one of the most fascinating episodes in the history of the medieval Georgian kingdom. As a result of these events, a woman became a monarch, which was unprecedented not only for Georgia, but for the entire region, as well as a relatively rare instance in world history.

The version that is currently standard in Georgian historiography reflects relatively faithfully the story told by historians of the victorious branch of the ruling dynasty. However, still many questions can be asked regarding the legitimacy of the rule of Giorgi III who came to power after the suspicious death of his elder brother David V. Independent of the circumstances of his enthronization, at the end of his rule, it is obvious that the representative of the elder branch of the dynasty Demna, son of David was already mature. Giorgi, however, ignored his candidacy even though he did not have a male heir.

It is usually suggested that King Giorgi was surprised by the Orbeli rebellion organized for Prince Demna. However, it is difficult to imagine that the dogged and powerful Giorgi III, who experienced problems with legitimacy and heir, would have lowered his guard in this respect. Sooner or later, Ivane Orbeli's son-in-law, Demna would have demanded his throne and the king must have been prepared for this. The rebellion came in handy for Giorgi and it is also likely that he had actively or passively provoked it. This process was an excellent excuse to not only eliminate Demna but to also identify and punish opposition forces within the kingdom. Crucially, the king needed a powerful impetus that would have shaken the country. This would

მეტიც, ამბოხი უპირველესად სწორედ გიორგის აძლევდა ხელს და არ არის გამორიცხული, მის პროვოცირებაშიც მიეღო აქტიური თუ პასიური მონაწილეობა. ასეთი პროცესი მხოლოდ დემნას ჩამოსაშორებლად როდი იქნებოდა ხელსაყრელი. მეფეს ოპოზიციური ძალების გამოვლენისა და დასჯა-დამცრობის ლეგიტიმური უფლება ეძლეოდა. და მთავარი: გიორგი III-ს მძლავრი, ქვეყნის შემარყეველი ბიძგები სჭირდებოდა, რათა შემდგომ, აჯანყების ჩახშობისა და გამარჯვების ფონზე, წინ ველარავინ აღდგომოდა რევოლუციური გადაწყვეტილების - ქალის გამეფების განხორციელებაში.

თამარის ტახტზე ასვლას, როგორც წესი, დემნა-ორბელთა დამარცხების შედეგად განვიხილავთ. არადა პირიქით ჩანს: ქალიშვილის გამეფება გიორგის კარგა ხნის ჩანაფიქრი უნდა ყოფილიყო (არა მხოლოდ სენტიმენტებზე დამყარებული), რასაც ჯერ დემნას ჩამოცილება სჭირდებოდა. ბიძა-ძმისწულის დაპირისპირება გარდუვალი იყო და ორივე მხარე სათანადოდ მოემზადებოდა კულმინაციისათვის.

წყაროებში არ იკვეთება თამარის რაიმე სახით მონაწილეობა გამეფებამდე (თანამეფობამდე) განვითარებულ მოვლენებში და მკვლევარნიც არ ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა შეუძლებელი უნდა იყოს, სრულწლოვანი სამეფო კანდიდატი რაიმე ფორმით არ ყოფილიყო ასეთი მნიშვნელოვანი პროცესების მონაწილე.

have allowed him later, once the rebellion was suppressed, and once all opposition was silenced – to bring his daughter to power.

Tamar's coronation is usually believed to have occurred after the defeat of the Orbeli and Demna rebellion. Nevertheless, it appears that the opposite happened: Giorgi had long considered coronating his daughter (not merely based on his sentiments), which would require Demna's elimination first. A standoff between the uncle and the nephew was imminent and both parties prepared accordingly for the culmination.

The sources are silent regarding Tamar's participation before her coronation / co-regency in the events and the scholars also tend to ignore this aspect. However, it is unlikely that a mature candidate for kingship would not have been involved in one way or another in the developments.

ნანა კუპრაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

n.kupradze@ug.edu.ge

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი (ზოგიერთი ნაწარმოების მაგალითზე)

ლიტერატურული ზღაპარი გარკვეული ნიშნებით განსხვავდება ხალხურისგან, ის, ისევე, როგორც სხვა სახის ნაწარმოები მწერლისა, გამოხატავს ავტორის მსოფლმხედველობას, პოზიციას, სოციალურ-პოლიტიკურ თუ ესთეტიკურ შეხედულებებს.

ლიტერატურული ზღაპარი წარმოსახავს იმ ეპოქას, რომელშიც იგი შეიქმნა და იმ მიმართულებას, რომელსაც მწერალი განეკუთვნება. ის ეფუძნება ან ფოლკლორულ წყაროებს, ან წარმოადგენს თვით ავტორის მხატვრულ გამოწვლილს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, გამოხატავს ავტორის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს.

აღსანიშნავია ლიტერატურული ზღაპრის სატირულ-იუმორისტულ გამიზნულობაც, ღრმა ფსიქოლოგიზმი, დეტალიზაციისკენ სწრაფვა. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, უცხოა ხალხური ზღაპრისთვის.

ლიტერატურული ზღაპარი, ხალხურისგან განსხვავებით, წარმოგვიდგენს მკვთრად გამოხატულ ხასიათებს, ტიპებამდე ამაღლებულსაც კი. ხალხური ზღაპრის ამოცანა არ არის მკითხველისა თუ მსმენელის დარწმუნება ამბის სინამდვილეში. ამის შესაბამისია ზღაპრის თხრობის სტილიც. ამასვე მიუთითებს მისი დასაწყისის ტრადიციული ფორმა - „იყო და არა იყო რა“, ხოლო ლიტერატურულ ზღაპარში დეტალიზაცია, პერსონაჟთა მეტყველება, ქცევა ზოგჯერ დაუჯერებელსაც დამაჯერებლობის იერს აძლევს, ან მკითხველის დაკვირვებისა და დაფიქრებისკენ ხსნის გზას. ამასთანავე, ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპარს ბევრი რამ აახლოებს.

Vaja-Pshavela's literary tail (depend on some example of novel)

literary tail is different from folk-lore tail with some signs. It expresses author's worldview, position, esthetic political and social views as his other novels.

literary tails express that era and images in which it is created, also an author's direction, or present author's literary fiction and invention, however it expresses author's ideological literary project.

the author's satiric-humorous plan, deep phsicology of literary tail is important, aspiration for details. All of these of course are unknown for folklore tail.

literary tail performs pronounced characters. the aim of literary tail is not to get sure reader in reality of story. its conformable the style of retelling and the form of start tail- "one upon a time", and in literary tail detailing, speech sometimes becomes incredible as convincing, or it opens way for thinking and observation of reader.

Also many things bring literary and folklore tails closer. literary tail is more expressional, there is described place of action, materials, accidents literally and in details. the author tries to reach inner world deeply, expresses their emotions. what about Folklore tail...? in it getting rid of detailing is revealed, because to bring out the obvious means creators equal observation, therefore characters of literary tail are not like generalized type of folklore tail, they creat unrepeatable individual faces.

ლიტერატურული ზღაპარი ფოლკლორულისგან განსხვავებით, უფრო მეტად გამომსახველობითია. მასში დეტალურად და მხატვრულად არის აღწერილი მოქმედების ადგილი, მოვლენები, საგნები. ავტორი ცდილობს პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს სიღრმისეულ წვდომას, წარმოსახავს მათ ემოციებს. რაც შეეხება ფოლკლორულ ზღაპარს, მასში ზედმეტი დეტალიზაციისაგან თავს იკავებს ავტორი, რადგან დეტალების გამოტანა - გამომზეურება დიდ დროსა და შემოქმედთა თანაბარი დაკვირვების უნარს გულისხმობს, აქედან გამომდინარე, ლიტერატურული ზღაპრის პერსონაჟები ფოლკლორული ზღაპრის განზოგადებულ ტიპებს კი არ ჰგვანან, არამედ განუმეორებელ ინდივიდუალურ სახეებს ქმნიან.

ყოველივე ზემოთქმულს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ლიტერატურული ზღაპარი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ ავტორის მსოფლმხედველობა, მისი ღირებულებები. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი თითქმის შეუსწავლელია.

მწერლის მრავალი ზღაპარი საინტერესოა, როგორც თემატურად, ასევე მხატვრული სტილის თავისებურებით. ამ ზღაპრებში გამოხატულია ხელოვანის დამოკიდებულება საზოგადოებრივი პრობლემებისადმი, სოციალური, პოლიტიკური თუ მორალურ-ზნეობრივი საკითხების მიმართ.

*დავით ჩუბინაშვილი - პირველი ქართველი
პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში*

სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ დავით ჩუბინაშვილის, როგორც ისტორიკოსის სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი იყო ფართო ჰუმანიტარული პროფილის მეცნიერი; არქეოლოგი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, მკვლევარი, ისტორიკოსი, პედაგოგი. მისი ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალმხრივ საინტერესოა. იგი იყო პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში; დავით ჩუბინაშვილის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთში ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლების შემოღება. მან დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემის საქმეში. დიდი ამაგი დასდო ქართულ ლექსიკოგრაფიას. დავით ჩუბინაშვილის მიერაა მოპოვებული არაერთი ძველი ქართული ხელნაწერი, რომლებიც მთელ თავის ბიბლიოთეკასთან ერთად “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას” გადასცა.

დავით ჩუბინაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული საისტორიო მეცნიერების, ლექსიკოგრაფიისა და რუსთველოლოგიის განვითარების ისტორიაში. გარდა ამისა, დავით ჩუბინაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში; სასწავლებლებისათვის ქმნიდა დამხმარე სახელმძღვანელოებს, ბეჭდავდა სტატიებს ჟურნალ-გაზეთებსა და ენციკლოპედიებში.

Tamriko Lekiasvili
The University of Georgia
t.lekiashvili@ug.edu.ge

*Davit Chubinashvili - The Pioneering Georgian Scholar at St.
Petersburg University*

The aim of this article is to elucidate the scholarly endeavors of Davit Chubinashvili as a historian. He distinguished himself as a polymath, encompassing the roles of archaeologist, linguist, literary critic, researcher, historian, and educator within his purview. His life narrative and the enduring impact of his academic contributions possess multifaceted and compelling facets.

Davit Chubinashvili stands as a seminal figure in the annals of St. Petersburg University, being the first Georgian professor to hold this esteemed position. His name is indelibly linked to the seminal introduction of the Georgian language, script, and the rich historical tapestry of Georgia into the academic milieu of Russia. His indefatigable efforts were instrumental in the systematic exploration and dissemination of ancient Georgian manuscripts and writings.

Chubinashvili's indomitable scholarly spirit significantly enriched Georgian lexicography. He meticulously amassed a substantial collection of ancient Georgian manuscripts, subsequently bequeathing them, along with his comprehensive library, to the "Society for Spreading Literacy among Georgians."

Furthermore, Davit Chubinashvili etched an enduring legacy in the domains of Georgian literary studies, historical scholarship, lexicography, and Rustvelology. Beyond academia, he ardently engaged in the cultural vibrancy of Georgia, contributing supplementary educational materials for schools and disseminating his erudition through articles published in prominent journals and encyclopedias.

ესმა მანია

კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრი

esmamania2@gmail.com

გრაფემატული მონაცემი და მისი ტექსტოლოგიური კვლევის პოტენციალი

ტექსტოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების – ხელნაწერის დათარიღებისთვის მივმართავთ ისეთ საკვლევ წყაროს, როგორიცაა ავტოგრაფი, ხელწერა, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი. გრაფემატული კვლევა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული ავტორისთვის გრაფემატა მოხაზულობის მახასიათებლების კანონზომიერებებისა და ტენდენციების დადგენას. ბუნებრივია, ეს მახასიათებლები არ არის მყარი ქრონოლოგიურ ჭრილში, ის გარკვეული პერიოდულობით იცვლება, განსაკუთრებით ისეთ ავტორებთან, რომლებიც ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან. სწორედ ამიტომ, კვლევის პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმის დადასტურება, თუ როგორ ჰგავს გრაფემები ერთმანეთს წლების განმავლობაში, არამედ სწორედ ქრონოლოგიურ ჭრილში თითოეული ასოს ან წყვილის მოხაზულობაში რამე განმასხვავებელი ნიშნის მოძიება.

კვლევა ამ მიზნით ითვალისწინებს უთარილო საარქივო ერთეულების დასათარიღებლად თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე დამყარებული მეთოდოლოგიის შემუშავებას. ეს მეთოდოლოგია უნდა დაეყრდნოს ერთ პრინციპს: იდენტური კომპონენტების დიდი სიმრავლის აღქმის შედეგად უნდა გამოიკვეთოს ერთი საკვლევი მოხაზულობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ქრონოლოგიურ ჭრილში. სტერეოტიპულად განზოგადებული მონაცემები კი, როგორც დამწერისთვის კონკრეტული წლისთვის ნიშნეული შაბლონი, გამოვიყენოთ დაუთარი-

Esma Mania
Korneli Kekelidze
Georgian National Centre
of Manuscripts
esmamania2@gmail.com

*Graphematic data and its potential
for textual studies*

For one of the main areas of textual study - manuscript dating, we refer to such a research source as an autograph, manuscript, as a special category of personal data. Graphematic study involves determining regularities and trends in characteristics of grapheme outline for one specific author. Naturally, these characteristics are not fixed chronologically, they change periodically, especially with those authors who are engaged in intensive creative work. That is why in the process of study it is important for us not to confirm how the graphemes are similar to each other over the years, but to look for some distinctive sign in the outline of each letter or pair in a chronological sense.

For this purpose, the study envisages the development of a methodology based on modern digital technologies for dating undated archival units. This methodology should be based on one principle: as a result of the perception of a large number of identical components, the characteristic features of one researched outline should be identified in chronological order. Stereotypically generalized data, as a template for a specific year for the writer, should be used for dating undated manuscripts.

We have taken Galaktion Tabidze's dated manuscripts from each year of his complete creative cycle as the research object. Based on the dated manuscripts of Galaktion Tabidze, we are working on the creation of several types of segmented database, namely: 1. Grapheme

ღებელ ხელნაწერების დათარიღებისათვის.

საკვლევ ობიექტად აღებული გვაქვს გალაკტიონ ტაბიძის თარიღიანი ხელნაწერები მისი სრული შემოქმედებითი ციკლის ყოველი წლიდან. სწორედ, გალაკტიონ ტაბიძის თარიღიან ხელნაწერებზე დაყრდნობით ვმუშაობთ რამდენიმე სახის სეგმენტირებული ბაზის შექმენაზე, ესენია: 1. გრაფემათა მოხაზულობის ბაზა; 2. ქრონოლოგიური ბაზა; 3. აღწერითი ბაზა. ეს ბაზები აუცილებელია კოდირების სისტემის ოპტიმიზაციისთვის.

კვლევის ეს მიმართულება ჩვენი ქვეყნისთვის ახალია. ამიტომ მასალის გაანალიზების კვალდაკვალ მუდმივად ახალ, ლოგიკურ გზებს ვეძებთ, რის შედეგადაც პერიოდულად იხვეწება და მოდელირდება მეთოდოლოგია.

ამ კვლევით დათარიღდება გალაკტიონ ტაბიძის არაერთი ტექსტი, რითაც ისინი დაუკავშირდება ავთენტურ ისტორიულ და ბიოგრაფიულ კონტექსტს. მეორე მხრივ, ეს მეთოდოლოგია სამომავლოდ არაერთ ქართველოლოგიურ პროექტს ჩაუყრის საფუძველს.

outline database; 2. Chronological base; 3. Descriptive base. These bases are necessary to optimize the coding system.

This direction of research is new for our country. Therefore, in the wake of analysing the material, we are constantly looking for new, logical ways, as a result of which the methodology is periodically improved and modelled.

With this study, a number of Galaktion Tabidze's texts will be dated, thus connecting them to the authentic historical and biographical context. On the other hand, this methodology will lay the foundation for many Georgian projects in the future.

მაია მაჭავარიანი

საქართველოს უნივერსიტეტი
maia.machavariani@yahoo.com

უკრაინის საკითხი ქართული პრესის ფურცლებზე

სტატიაში განიხილულია, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, რუსეთის მთავარსარდლის, ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მცხოვრებთათვის მიმართვიდან გამომდინარე, რა როლს თამაშობს პრესა ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ქართული გაზეთები ავლებენ პარალელს ორი ერის ისტორიულ წარსულსა და აწმყოს შორის, აშუქებენ უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების საგულისხმო საკითხებს და იძლევიან სათანადო შეფასებებს. აღიარებენ მათი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთოდურ ხაზს და მკითხველს უჩვენებენ მაგალითს, რომლიდანაც ქართულ მოწინავე საზოგადოებას ბევრი რამის გათვალისწინება მოუწევდა. მთავარსარდლის მოწოდებაში დაფიქსირებული რუსეთის პოზიცია ქართულ პრესას და მისი საშუალებით, საზოგადოებას იმედს აძლევდა, რომ ომის შემდგომ მოკავშირეები აიძულებდნენ რუსეთს ეფიქრა მის შემადგენლობაში მყოფი პატარა ერების მომავალზე.

ქართული პრესა აშუქებს მთავარსარდლის მოწოდებას ევროპული, რუსული და ქართული პრესის მასალებზე დაყრდნობით და მათ შორის, პარალელის გავლებით, ნათლად აჩვენებს, რომ თითოეული მათგანი ამ მოწოდებას თავისი პოზიციებიდან გამომდინარე აფასებდა. თუმცა, ყველა პრესის აზრი ერთმანეთს ერთში ემთხვეოდა, რომ იმპერიული რუსეთის მთავრობის ეს მიმართვა იყო უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი და პროგრესული მოვლენა.

საყურადღებოა, რომ ქართველ პუბლიცისტთა მიერ XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში დასმული პრობლემური საკითხები, გამოთქმული ვარაუდები, აზრები, შეხედულებები, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიასა და მასში შემავალ პატარა

Issue of Ukraine on the pages of Georgian press

In this article we can find the discussion of the role of press in the formation of Georgian public opinion at the commencement of First World War (coming from the appeal of big prince Nikoloz). Position of newspapers, as the mirror of the society, had great importance while publishing materials on this issue. This appeal had to become the hope for Georgian people, as well as Ukraine, Georgia was also the part of the empire of Russia. Newspapers, on the basis of analytical letters of Georgian publicists and materials of European and Russian press, published the appeal of Nikoloz (commander of the Russian Armies) and made parallels between above mentioned materials and analytical letters. With the help of the mentioned comparable analysis and evaluation Georgian press clearly showed that all had their own positions (interests) towards this appeal. Nevertheless, all presses had one common idea: This appeal of the government of Russia is great step for future and progressive event. Newspapers understood and acknowledged the main reason of this appeal. According to them, this was forced step caused by the political situation, because arrangement of forces in Eastern Europe after war depended very much on the political orientation of Ukrainian people (front-line unit).

Newspapers make parallel between historical past and present of two nations, they cover important subjects of politic-economical life of Ukraine and make appropriate evaluations. In addition, at the same time newspapers recognize methodic line of struggle for independence and show to the reader example that can be useful for the society of Georgia.

Position of Russia in the appeal of Nikoloz (commander of the Rus-

ერებთან მიმართებაში 100 წლის შემდეგ, კვლავაც აქტუალური და დამაფიქრებელია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე უკრაინის შესახებ, ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები, ჯერ-ჯერობით მთლიანად არ არის შესწავლილი და გაშუქებული. ამდენად, წარმოდგენილი სტატია წარმოადგენს, ამ ხარვეზების ნაწილობრივ შევსების ერთობ მოკრძალებულ ცდას.

sian Armies) and in appeals of leaders of the Entente gave sparkle of hope to the society. Hope that allies will force Russia to think about the future of small nations after the war.

It is noteworthy that the Publicists of the issues raised in the summary report of the XX century, assumptions, thoughts, opinions, and especially regarding the Russian Empire and its member nations is still relevant and thought provoking even 100 years later,.

All published materials in regarding the issue, are not yet fully studied and highlighted. Thus this article represents a little try of fulfilling the gap.

გიორგი მაჭარაშვილი

გიორგი წერეთლის

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

gi.machara@gmail.com

სახლი-ერი

შუა საუკუნეების ქართულ ტექსტებში „ერისა“ და „სახელმწიფოს“ აღსანიშნავად ზოგჯერ სიტყვა „სახლი“ გამოიყენება. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საქართველოს სამეფოს „თამარის სახლს“ უწოდებს, „პეტრე ქართველის ცხოვრებაში“ ბიზანტიის აღსანიშნავად გამოიყენება „სახლი ბერძენთა“, ხოლო სტეფანე მტბევარი „გობრონის წამებაში“ წერს - „ემსგავსა სახლი იგი სომხითისად კაცსა მას უგუნურსა რომელმან დადგა [სახლი] საფუძველსა ზედა საცთურებისასა და ქვშასა ზედა და ვითარ აღდგეს კუეთებანი, დაეცა და იყო დაცემად მისი დიდ ფრიად“.

მართალია ამ ციტატებში „სახლი“ მთელ ერსა და მთელ ქვეყანას აღნიშნავს, მაგრამ ზოგჯერ იგი ცალკეული საფეოდალოს მნიშვნელობითაც შეიძლება გამოიყენებოდეს. ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მათიანეში“ იხსენიება „სახლი ავაგისი“, ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს - „მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი... და ესრეთ დასრულდა სახლი ბალუაშთად, სახლი განმამწარებელთად“.

მოხმობილი ციტატებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეების ქართველი ავტორები ბიბლიური ცნებებითა და ალევგორიებით აზროვნებენ. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა „სახლი განმამწარებელთად“, როგორც ჩანს, ებეკიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან აიღო (მდრ. ებეკ. 12:2,3,9,25,27), ხოლო სტეფანე მტბევარი „სომეხთა სახლის“ დაცემაზე სახარებისეული იგავის მიხედვით წერს (მდრ. მათე 7:27; ლკ. 6:49).

და მართლაც, ბიბლიაში „სახლი“ ხშირად აღნიშნავს მთელ

Giorgi Macharashvili

Giorgi Tsereteli Institute
of Oriental Studies

(Ilia State University)

gi.machara@gmail.com

House-Nation

In medieval Georgian texts, the word “house” is sometimes used as a synonym for “nation” and “state”. The author of “Histories and Eulogies of the Sovereigns” calls the kingdom of Georgia “the house of [King] Tamar”; “the house of the Greeks” is used to designate Byzantium in “The Life of Peter the Iberian”; and Stefane Mtbevari (bishop of Tbeti) writes in “The Martyrdom of Gobroni”: “The house of Armenia has become like a foolish man, who built [his house] based on lies and sand. And when the storm arose, he fell, and his fall was very massive.”

In these quotations, “house” refers to the entire nation/country, but sometimes it is also used in the sense of a distinct feudal clan. The author of “The Chronicle of a Hundred Years” mentions “the house of Avagi”, and the Anonymous historian of King David the Builder writes – “Rati, son of Lipariti, died... And so, the house of Baghvashi came to its end, the house of rebels.”

It is evident from these citations that medieval Georgian authors thought with biblical allegories and concepts. For example, the historian of King David the Builder borrowed “the house of rebels” from the book of the prophet Ezekiel (cf. Ezek. 12:2,3,9,25,27), and Stefane Mtbevari writes about the fall of “the house of Armenians” according to the Gospel parable (cf. Mt. 7:27; Lk. 6:49).

Indeed, in the Bible, “house” often refers to an entire nation or country. For example, Israel is called “the house” (Jer. 3:20; Ezek.

ერს, ან ქვეყანას. „სახლად“ იწოდება, მაგალითად, ისრაელი (იერ. 3:20; ეზეკ. 39:23; მათე 15:24). აშკარაა, რომ ბიბლიური „სახლი ისრაელისა“ არის, თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „ერი-სახელმწიფო“. ეთნოსიმბოლისტების თანახმად, ძველი აღთქმის ისრაელი წარმოადგენს დახვეწილ ნიმუშს იმისა, თუ რას ნიშნავს ერად ყოფნა. ამიტომ, ბიბლიის წიგნების ადგილობრივ ენებზე თარგმნა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა (ა. ჰეისტინგსი, ე. სმიტი). ანალოგიურ სურათს შუა საუკუნეების საქართველოშიც ვხედავთ.

39:23; Mt. 15:24). Obviously, the Biblical “house of Israel” is the nation-state, to use the modern term. According to ethnosymbolists, the Old Testament Israel presents a developed model of what it means to be a nation. Therefore, the translations of the Bible into local languages proved the decisive factor in the development of a sense of nationhood in the Christian West (A. Hastings, A. Smith). We see a similar picture in Medieval Georgia.

*შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების
ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება
(ნადირობა)*

შუა საუკუნეების საქართველოში მკვეთრად იყო გამოიჯნული - სახელმწიფო ნადირობა, იგივე „სანადიროდ გალაშქრება“, ე.ი. „მაღალი ნადირობა“ და „მდაბიური ნადირობა“.

მასშტაბურ სამეფო ნადირობას საქართველოში „სანადიროდ გალაშქრებას“ უწოდებდნენ. „სანადიროდ გალაშქრება“ ვასალური მოვალეობა იყო, მასში მონაწილეობა ევალეობდა ყველა მოლაშქრეს რანგისა და წოდების მიუხედავად. მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე მეფე ამ ვალდებულებისაგან მოხუცის ან უძღურის გარდა, როცა „ლაშქრობა აღარ შეეძლო“ არავის ანთავისუფლებდა.

სახელმწიფო ნადირობის, იგივე „სანადიროდ გალაშქრების“ ორგანიზება მონადირეთუხუცესს ევალეობდა. მისი თანამდებობა საპატიო იყო და მას განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდა.

არსებობდა მეფის მონადირეთა სპეციალური, მემკვიდრეობითი კატეგორია, რომელიც მონაწილეობას იღებდა როგორც მასშტაბურ სამეფო ნადირობაში, ისე მეფის კარისათვის ნანადირევით მომარაგების საქმეში.

მეფის მონადირეები წოდებრივად მსახურ-მოლაშქრეები იყვნენ და გლეხურ შრომას არ ეწეოდნენ, ისინი პირადად ემსახურებოდნენ მეფეს ან ფეოდალს, რის სანაცვლოდაც გასამრჯელოს იღებდნენ. ნადირობაში მონაწილეობის ბეგარამ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ საკანონმდებლო ხასიათი მიიღო.

„სანადიროდ გალაშქრება“ ერთგვარი „ომის სკოლა“ და ლაშქ-

Everyday Life of Medieval Georgian Society

(Hunting)

In medieval Georgia there were clearly distinct types of hunting: state hunting or a ‘hunting campaign’, i.e. ‘royal hunting’ and ‘common hunting’.

In Georgia wide-scale royal hunting was referred to as a ‘hunting campaign’. It was a vassal duty and, despite their rank and title, every warrior was obliged to participate in it. Given its enormous importance, the king would not free anybody from this duty but the elderly and frail – ‘no more able to hunt’.

The chief royal huntsman was in charge of organizing the state hunting, or a ‘hunting campaign’. This position was highly honorable and the holder enjoyed special privileges.

There existed a special hereditary category of hunters who took part in both wide-scale royal hunting and supplying the royal court with the game.

King’s hunters bore the title of servant-campaigners and did not do any farmer jobs. They personally served the king or a feudal lord and received payment in turn. The tax of participation in hunting took a legislative form in the Dasturlamali of King Vakhtang VI.

The ‘hunting campaign’ was a kind of ‘military school’ and a means of training, battle readiness and examination.

‘Common hunting’ was largely an auxiliary means of providing a family with food.

Falconry was common practice in Georgia. its main function was

რის წვრთნის, სამხედრო მზადყოფნის და შემოქმედის ფორმა იყო.

„მდაბიური ნადირობა“ ძირითადად ოჯახის საკვებით უზრუნველყოფის დამხმარე საშუალება იყო.

საქართველოში მეტად გავრცელებული იყო სანადირო ფრინველით ნადირობა, მის უმთავრეს დანიშნულებას გართობა წარმოადგენდა და ძირითადად თავადაზნაურთა მიერ იყო გამოყენებული.

entertainment and was mainly applied by the nobility.

სოფიო მენტეშაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
sopio.menteshashvili@gmail.com

*სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“
კიდევ ერთი ხელნაწერი (A-627)*

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ დოგმატური ხასიათის თხზულებაა, რომელშიც კითხვა-მიგების ფორმით გადმოცემულია ქრისტიანული რელიგიის ძირითადი პრინციპები და განკუთვნილია ყრმათა და უსწავლელ ბერთა განსწავლისათვის. სწორედ ამ თხზულებას უწოდა ანტონ კათალიკოსმა „ჯოჯოხეთის ბჭე“, მისი ავტორი კი შეაჩვენა.

„სამოთხის კარის“ ტექსტოლოგიური პრობლემატიკა შეისწავლა ივანე ლოლაშვილმა. მისთვის ცნობილი 21 ხელნაწერიდან მკვლევარმა გამოყო ოთხი ძირითადი რედაქცია და ისინი შესაბამისი ლიტერებით აღნიშნა:

B რედაქცია – ავტოგრაფული, უშუალოდ საბას ხელით დაწერილი;

A რედაქცია – ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული ვერსია;

E რედაქცია – ნიკოლოზ ორბელიანისეული ვერსია;

T რედაქცია – ვახუშტი ბატონიშვილისეული ვერსია.

რედაქციულ სხვაობებს დოგმატური საფუძველი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან კონფესიური თვალსაზრისით განსხვავდება. კერძოდ, ერთადერთი ავტოგრაფული, B რედაქცია გამოხატავს კათოლიკურ პოზიციას სულიწმინდის გამომავლობისა და პაპის უზენაესობის დოგმატთან მიმართებით; A რედაქცია კონფესიურად ნეიტრალურია; E და T რედაქციები მართლმადიდებლურ დოგმატებს მისდევს, იმ განსხვავებით, რომ T დამატებით შეიცავს ვრცელ პოლემიკას პაპის უზენაესობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამოთვლილ რედაქციათაგან ყველა

Sophio Menteshashvili
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
sopio.menteshashvili@gmail.com

*Another manuscript of “The Gate of Heaven” by
Sulkhan-Saba Orbeliani (A-627)*

“The Gate of Heaven” by Sulkhan-Saba Orbeliani is a dogmatic work in which the basic principles of the Christian religion are presented in a question-and-answer format. It is intended for the education of children and uneducated monks. It was this work that Anton Kathalikos called the “hell of hell” and excommunicated its author.

Ivane Lolashvili studied the textual problems of “The Gate of Heaven” (“Samotkhis Kari” in Georgian). From the 21 manuscripts known to him, the researcher singled out four main versions and marked them with the appropriate letters:

- B – autograph, written directly by Saba’s hand;
- A – Nikoloz Chachikashvili’s version;
- E – Nikoloz Orbeliani’s version;
- T – Vakhushti Batonishvili version.

Textual differences have a dogmatic basis, which means that they differ from each other from a confessional point of view. In particular, the only autograph version – B, expresses the Catholic position regarding the origin of the Holy Spirit and the dogma of papal supremacy; Version A is confessionally neutral; The E and T versions follow orthodox dogmas, with the difference that T additionally contains extensive polemics about papal supremacy. It is also worth noting that all of the listed versions are obtained as a result of the modification of the base version. The revised texts were a tireless attempt to rehabilitate

საბასეული ვერსიის გადაკეთების შედეგადაა მიღებული. ამგვარად შესწორებული ტექსტები ქართულ ორთოდოქსულ სივრცეში საბას სახელის რეაბილიტაციის დაუღალავი მცდელობა იყო.

წლების წინ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, რომ არსებობს „სამოთხის კარის“ კიდევ ერთი რედაქცია, რომელიც მზეჭაბუკ ორბელიანს ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ ეს ტექსტი წინარე ტექსტოლოგიურ კვლევებში აქამდე არ გათვალისწინებულა.

თხზულების შემცველი კიდევ ერთი ხელნაწერის არსებულ რედაქციებთან შედარებით ირკვევა, რომ იგი მართლმადიდებლური თვალსაზრისით რედაქტირებული დამოუკიდებელი ვერსიაა, რომელიც საბასეული ავტოგრაფული რედაქციის გადამუშავების შედეგია. მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ გაწეული რედაქტორული სამუშაოს შესახებ ხელნაწერზე დართული ანდერძიც გვამცნობს, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი „ფრიად დაშვრა“, რათა საბას ტექსტი გაეწმინდა მართლმადიდებლური მრწამსისთვის მიუღებელი დოგმატებისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ თხზულების მზეჭაბუკისეული ვერსია ენობრივი თვალსაზრისითაც განსხვავდება არსებული რედაქციებისგან.

the name of Saba in the Georgian Orthodox space.

Years ago, it was mentioned in the scientific literature that there is another version of “Samotkhis Kari”, which belongs to Mzechabuk Orbeliani. It is significant that this text has not been taken into account in previous textological studies.

A comparison of this version with another manuscripts containing the work reveals that it is edited from the orthodox point of view, and it is the result of reworking of the base autograph version. The testament attached to the manuscript also informs us about the editorial work done by Mzechabuk Orbeliani, in which it is said that he “spent a lot” in order to clean the text of Saba from dogmas unacceptable to the Orthodox faith. It should also be noted that the Mzechabuki version also differs from the existing versions in terms of language.

თეა მეშველიშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი

t.meshvelishvili@ug.edu.ge

ალი ფუატ ჯებესოი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის შესახებ

ბოლშევიკური მთავრობის მიერ მშვიდობის აქტის გამოქვეყნების შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში. რუსეთის დასუსტებით შეგულიანებული თურქეთი იწყებს პან-თურანული პოლიტიკის გატარებას სამხრეთ კავკასიაში, თურქეთის ჯარი ყარსი-არტანუ-ბათუმის ოლქებში შეიჭრა. 1919 წლიდან თურქეთში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად გამოდის მუტაფა ქემალ ათათურქი, ჩვენ ვხვდებით თურქეთის საგარეო პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას საბჭოთა რუსეთთან მიმართებაში. ანკარის მთავრობის მოლოდინები, რომ საბჭოთა რუსეთი საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეიარაღებით და ფინანსურად დაეხმარებოდა, საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი აღმოჩნდა და აგრესიული პოლიტიკის ნაცვლად თურქეთი იწყებს დაბალანსებული პოლიტიკის წარმოებას. მუსტაფა ქემალ ათათურქის თანამებრძოლის და პოლიტიკური მოღვაძის - ალი ფუატ ჯებესოის მემუარები გამოქვეყნებულია ორ ტომად. პირველი წიგნი - ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, რომელშიც ვხვდებით საქართველოს და სამხრეთ კავკასიის (ბაქოს გასაბჭოებამდე თურქეთის ინტერესები, ისლამური არმიის შექმნა, საბჭოთა რუსეთთან თანამშროლობის პირველი ნაბიჯები და ა.შ.) შესახებ მნიშვნელოვან საკითხებს და მეორე წიგნი - მოსკოვის მოგონებები, 1920- 1922 წლები, როდესაც დასავლეთის ფრონტის სარდლობიდან ალი ფუატ ჯებესოი საბჭოთა რუსეთში ელჩათ დანიშნა. მოგონებებში აღწერილია მისი საქართველოში ვიზიტი, საქართველოსადმი დამოკიდებულება, ბოლშევიკურ მთავრობასთან ურთიერთობების ჭრილში საქართველოს ბედის საკითხი. ალი ფუატ ჯებესოის მოგონებები მნიშვნელოვანია თურქეთის და საბჭოთა რუსეთის საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მიმართ ინტერესების შესწავლის კუთხით.

Ali Fuat Cebesoy about Georgia and South Caucasus

After the Bolshevik government issued the Decree on Peace, it became necessary to start peace negotiations. Encouraged by weakened Russia, Turkey began to implement Pan-Turkic policy across South Caucasus. The Turkish army invaded the provinces of Kars, Ardahan and Batumi. During the period of national liberation struggle which began in 1919, when Mustafa Kemal Ata-Turk entered the political arena, Turkish foreign policy changed dramatically with reference to Soviet Russia. Expectations of the government of Ankara that Soviet Russia would provide military and financial assistance in the fight against common enemies turned out to determine the foreign policy and instead of aggressive policy Turkey began to develop the balanced one. Memoirs of Ali Fuat Cebesoy, Ata-Turk's close companion and a political figure, are published in two volumes: the first book is about the national liberation struggle, important issues concerning Georgia and South Caucasus (Turkish interests prior to Sovietization of Baku, formation of Islamic Army of the Caucasus, first steps of cooperation with Soviet Russia, etc.), while the second is Memories from Moscow, 1920-1922, when after being the Commander of the Western Front, Ali Fuat Cebesoy was appointed ambassador to Moscow. The Memories describe his visit to Georgia, his attitude to Georgia, the problem of Georgia's fate in the context of relationships with the Bolshevik government. Ali Fuat Cebesoy's memoirs are important for the study what interests Turkey and Soviet Russia had in Georgia and South Caucasus.

ნანა მრევლიშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი

nana.mrevlishvili@gmail.com

ლიტერატურული ნატურალიზმის თავისებურებანი ჯონ სტაინბეკის რომანის, „კონსერვის რიგის“, მიხედვით

„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯონ ერნესტ სტაინბეკის რომანია, რომელიც 1945 წელს გამოქვეყნდა. ეს რომანიც, ისევე, როგორც მისი სხვა ნაწარმოებები, ნატურალისტური პროზის ნიმუშია და ავტორი საგნებს, მოვლენებსა თუ პერსონაჟებს ნატურალისტი მწერლის ხედვის კუთხით წარმოაჩენს - ცდილობს მეცნიერული სიზუსტით, შეაღამაზებლად და დაუფარავად აღწეროს რეალობა, ანუ მკითხველს დაანახოს სინამდვილე ისეთი, როგორიც არის, ნატურალისტური.

რომანში სიუჟეტი გამონაგონ კვარტალში - კონსერვის რიგში - ვითარდება, რომელიც პროვინციულ ქალაქ მონტერეიში მდებარეობს. ავტორი წარმოგვიჩენს მიკროსამყაროს მოდელს თავისი ატრიბუციით - ვაჭარ ლი ჩონგს თავისი მალაზიით, „მაწანწალების სასახლის“ ბინადარ მაწანწალა-კრიმინალებს - მიკისა და მის მეგობრებს, ბიოლოგიური ლაბორატორიის მფლობელ, მეცნიერ დოკ, პუბლიკური სახლის მეძავეებსა და ამავე სახლის დიასახლისს, კონსერვის ქუჩის სხვა მცხოვრებლებს... იუმორი, სარკაზმი, სევდა და ზოგჯერ სასოწარკვეთაც თანმდევია განვითარებული მოვლენებისა.

მოხსენებაში ვსაუბრობთ იმ აქცენტებსა და სათქმელის რეალიზების მხატვრულ ფორმებზე, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ცდილობს ძირითადი პრობლემატიკის წარმოჩენასა და მკითხველამდე მიტანას.

Naturalistic Peculiarities in John Steibeck's novel "The Cannery Row"

"The Cannery Row" is a novel, written by an American writer, Nobel Prize winner, John Steinbeck. The novel was published in 1945. This novel as well as his other works is a model of naturalistic prose, where things, events, and people are described from a naturalistic point of view _ the author tries to present reality scientifically accurately, thus a reader feels reality as it is without decorations.

The story takes place in an imaginary location _ Canning Row, which is situated in Monterey. The author describes a micro model of a wide range of people. The novel follows the adventures of Mack and his friends, the owner of the biological lab Dock, Dora Flood, who runs a restaurant, Lee Chong _ the owner of the local grocery.

In our work, we are focused on accents and stylistics used by the author in order to express problems and demonstrate them to a reader.

ნანა მრევლიშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი

nana.mrevlishvili@gmail.com

წმინდა შუშანიკის დაკრძალვის ადგილი

წმინდანის მზადებას გარდაცვალებისათვის, მისი დაკრძალვის ადგილის განსაზღვრას, გარდაცვალების/დასჯის და დაკრძალვის პროცესის აღწერას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგიოგრაფიული ტექსტის სტრუქტურაში. წმინდა შუშანიკის სამუდამო განსასვენებელი, მისი საფლავი, დედოფლის ანდერძის მიხედვით, არის ცურტავში, იმ ადგილას, საიდანაც პირველად გამოათრია იგი ვარსქენმა. ამგვარია იაკობ ხუცესის უწყება მარტვილი დედოფლის საფლავის შესახებ და ამ ცნობას ვხვდებით „შუშანიკის წამების“ დღემდე მოღწეულ ყველა ნუსხაში, გარდა A 95-ისა, რომელიც ნაკლულია, აკლია ბოლო მესამედი თხზულებისა. თუმცა არსებობს სხვა ცნობებიც. ზოგიერთი წყაროს გვაუწყებს, რომ შუშანიკი ვარსქენის სიკვდილის შემდეგ გადმოსვენეს ცურტავში, ხოლო ზოგი წყაროს მიხედვით, წამებული დედოფალი ცურტავიდან თბილისში გადმოსვენეს და მეტეხის ტაძარში დაკრძალეს. მოხსენებაში დეტალურად განვიხილავთ ყველა იმ ცნობას, რომლებიც შუშანიკის დაკრძალვის ადგილის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას და ვმსჯელობთ რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ცნობები.

Burial site of Saint Shushanik

The issues concerning Saint Shushanik's preparation for death, determining the location where she should be buried, and description of the process of her death/punishment take an important place in the structure of the text. Saint Shushanik's grave, according to her will, is in Tsurtavi, the very place where Varsken dragged her from for the first time. This is Iakob Khutsesi's statement and we come across the same information in all lists except A 95, which is not complete and where the last third part of the story is missed. As a matter of fact, there is some other information. According to some sources, Shushanik was reburied to Tsurtavi after the death of Varsken, while according to other sources, the tortured queen was reburied from Turtavi to Tbilisi and was buried in Metekhi Church. In our research, we observe all information concerning the location of Saint Shushanik's grave and discuss how realistic the information can be.

ქართული კინოკრიტიკის ფესვები და პირველი ცენზურა

საქართველო, ტრადიციულად, ყოველთვის დროულად ითვისებდა მსოფლიო პროგრესს და კინემატოგრაფის შემთხვევაშიც, ზუსტად ასე მოხდა. XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც მსოფლიო კინო დაიბადა, ჩვენი ქვეყანა სრულიად კონტროლდებოდა ჩრდილოელი მეზობლის მიერ. უმკაცრესი ცენზურა ცხოვრების ყველა სფეროში იყო ფეხმოკიდებული. პოლიტიკური კონტროლის მიუხედავად, საქართველოს საზოგადოების პროგრესული ნაწილი მაქსიმალურად ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა დასავლეთეუროპულ კულტურულ ცხოვრებას.

კლოდ-ანტუან ლუმიერის მიერ კაპუცინების ბულვარზე „გრან კაფეში“ გამართული პრემიერიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როდესაც 1896 წლის 16 ნოემბერს სათავადაზნაურო თეატრში ძმები ლუმიერების ფილმები უჩვენეს თბილისის ელიტას. აქედან მოყოლებული, ქართულ პრესაში თანდათანობით იმატა პუბლიკაციებმა კინემატოგრაფის თემაზე. ძირითადად, იხეჭდებოდა ქრონიკები, საინფორმაციო შენიშვნები, რეცენზიები და ანალიტური სტატიები.

ქართული კინოკრიტიკის საწყის ეტაპზევე დაიწყო თეორიული კინოკვლევებიც. ამან დიდად განსაზღვრა ქართული კინოს ღირსეული მომავალი — ქართული კინოსკოლის დაფუძნება, სადაც მსოფლიო დონის კინომოღვაწენი აღიზარდნენ. იმჟამინდელ საქართველოში მნიშვნელოვანი ფილმები შეიქმნა, სასტიკი საბჭოთა ცენზურისა და კინოხელოვნებაში ყველანაირი ორიგინალური ამოგონების, შემოქმედებითი თავისუფლების დევნის მიუხედავად.

1910 წელს მწერალმა და დრამატურგმა, იოსებ იმედაშვილმა

The Beginning of Georgian Film Criticism and the First Censorship

Georgia has always been quick in adopting world progress. The same happened in the case of the cinematography. At the birthtime of cinema, our country was controlled by its northern neighbour and strict censorship spread in all spheres of life. Despite political control, Georgian society tried its best not to be excluded from Western European culture.

In less than a year since the premiere at the Grand Café on Boulevard des Capucines in Paris, France, on 16 November 1896, films by the Lumière brothers were performed to the Tbilisi elite at the Noblemen Theatre. Since then, numerous publications about cinematography have gradually appeared in the Georgian press. Mainly, briefs, news articles, reviews, and features were printed.

Film studies launched at the initial stage of Georgian film criticism. This determined the successful future of Georgian cinema – the establishment of the Georgian cinema school, where world-class movie directors, scriptwriters, actors, and actresses were brought up. Landmark films were created in Georgia, despite the harsh Soviet censorship giving pursuit of originality, creativity and freedom.

In 1910, the writer and playwright Joseph Imedashvili (1876-1952) founded the first Georgian professional magazine, Theatre and Life. The abundance of publications about cinematography distinguished this periodical. The first feature article about cinema belonged to the editor-in-chief himself. Therefore, the history of Georgian film criticism begins with Joseph Imedashvili's article published in 1915.

(1876-1952) დააარსა პირველი ქართული პროფესიული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ეს პერიოდული გამოცემა კინემატოგრაფის თემაზე პუბლიკაციების სიუხვით გამოირჩეოდა. პირველი სოლიდური სტატია თავად მთავარ რედაქტორს ეკუთვნოდა. შესაბამისად, ქართული კინოკრიტიკის ისტორია სწორედ იოსებ იმედაშვილის 1915 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციით იწყება.

ქართული მუნიკი კინოს შესახებ მნიშვნელოვანი მასალის დაბეჭდვით, ჟურნალმა უდიდესი დახმარება გაუწია ქართული კინოს პირველი ნაბიჯების თანამედროვე მკვლევარებს. ქართველმა მეცნიერებმა კინოისტორიის შესწავლის მცდელობისას უნიკალური ინფორმაციის მოპოვება შეძლეს იმედაშვილის პერიოდული გამოცემის გაცრეცილი ფურცლებიდან. სწორედ „თეატრი და ცხოვრების“ პუბლიკაციებზე დაყრდნობით შეუძლიათ ქართველ მკვლევარებს ჩვენი კინოწარსულის რეალური სურათის აღდგენა.

The magazine provides significant material about Georgian silent cinematography, which helps scholars to obtain unique information from the faded pages of the Imedashvili periodical and research the first steps of Georgian cinema. Based on the Theatre and Life publications, the researchers restore the reality of our cinematic past.

მაია ნაჭყებია

შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქეთევან დედოფლის შესახებ სლოვაკური სასკოლო პიესის წყაროები და ორიგინალობის საკითხი

საქართველსა და ევროპის ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან საუკუნეთა მანძილზე საქართველო დასავლეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბერძნეთის, შემდეგ კი ბიზანტიის მეშვეობით, მაგრამ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ეს კავშირი შეწყდა, მიუხედავად ამისა, იგი არასოდეს ყოფილა მთლიანად იზოლირებული ევროპისგან, XVII საუკუნიდან მოყოლებული კი გამოჩნდა ევროპის დიდი ინტერესი საქართველოს მიმართ, რაც ევროპის მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა.

ევროპის მხატვრულ ლიტერატურაში ქართული თემის შეჭრა ქეთევან დედოფლის სახელთან არის დაკავშირებული. 1624 წელს სპარსეთის შაჰის, აბას I-ის კარზე ქართველი დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის ისტორიულმა ფაქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნების როგორც ისტორიული ხასიათის ნაშრომებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში. XVII საუკუნის ევროპული მასალები ქეთევან დედოფლის შესახებ ფაქტობრივად ოციან-ორმოცდაათიან წლებს განეკუთვნებიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საუკუნის მიწურულს ეს თემა კვლავ მოექცა ევროპის ყურადღების სფეროში: 1701 წელს სლოვაკიეთის ქალაქ სკალიცაში დაიდგა ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ სათაურით „კატერინა [ქეთევან], ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“, რომელიც ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის უცნობი იყო.

*Sources and Issue of Originality of the Slovak School
Drama about Queen Ketevan*

Studying of the literary relationships between the Europe and Georgia is one of the significant issues. From the ancient period, for many centuries, Georgia was closely related with the West, initially through Greece and further – Byzantium, but after fall of Constantinople, these relationships have terminated. Nevertheless, Georgia has never been isolated from the Europe. Since 17th century, Europe has been showing Great interest to Georgia and this is reflected in the European literature as well.

In the European literature, emergence of Georgian theme is associated with the name of Queen Ketevan. Historical fact of martyrdom of Georgian Queen Ketevan at the court of shah of Persia, Abbas I, in 1624, was widely reflected in both, historical works and fiction in the Western European countries. European materials of 17th century about Queen Ketevan, actually are dated back by twenties and forties, but it turned out that in the end of 17th century this issue have attracted attention of the Europe again: In 1701, in town Skalica, Slovakia, there was staged the school drama by anonymous Jesuit entitled ‘Katerina, Georgian Queen, Decorated with the Own Blood, Represented at the Stage’, unknown to Georgian literary scientists.

The issue of originality of the play by Jesuit from Skalica is subject of special research and this, in turn, is associated with the historical sources of the play. Notably, in this play, the anonymous author names two sources of historical nature, based on which the play was written. One of them is *De rebus gestis Schach-Abae* by Adam Olearius and the other – historical work *Illustres ruinae* by German Jesuit, Johannes

ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესის ორიგინალობის საკითხი საგანგებო კვლევის საგანია, რაც, თავის მხრივ ნაწარმოების ისტორიულ წყაროებთან არის დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ ამ პიესის ანონიმი ავტორი ასახელებს ორი ისტორიული ხასიათის წყაროს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა პიესა. ერთი მათგანი არის ადამ ოლეარიუსის ნაშრომი “*De rebus gestis Schach-Abae*”, მეორე კი — გერმანელი იეზუიტის, იოჰანეს ბისელიუსის, ისტორიული ხასიათის თხზულება — “*Illustes ruinae*”, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ იყო.

სლოვაკურ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სლოვაკი იეზუიტის დრამა ანდეას გრიფიუსის ბაროკოს ეპოქის დრამის — „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ — თავისუფალ, საგულდაგულოდ გადმოკეთებულ თარგმანს წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში შედარებულია ოლეარიუსისა და ბისელიუსის ნაშრომები და გამოვლენილია ფაქტები, რომლებიც ორივე ავტორთან მოიპოვება, ასევე ის ცნობები, რომლებიც მხოლოდ ბისელიუსთან გვხვდება. ნაჩვენებია სკალიცელი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროსა და მის სასკოლო პიესაში ასახული ისტორიული პიროვნებებისა და ფაქტების ურთიერმიმართება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკალიცელი იეზუიტის პიესა სლოვაკური პაროკოს ეპოქის ლიტერატურის ორიგინალური ნაწარმოებია.

Bisselius, unknown in Georgian scientific literature before.

In Slovak literary studies, there was expressed the view that the drama by Slovak Jesuit is free, carefully adapted translation of baroque drama 'Catherina of Georgia or Imperishable Firmness' by Andreas Gryphius. In this work we compared the works by Olearius and Bisselius and identified the facts that were common for both authors, also the data found only in Bissel's work. Based on the source used by the author from Skalica and interrelations between the historical figures and facts in the school drama, it is demonstrated that the play by the Jesuit from Skalica is an original piece of literature of Slovak Baroque epoch.

ოთარ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
otar.nikoleishvili@gmail.com

*საქართველოს ისტორიული რეალიების ასახვა
ამერიკელი მწერლის რობერტ დევიდ კაპლანის
რომანში „აღმოსავლეთით – თათრეთისაკენ“*

ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა დროს არაერთი საინტერესო პიროვნება სწევია. მათმა ვიზიტებმა კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ მოპოვების შემდეგ მიიღო. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფ ასეთ საპატიო პიროვნებათა შორის იყო ცნობილი ამერიკელი მწერალი რობერტ დევიდ კაპლანი. გარდა საქართველოსა, იმ დროისათვის მან ასევე იმოგზაურა ბალკანეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში და ამ მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები საინტერესოდ ასახა რომანში - „აღმოსავლეთით - თათრეთისაკენ.“ დასახელებული რეგიონების ქვეყნებში არსებული მდგომარეობის აღწერასთან ერთად, რომანში საგულისხმო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ისტორიისა და გასული საუკუნის 90-იან წლებში აქ არსებული ვითარების ასახვასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მწერლის რომანში ჩვენი ქვეყნის ისტორიული ყოფა და თანადროული სინამდვილე ძირითადად სწორადაა აღწერილი, აქვე არც ის ფაქტი შეიძლება დავტოვოთ უყურადღებოდ, რომ ცალკეული საკითხები ავტორს ცალმხრივად აქვს გააზრებული. ქართული რეალიების წარმოსახვის დროს რ. კაპლანის რომანში არსებულ ამგვარ ხარვეზებზე ყურადღება იმითომაც უნდა გავამახვილოთ, რომ არაქართველ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა სწორედ ამ და მსგავსი ნაწარმოებებით შეიძლება მიიღონ ის ინფორმაცია, რომლის შედეგადაც არასწორი წარმოდგენა შეექმნებათ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობაზე.

Otar Nikoleishvili
Akaki Tsereteli
State University
otar.nikoleishvili@gmail.com

Depiction of Georgian Historical Realities
in the Book “Eastward To Tartary”
by American Writer Robert David Kaplan

Different interesting people have visited Georgia at various times. Their visits became more intensive during the collapse of the Soviet Union and after the period when Georgia became independent again. Among various honorary guests, a well-known American writer, Robert David Kaplan, visited our country in the 1990s of the last century. Except for Georgia, he also traveled in Balkan countries, the Near East, and the Caucasus, and the experiences and impressions from this journey were interestingly described in the novel “Eastward to Tartary”. With the description of the situation in the above-mentioned countries, the novel also provides us with significant information about the history of Georgia and the situation in the 1990s.

Even though a historical state and actual reality are accurately described in the American writer’s novel, it is also worth noting that the author describes certain points on one side. During the imagination of the situation in Georgia, such omissions should be considered, as some non-Georgian readers might receive information according to which they will have an incorrect idea about the past and modern life of our country.

*სამუზეუმო კოლექციის ისტორიისთვის (XVIII-XIX
საუკუნეების ქართული პორტრეტული მხატვრობის
მაგალითზე)*

სამუზეუმო საქმის უმნიშვნელოვანესი ეტაპი კოლექციების შექმნაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საქმეს ემსახურება, ასევე საყრდენი ხდება სამომავლო სამეცნიერო თუ საგამოფენო საქმისათვის. ეროვნულ გალერეას დაარსებისას (1920 წ.) უმთავრესი მიზანი სამუზეუმო კოლექციების შექმნა და დაცვა იყო, ამიტომ მისმა დირექტორმა დიმიტრი შევარდნაძემ პრიორიტეტად სწორედ კოლექციების შექმნა დაისახა და საკმაოდ რთული, თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად მომდენო წლებში შექმნა ქართული შუა საუკუნეების, აღმოსავლური ხელოვნების, უახლესი ქართული მხატვრობის და ქანდაკების, დასავლეთევროპული ხელოვნების მდიდარი კოლექციები. მათ შორის, გამორჩეულია, XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული მხატვრობის კოლექცია.

სამუზეუმო დოკუმენტაციიდან ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე (1920-1932 წწ.) კოლექცია ძირითადად საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან ივსებოდა. თუმცა, ნაკლებადაა გამოკვლეული კოლექციებში სხვა გზით ნამუშევრების მოხვედრის, მათი წარმომავლობის ისტორია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია კოლექციის სამეცნიერო კვლევის ერთი ძირითადი ეტაპის - ატრიბუციის, თვალსაზრისით, რაც ამ საკითხით დაინტერესების მნიშვნელოვანი საფუძველია. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება კოლექციის წარმომავლობის კვლევის პირველი შედეგები.

*For the history of the museum collection
(On the example of Georgian portrait painting of
XVIII-XIX centuries)*

The most important stage of museum work is the creation of collections, which primarily serves the purpose of protecting and saving cultural heritage, and also becomes a support for future scientific research or exhibitions. When the National Gallery was founded (in 1920), the main goal was to create and protect museum collections, therefore its director Dimitri Shevardnadze set the priority of creating collections and as a result of quite difficult, selfless work, during the up coming years he created collections of Georgian Middle Ages, Oriental art, the New and contemporary Visual art, Rich collections of West European art. Among them, the collection of Georgian portrait paintings of the 18th-19th centuries is outstanding.

It is known from the museum documentation that in the first stage (1920-1932) the collection was filled mainly from the Museum of the Historical and Ethnographic Society of Georgia. However, the history of works getting into the collections by the other ways, their provenance, is less researched, which is no less important from the point of view of one of the main stages of the scientific research of the collection – attribution, which is an important reason for interest in this issue. The report will present the first results of the research on the provenance of the collection.

ირაკლი ნოდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

nodiairakli@gmail.com

აშშ-ის სამოქალაქო ომი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე

აშშ-ის სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი და საინტერესო მონაკვეთია. ამ უკანასკნელ მოვლენას ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართული პერიოდული პრესის მასალების საფუძველზე ვაჩვენოთ XIX საუკუნის ქართული მოწინავე საზოგადოების დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომზე. მათი პოზიცია და სიმპათიები სამხრეთისა და ჩრდილოეთ შტატების ირგვლივ. გარდა ამისა, ჩვენი ამოცანა არის, ფაქტების თანმიმდევრული თხრობით ვაჩვენოთ აშშ-ის სამოქალაქო ომი ქართულ პერიოდიკაში და გამოვარკვიოთ: 1) თუ რას ისახავდა მიზნად მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის გაშუქება; 2) რა იყო მთავარი სათქმელი და გზავნილი მკითხველისათვის; 3) მოახდინა თუ არა რაიმე დადებითი გავლენა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე, თუ ეს იყო უბრალო პროპაგანდა და პოპულარიზაცია სამოქალაქო ომის შესწავლის კუთხით?

ეს საკითხი ასე ვიწროდ სამეცნიერო სფეროში აქამდე შესწავლილი არ ყოფილა და ჩვენ შევეცადეთ ყურადღება მიგვექცია მისთვის. ზოგადად, ამ პერიოდში პრესის მნიშვნელობა დიდია, რადგან ის იყო ერთ-ერთი მთავარი ინფორმაციის წყარო. ყველაფერი კი, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც გაჩნდა ქართული პერიოდული ჟურნალ-გაზეთები. ასეთი ღრეული გამოხმაურება შემთხვევითი არ ყოფილა და ამ მოვლენის დიდი მნიშვნელობითა და აქტუალობით იყო განპირობებული. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი სერიოზული სიმპტომები აშშ-ის ახალი ისტორიით დაინტერე-

Irakli Nodia
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
nodiairakli@gmail.com

*US Civil War on
the paper of Newspaper “Droeba”*

US Civil War is one of the most important and interesting section of contemporary history of USA. This later event caused a big resonance. The purpose of the present work is based on the Georgian periodical press to show the attitude of the XIX century Georgian advanced society toward US Civil War, their position and sympathies toward south and north states. In addition our task is through the consistent narrative of the facts to show US Civil War in Georgian periodicals and find out: 1) what was the purpose of coverage of one of the most important event of world history; 2) what was the main thing and message for readers; 3) did it have any positive impact on the development of Georgian society or not, or it was just a propaganda and popularization in terms of learning civil war?

This issue hasn't been studied in the narrow scientific field so far, and we tried to pay attention on this. In general the importance of press in that period was high, because it was one of the major information sources. Everything has begun from the 60th of XIX century, when Georgian periodical Journals and magazines have emerged. Such a timely response wasn't casual and was caused due to the high topicality and importance of this event. In fact these were the first serious symptoms regarding popularization and interest in contemporary history of USA. The battles of 1861-1865 years had been followed by great response in Georgia. In Georgian periodical editions of the XIX century the great attention was paid to the great events of Georgian history, including coverage of US Civil War. In consideration of the key issues of contemporary history of USA they mainly used mate-

სებასა და პოპულარიზაციის საქმეში. 1861-1865 წლების ბატალიებს დიდი გამოძახილი მოჰყვა საქართველოში. XIX საუკუნის ქართული პერიოდული გამოცემები დიდ ყურადღებას უთმობდა მსოფლიო ისტორიის დიდი მოვლენებისა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის გაშუქებას. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე მსჯელობისას ისინი უმთავრესად იყენებდნენ სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და უცხოური პრესის მასალებს. მაგალითად, იქნებოდა ეს „დეილი მეილი“, „თაიმსი“, „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო“, „ნიუ იორკ თაიმსი“, „ნიუ იორკ ჰერალდი“ და სხვა.

გაზეთი „დროება“ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მთავარი ტონისმომცემი იყო. გაზეთი 1866-1885 წლებში გამოდიოდა. გაზეთ „დროებაში“ აქტიურად იბეჭდება აშშ-ის ახალი ისტორიის და ამ შემთხვევაში სამოქალაქო ომის შესახებ. ამ პუბლიცისტური წერილებიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ ისინი ღრმად იცნობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ხალხების ყოფაცხოვრებასა და ამ სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს, რომელთა შესახებაც სისტემატიურად აქვეყნებდნენ მაღალკვალიფიციურ წერილებს. ამ წერილებში (მაგალითად გაზეთ „დროების“ 1866 წლის მეცხრე ნომერში) ომის წინარე პერიოდზე, მის გამომწვევ მიზეზებზე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მონობის საკითხზე. როდის და როგორ დაიწყო ეს უკანასკნელი. რა გავლენა მოახდინა მან ჩრდილოეთისა და სამხრეთი შტატების შემდგომ განვითარებაზე. სტატიიდან კარგად ჩანს, რომ ავტორი ღრმად არის ჩახედული საკითხში. ასევე საუბარია შტატებს შორის ურთიერთობებზე. გაზეთ „დროების“ 1866 წლის მე-7 ნომერში საუბარია მონების მდგომარეობასა და მათ უფლებებზე. პრეზიდენტ ლინკოლნის მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მომენტებზე. ასევე ამ წერილებში საუბარია გარეშე ძალების ჩარევაზე სამოქალაქო ომში. საკანონმდებლო აქტებზე და მათ ავ-კარგიანობაზე. გაზ. „დროების“ 1867 წლის მე-7 ნომერში საუბარია პრეზიდენტ ჯონსონისა და კონგრესის ურთიერთობებზე.

rials of different informational agencies and foreign media. Such as “Daily Mail”, “Times”, “Petersburg Telegraph Agency” „New-York Times”, “New York Herald” and others.

The newspaper “Droeba” was one of the major actors of the Georgian civil opinion in the second half of XIX century. The Newspaper had been issued in 1866-1885 years. The contemporary history and in this case the war is actively published in the newspaper “Droeba”. From these publication letters is clearly shown that they were deeply familiar with the life of people living in USA and state processes about which they published letters systematically. In these letters (for example in the newspaper “Droeba” the edition 9, 1866) was discussed pre-war period its challenges and causes. The main accent was made on the slavery; when and how this latter had been begun; what influence it had on the further development of north and south states. From the article it is clearly that the author is well aware of this issue. Also is discussed the issue of relationship between the states. The edition 7 of newspaper “Droeba” 1866 discusses conditions of slaves and their rights; the positive and negative moments of President Lincoln. In addition in this letter is considered the intervention of external forces in civil war; legislative acts and their positive and negative aspects. The edition 7 of newspaper “Droeba” 1867 tells about relationship of President Johnson and Congress.

First of all the attention shall be paid on the importance of these publicist materials. What value it has? Shall we adopt it or not? How logically is expressed the major meaning? i.e. it is ecclesial to make correct focus in its discussion. Of course the correctly chosen criteria have an essential importance and will help us to create adequate image and it is the main thing. It is important logically evaluate this heritage, not to into one of the extreme. It should be carried out neither very apologetic assessment of it and nor complete deny. Both this extreme is unacceptable. For that time it was a step forward and information had, have and will have its own place in Georgian historiography. The meaning of this “Black Job” is determined by

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ პუბლიცისტური მასალების მნიშვნელობას. რა ღირებულება გააჩნია მას? უნდა მივიღოთ თუ არა იგი? რამდენად ლოგიკურად არის გადმოცემული მთავარი სათქმელი? ანუ აუცილებელია, მათი შეფასების დროს სწორი აქცენტების დასმა. რა თქმა უნდა, სწორად შერჩეულ კრიტერიუმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და დაგვეხმარება ადეკვატური სურათის წარმოდგენაში. მთავარი ხომ ეს არის. მნიშვნელოვანია ამ მემკვიდრეობის ლოგიკური შეფასება ისე, რომ არც ერთ უკიდურესობაში არ გადავვარდეთ. მისი არც ძალიან აპოლოგეტური შეფასება და არც მისი სრულიად უგულებელყოფა არ შეიძლება. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. იმ დროისათვის ეს იყო ძალიან წინგადადგმული ნაბიჯი და ამ ინფორმაციებს ჰქონდა, აქვს და ექნება თავისი დანიშნულება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ „შავი სამუშაოს“ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს დაინტერესება არ იყო ზედაპირული და მხოლოდ მშრალი ფაქტების თხრობა. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ყურადღების გამახვილებას და სწორედ ეს იყო მათი მსჯელობის მთავარი ღირსება.

its cognitive importance. As we can see below this interest wasn't superficial and only narrated of dry facts. They maximally try to draw attention on target-effective connection and exactly this was the main dignity of their reasoning.

*„ელენე დარიანის დღიურების“
კამილა კლოდელის ესთეტიკურ
მსოფლმხედველობასთან მიმართების საკითხი*

„ელენე დარიანი დღიურები“, როგორც ლიტერატურულ ტექსტთა ციკლი, ფორმისა და იდეა-კონცეპტის მთლიანობით მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში გამორჩეულ ადგილს იკავებს. მასში აქტუალიზებულია ქართული ლიტერატურისთვის ჯერ კიდევ უცნობი ინტიმური სამყარო ლირიკული გმირისა, მისი ქალური საწყისის ცნობიერი თუ არაცნობიერი მხარეები. ნაშრომში წარმოდგენილია მოდერნული ქალის მხატვრული მოდელის ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტის ანალიზი და წარმოჩენილია ბევრი საყურადღებო დეტალი ქართული ლიტერატურის მსოფლიო კულტურასთან მიმართების შესახებ. მოცემულია მსჯელობა ქალის კულტის ანტიკური, ქრისტიანული და თავისთავად სიმბოლისტური მოდელების შესახებ. ამ კონტექსტში გაანალიზებულია ელენე დარიანის ლირიკული გმირის ქალური ბუნების ძირითადი ასპექტები.

სტატიაში მოცემულია კვლევა ლირიკული გმირისა და XX საუკუნის ფრანგი მოქანდაკე ქალის, კამილა კლოდელის, შემოქმედებითი კავშირების - ე.წ. სულიერი „დობილობის“ გამოსარკვევად. ამ თვალსაზრისით განხილულია ელენე დარიანის ლირიკული გმირის კამილა კლოდელის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებთან ტიპოლოგიური მიმართების საკითხები. გამოკვეთილია დასახელებული სუბიექტების შემოქმედებითი ტენდენციები და ნაჩვენებია მათი საერთო სააზროვნო მოდელების ანალიზი.

*The matter of relation of
“Elene Dariani’s diaries”
to Camille Claudel’s aesthetic worldview*

As a cycle of literary texts, “Elene Dariani’s Diary” occupies a prominent place in Georgian poetry of the 20th century due to its integrity of form and idea-concept. The intimate world of the lyrical hero, the conscious or unconscious sides of her feminine origin, which is still unknown to Georgian literature, is actualized in it.

The paper presents an analysis of the historical-literary context of the artistic model of a modern woman and presents many noteworthy details about the relation of Georgian literature to world culture. A discussion of the ancient, Christian, and symbolic models of the cult of a woman is given here. In this context, the main aspects of the feminine nature of the lyrical hero of Elene Dariani are analyzed.

The article provides a study of the creative connections between the lyrical hero and her contemporary French sculptor, Camille Claudel - in order to explore the, so called, “spiritual sisterhood” between the two. In this respect, the issue of typological relationship between the lyrical hero of Elene Dariani and the artistic-aesthetic principles of Camille Claudel is discussed. The creative tendencies of the above mentioned subjects are highlighted and the analysis of their common thinking models is presented.

*პოლკოვნიკი ქაზიმ დირიჯი, ანკარის მთავრობის
წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკაში*

პირველი მსოფლიო ომის შედეგად ოთხი იმპერია დაიშალა - ავსტრია-უნგრეთი, გერმანია რუსეთი და ოსმალეთი. იმპერიების ნანგრევებზე სხვადასხვა რესპუბლიკები შეიქმნა. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სამი ახალი სახელმწიფო წარმოიშვა - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.

ომის შემდეგ ანტანტის ქვეყნების საზოგადოება იმდენად დაილაღა ომისგან, რომ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები შორეული ქვეყნების საქმეებში ჩარევას ვერ მოახერხებდნენ. 1920 წლის ზაფხულში ანტანტის სახელმწიფოები სრულიად გავიდნენ კავკასიიდან, ყოველზე ამან სამოქმედოდ ხელი გაუხსნა ბოლშევიკურ რუსეთს და ქემალისტურ თურქეთს (ანკარის მთავრობა), რომელთაც საერთო ენა გამონახეს ერთმანეთთან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ანკარის (ანგორის) მთავრობასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა სათანადოდ არ არის შესწავლილი. ყოველივე ეს წყაროების სიმცირით არის განპირობებული. ჩვენ შევეცადეთ იმ დროს არსებული ქართული პრესის და თურქული ლიტერატურის საშუალებით მეტი გაგვეცო საქართველოს რესპუბლიკისა და ანკარის მთავრობის ურთიერთობაზე.

1920 წლის ზაფხულში ანკარის მთავრობასა და სომხეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა. 24 სექტემბერს სომხეთსა და ანკარის მთავრობას შორის ომი დაიწყო, ფრონტზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ანგორის მთავრობა საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავებით იყო დაინტერესებული, თურქეთის მთავარი მიზანი იყო საქართველო ყოფილიყო ნეიტრალური მხა-

Colonel Kazim Dirik, Representative of the Ankara Government in the Republic of Georgia

World War I destroyed four empires – Austro-Hungarian, German, Russian and Ottoman. Different republics emerged from the ruins of the empires. After the fall of the Russian empire, three new states - Georgia, Azerbaijan and Armenia - were established on the territory of South Caucasus.

After the war the Antanta nations were so tired of it that the governments of the Great Britain and France were probably unable to interfere with affairs of remote countries. In the summer of 1920, the Antanta states left Caucasia. It encouraged the Bolshevik Russia and Kemalist Turkey (the Ankara Government), whose interest coincided, to act openly.

The relationship between the Ankara Government and the Democratic Republic of Georgia has not been studied properly. It is conditioned by the shortage of sources. We tried to find out more about this relationship through the Georgian press and Turkish literature of the time.

In the summer of 1920, the relationship between the Ankara Government and Armenia aggravated. On 24 September, war between Armenia and the Ankara Government started. Given the created situation, the Ankara Government was interested in deepening relations with Georgia. The main aim of Turkey was to make Georgia neutral in the context of confrontation with Armenia and diplomatic relations established with Russia.

The first diplomatic relations between the Ankara Government and

რე სომხეთთან დაპირისპირებისა და რუსეთთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე.

პირველი დიპლომატიური ურთიერთობა ანკარის მთავრობასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მიწურულს ფიქსირდება. 1920 წლის, 13 ნოემბერს თბილისში ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქაზიმ ღირიქი ჩამოვიდა. თბილისში დადებითად შეხვდნენ მის ჩამოსვლას. კორესპონდენტებთან შეხვედრის შემდეგ ქაზიმ ბეიმ განაცხადა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრული კავშირების დამყარების მიზნით ანკარის მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან სრულუფლებიანი წარმომადგენლობა დაავალა.

1920 წლის, ნოემბერში ქაზიმ ღირიქის ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ანკარის მთავრობასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. მოლაპარაკებების შემდეგ საბჭოთა ადმინისტრაციის ნებართვით 31 დეკემბერს, სიმონ მდივანი ანკარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად დაინიშნა.

the Democratic Republic of Georgia are recorded in the late 1920. On 13 November 1920, Colonel Kazim Dirik, official representative of the Ankara Government arrived in Tbilisi. Tbilisi welcomed him. After meeting with correspondents, Kazim-bey declared that with the aim of establishing friendly ties with the Democratic Republic of Georgia, he was sent to the government of the Democratic Republic of Georgia as a plenipotentiary by the Ankara Government.

Kirim Dirik's arrival in November 1920 had huge importance, because diplomatic relations were established between the Ankara Government and the Democratic Republic of Georgia. As a consequence of negotiations and on the permission of the Soviet administration, on 31 December Simon Mdivani was appointed the ambassador of the Democratic Republic of Georgia in Ankara.

მანანა სანაძე

სუ თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
msanadze@ug.edu.ge

*სპარსეთ-ბიზანტიის ომი (541-562 წწ.) და
ამ ომის აღმწერი დღემდე უცნობი
ქართული ქრონიკები*

1058 წლის ახლო ხანებში დაწერილი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლის დავით და კოსტანტინეს წამების ინფორმაციების საგანგებოდ კვლევისას ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ იქმოთხრობილი შემოსევა, რომელსაც არგვეთელი მთავრების, დავითისა და კოსტანტინეს წამება მოჰყვა, მიუხედავად XI ს-ის ავტორის მიერ ამ შემოსევის მურვან ყრუს შემოსევად გასაღებისა, არ იყო მურვან ყრუსა და არაბების შემოსევა. ძველი ქრონიკა, რომელიც მისივე ინფორმაციით ავტორმა გამოიყენა როგორც წყარო საკუთარი ჰაგიოგრაფიული თხზულების წერისას, გადმოგვცემდა VI ს-ის შუა წლების სპარსეთ-ბიზანტიის ომის ისტორიას. რატომ მიიჩნია ჰაგიოგრაფმა შემოსეული მტერი მურვან ყრუდ? მომხდარი ამბის დროის გააზრებაში ჰაგიოგრაფმა შეცდომა დაუშვა, ვინაიდან მის წყაროში შემოსეული მტერი მოხსენიებული არ იყო საკუთარი სახელით, რაც შეეხება შემოსეული მტრის ეთნიკურ კუთვნილებას, ძველ ქრონიკაში ყველგან ეწერა სპარსეთი და სპარსელები, მაგრამ სწორედაც ამიტომ ჰაგიოგრაფმა ის არაბებად მიიჩნია, რადგან XI საუკუნეში ეთნონიმ სპარსელს საქართველოში არაბთა აღსანიშნავად ხმარობდნენ. მკითხველის მათ არაბობაში მეტად დასარწმუნებლად, ჰაგიოგრაფმა სპარსელს ყველგან, სამი შემთხვევის გამოკლებით, დამატებით არაბიც მიაწერა. ასეთნაირად მან წყაროდ გამოყენებული ტექსტის სპარსიც შეინარჩუნა და თავისი პოზიციაც დააფიქსირა, რომ სპარსი იგივე არაბია.

იმავე ამბების აღმწერი, მაგრამ ჰაგიოგრაფისაგან განსხვავებული ქრონიკა ჰქონდა ხელთ ლეონტი მროველს, რომელმაც ის გა-

Manana Sanadze
UG Tamaz beradze
Institute of Georgian Studies
msanadze@ug.edu.ge

*The Persian-Byzantine War (541-562) and
the Georgian Chronicles Describing this War
Unknown to This Day*

Through a focused study of the information preserved within the Georgian hagiographical monument written in the vicinity of 1058 — The Martyrdom of David and Costantine, it has become evident that the invasion described here, which resulted in the martyrdom of the principals of Argveti — David and Costantine, was not actually the invasion of Marwan the Deaf and Arabs, despite the attempt of the author of the 11th century to attribute it to Marwan the Deaf. The old chronicle, used by the author as a source for his hagiographical work, as stated by the author himself, narrated the history of the Persian-Byzantine war of the mid-6th century. Why did the hagiographer consider the invading enemy to be Marwan the Deaf? The hagiographer erred while attempting to ascertain the timing of the incident, as the invading enemy was not mentioned by name in his source. Concerning the ethnicity of this invading force, the terms Persia and Persians were written everywhere in the ancient chronicle. However, this is the very reason why the hagiographer considered them to be Arabs, because in the 11th century ethnonym Persian was used in Georgia to refer to Arabs. To further convince the reader that they were Arabs, the hagiographer added the term Arab in every instance where the term Persian was used, with the exception of three cases. This way, he preserved the term Persian used in the source text, while also conveying his stance that Persian was the same as Arab.

Leonti Mroveli had a chronicle that described the same event, however differed from that of the hagiographer. Leonti used this chroni-

მოიყენა ქართველთა ცხოვრების გასაზრცობად. ვინაიდან ქართველთა ცხოვრების მის ხელთ არსებული ტექსტი უკვე არაბების გამოჩენამდე და სტეფანოზ II-ის მმართველობამდე იყო გამოგრძელებული, მან თხზულების კვლავაც გაგრძელების მიზნით, მის მიერ მოპოვებული ქრონიკა სწორედ სტეფანოზ II-ის შემდეგ მოათავსა. ქრონიკის მთავარი პერსონაჟები კი ვახტანგ გორგასლის ვაჟები დარჩილი და მირი, არჩილად და მირად ქცეულები სტეფანოზ II-ის შვილებად გამოაცხადა. ასეთი ქრონოლოგიური აღრევისათვის ლეონტის ნიადაგი უკვე მომზადებული ჰქონდა - მის წინამორბედს, ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორს აღწერილი ამბების პერიოდი უკვე მურვან ყრუთი და არაბებით ჰქონდა განსაზღვრული. ასეთნაირად ვახტანგ გორგასლის ვაჟები, სპარსეთ-ბიზანტიის ომის პერიოდის მოღვაწეები და ომის მონაწილეები, სტეფანოზის შვილებად, ახლა უკვე არჩილად და მირად იქცნენ.

როგორც დავითის და კოსტანტინეს წამებაში მოთხრობილი ამბების, ისე არჩილად ქცეული დარჩილისა და მისი ძმის, მირის ცხოვრებისადმი მიძღვნილი, ქართველთა ცხოვრებაში ჩასმული ქრონიკის ქრონოლოგიის სწორად განსაზღვრამ, იქ მოთხრობილ ამბებს სულ სხვა ჟღერადობა შესძინა. აღმოჩნდა, რომ ისინი კარგად ეხმიანებიან პროკოფი კესარიელის იმ მონათხრობს, სადაც ის სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობებისა და ომის 532-551 წლების ამბებს მოგვითხრობს და მათ მნიშვნელოვანი დეტალებით ავსებს. ამდენად, ამ ქრონიკების მონათხრობთან გაცნობა მნიშვნელოვან სიახლეს შესძენს არა მარტო კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირებს, არამედ სპარსეთ-ბიზანტიის აღნიშნული ომის შემსწავლელებსაც.

cle to expand The Georgian Chronicles. Since the text of The Georgian Chronicles available to Leonti was already extended up to the emergence of Arabs and the reign of Stephanos II, in order to further continue his composition, Leonti placed the obtained chronicle immediately following the period of Stephanos II. Regarding the central characters of the chronicle — the sons of Vakhtang Gorgasali, Darchil and Mihr, he turned them into Archil and Mihr and declared them as the sons of Stephanos II. The groundwork for such a chronological confusion had already been laid before Leonti. His predecessor, the author of a hagiographic work, had already established the period of the described stories by Marwan the Deaf and Arabs. Thus, the sons of Vakhtang Gorgasali, figures from the period of the Persian-Byzantine war and participants in the war, turned into the sons of Stephanos — Archil and Mihr.

The correct definition of the chronology of events narrated in The Martyrdom of David and Costantine as well as the chronicle, dedicated to the life of Darchil who had turned into Archil and his brother Mihr, inserted in the Georgian Chronicles, has presented the stories told here in a completely different light. It has turned out that they align closely with the narrative of Procopius of Caesarea where he tells the stories of Persian-Byzantine relations and the war of 532-551, and fill them with important details. Thus, getting acquainted with the narration of these chronicles will provide new insights not only to those interested in the history of the Caucasus and Georgia in particular, but also to researchers studying the aforementioned Persian-Byzantine war.

ლელა სარალიძე

რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი

lelasaralidze@yahoo.com

ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის გეგმებში და ოსმალეთი (1918-1921 წწ.)

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეცვლილ გეოპოლიტიკურ რეალობაში, დიპლომატიური გარიგებების პროცესში მნიშვნელოვანი იყო „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც ოსმალეთის იმპერიის აზიური ტერიტორიების დანაწილებას ითვალისწინებდა. 1915 წლის 23 ნოემბერს ლონდონში, საფრანგეთის საელჩოს შენობაში, ოსმალეთის განაწილების საკითხზე მოლაპარაკებებს ინგლისელი დიპლომატი ლორდი მარკ საიქსი და ბეირუთში საფრანგეთის გენერალური კონსული ფრანსუა ჟორჟ-პიკო აწარმოებდნენ. 1916 წლის დასაწყისისათვის, მათ მოამზადეს საიდუმლო შეთანხმება ოსმალეთის იმპერიის არაბული სამფლობელოების გაყოფის თაობაზე. აღნიშნულ გარიგებას გაეცნო და შესწორების შემდეგ შეუერთდა რუსეთის იმპერიის მთავრობაც. მოგვიანებით ხელშეკრულებას, რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის გვარის დამატებით, „საიქს-პიკო-საზანოვის შეთანხმება“ უწოდეს. 1916 წლის 16 მაისს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის საიდუმლო შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც აღნიშნულმა ქვეყნებმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროები გაინაწილეს. ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ინგლისის კაპიტალი, კერძოდ, ნავთობის მონოპოლიები.

1918 წლის 30 ოქტომბერს, კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტის ქვეყნებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალითაც ამიერკავკასიის ქვეყნების სტრატეგიული კონტროლი ანტანტის ბლოკის ქვეყნების, კონკრეტულად კი, დიდი

*South Caucasus in Great Britain's plans
and Ottoman Empire (1918-1921).*

In the changed geopolitical reality after the First World War, the “Eastern question” was important in the process of diplomatic negotiations, which provided for the division of the Asian territories of the Ottoman Empire. On November 23, 1915, in the building of the French Embassy in London, the English diplomat Lord Mark Sykes and the French Consul General in Beirut, François Georges-Picot, were conducting negotiations on the issue of Ottoman partition. By early 1916, they prepared a secret agreement to divide the Arab territories of the Ottoman Empire. The government of the Russian Empire also got acquainted with the mentioned deal and after the amendment, joined it. Later, the agreement was called the “Sykes-Picot-Sazonov Agreement” by adding the surname of the Russian Foreign Minister at that time. On May 16, 1916, a secret agreement was signed between Great Britain and France, according to which these countries divided their spheres of influence in the Middle East after the First World War. English capital, in particular, oil monopolies, had a decisive influence on the policy of the English ruling circles towards the countries of the South Caucasus.

On October 30, 1918, the Mudros Peace Treaty was signed between the Ottoman Empire defeated in the First World War and the Entente countries, by virtue of which the strategic control of the countries of the South Caucasus passed into the hands of the Entente bloc countries, specifically Great Britain. The Batumi region occupied by the Ottomans was also in their hands.

The terms of the Mudros truce completely repeated the main pro-

ბრიტანეთის ხელში გადავიდა, ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ბათუმის ოლქიც მათ ხელში აღმოჩნდა.

მუდროსის დაზავების პირობები მთლიანად იმეორებდა საიდუმლო ხელშეკრულებების მთავარ დებულებებს, რომელიც ოსმალეთის სამხრეთით მდებარე სამფლობელოების განაწილებას შეეხებოდა. ოსმალეთის ხელისუფლება დამოუკიდებლობას, ფაქტობრივად, დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ კარგავდა.

ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების პოზიციების გამყარება, მათი მოკავშირე საფრანგეთის მმართველთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ბრიტანეთის ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე წესრიგის აღდგენა და რეგიონი რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ პლაცდარმად გამოიყენა. ინგლისის ხელისუფლება ლოიალურად იყო განწყობილი მეფის რუსეთის თეთრგვარდიელი გენერლების მიმართ. არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო, ინგლისის ხელისუფლება იძულებული გახდა ამიერკავკასია დაეტოვებინა, სადაც შემდეგში რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება დამყარდა.

visions of the secret treaties, which concerned the distribution of the territories located in the south of the Ottoman Empire. The Ottoman government was actually losing its independence to Great Britain.

The strengthening of the British government's position in the South Caucasus caused the rightful heartbreak of their ally France's rulers. The British authorities took it upon themselves to restore order in the territory of Georgia, Azerbaijan and Armenia and used the region as a springboard against the Russian Bolshevik government. The English authorities were loyal to the Tsar's Russian White Guard generals. Due to inconsistent policies, the British government was forced to leave the South Caucasus, where the Bolshevik government of Russia was established later.

სალომე სეხნიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Tabatadzesalome1987@gmail.com

საქართველოს და კვიპროსის საეკლესიო ურთიერთობები

კვიპროსი ქართველებისთვის გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ წმიდა მიწისკენ მიმავალი კუნძული. ქართველების ინტერესს იწვევდა პირველი ქრისტიანული კერები, სოლომონის კატაკომბები და მართალი ლაზარეს განსასვენებელი. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცნობები ქართულ-კვიპროსული ეკლესიების ურთიერთობაზე დაცულია სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილ ანდერძ-მინაწერში. ის 980 წელს შეუსრულებია იოანე ზოსიმეს. დოკუმენტში საუბარია კვიპროსიდან მიღებულ ნათარგმნ ხელნაწერ წიგნზე. ამ ცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ბერები უკვე ცხოვრობდნენ კვიპროსში და მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ.

გიორგი ათონელის აგიოგრაფიულ ნაწარმოებში იკითხება საინტერესო ფაქტი. როდესაც კვიპროსის საარქიეპისკოპოსო გათედრა დაქვრივდა, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II -მ ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა ექვთიმე ქართველს შესთავაზა გამხდარიყო კვიპროსის სამოციქულო ეკლესიის მწყემსმთავარი.

ცოტა მოგვიანებით ისტორიულ თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითის“ წერია, რომ მეფე დავითმა აღაშენა და შეამკო მონასტრები და სავანეები ქვეყნის შიგნით და გარეთ. მათ შორის კვიპროსშიც.

„ისტორიანი და ამმანი შარავანდდეთანი“ მოგვითხრობს კ. კვიპროსზე ქართული მონასტრის ღალიას შესახებ. მეფე თამარს ამ მონასტრისთვის დიდი მამულები შეუძენია და შესაწირი გაუგზავნია. ამ დროს ღალიას მონასტერში მწიგნობრული და მთარგმნელობითი საქმიანობა მიმდინარეობდა. მათგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ

*Ecclesiastical relations
of Georgia and Cyprus*

For Georgians, Cyprus was more than just an island on the way to the Holy Land. Georgians were interested in the first Christian centers, the catacombs of Solomon and the resting place of righteous Lazares. The oldest information about the relationship between the Georgian-Cypriot churches is kept in the Will found in the Monastery of St. Catherine of Mount Sinai. It was made by Ioane Zosime in 980. The document refers to a translated manuscript-book from Cyprus. According to this information it can be said, that Georgian monks were already living in Cyprus and engaged in translation activities.

An interesting fact can be read in the hagiographic work of Giorgi Atoneli. When the archbishopric chair of Cyprus became a widow, the Byzantine emperor Basil II offered St. Ekvtime Georgian, who was working on the Mount Athos, to become a chief pastor of the Apostolic Church of Cyprus.

A little later in the historical work "Life of the King David" it is written that King David built and decorated monasteries and sanctuaries inside and outside the country, including in Cyprus.

„Histories and Eulogies of the Sovereigns“ tells us about the Georgian monastery Gialia, in the city of Cyprus. Queen Tamar bought many estates for the Gialia monastery and sent donations as well.

At that time, the monastery was engaged in scribing and translating activities. Only two of the manuscripts have reached us.

There is a legend, when the king Lasha-Giorgi was bringing his mother's body to Jerusalem,

ორი ხელნაწერი.

არსებობს ლეგენდა, რომ როდესაც მეფე ლაშა-გიორგი დედის ცხედარს იერუსალიმში მიასვენებდა, ის გზად კვიპროსში გაჩერდა და აქვე იალიას მონასტერში დაკრძალა დედა.

ვატიკანში დაცულია 1306 წლით დათარიღებული დოკუმენტი N1298, რომლის თანახმად, კვიპროსში ამ დროს არსებობდა სამი ქართული მონასტერი, იალია, ლაკრონა და წმინდა საბა, რომლებიც ემორჩილებოდნენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

უკანასკნელი ცნობები კვიპროსზე ქართული მონასტრის შესახებ, ოსმალურ პერიოდს ეკუთვნის. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, კვიპროსისთვის აღარავის ეცალა და ქართულმა მონასტრებმა არსებობა შეწყვიტა.

he stopped on the way and buried his mother in the area of Gialia monastery.

According to a document N1298, which dates from 1306 and is preserved in the Vatican, there were three monasteries in Cyprus, Yialya, La Coruna and Mar(Saint) Saba, which obeyed the Georgian Orthodox Church.

The last reports ,about the Georgian monastery in Cyprus, belong to the Ottoman period.

During this period, due to the current events in the country, no one cared for Cyprus and the Georgian monasteries ceased to exist.

ა. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანი“ როგორც კოლონიური ანტიპასტორალი

„პასტორალი“ გულისხმობს სოფლის ისეთ სურათს, რომელშიც ადამიანი და ბუნება ჰარმონიულადაა წარმოდგენილი. მკვლევარი ტერი გიფორდის მიხედვით, პასტორალს ვხვდებით ჯერ კიდევ კლასიკურ ანტიკურ ლიტერატურაში: ასეთია ძველი ბერძენი პოეტის, თეოკრიტოსის „იდილია“ და რომაელი ვერგილიუსის „ბუკოლიკები“, რომლებშიც მწყემსები უმღერიან თავიანთ სიყვარულს, შრომასა და სოფლის ცხოვრებას. ეს წარმოდგენა პასტორალზე, როგორც ჟანრზე, მემკვიდრეობით მიიღო შუასაუკუნეებმა, მაგალითად, შექსპირის პიესებში „როგორც გენებოთ“ და „ზამთრის ზღაპარში“, რომლებშიც პასტორალი, როგორც მოდა, ისეთი ადგილია, სადაც სასახლედან ან ქალაქიდან გარბიან და მერე ბრუნდებიან. მეორე მხრივ, გვაქვს ანტიპასტორალიც, რომელიც სოფლის ცხოვრების მკაცრ რეალობას რეალისტური გზით ხატავს.

მოხსენებაში ზემოთ აღწერილი თეორიული ჩარჩოს მიხედვით განვიხილავთ ალექსანდრე ყაზბეგის პროზაულ ნაწარმოებს „ნამწყემსარის მოგონებანი“ (1882–1883 წწ.), რომელშიც მწერალი მწყემსების ცხოვრებას აღწერს. თუმცა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ყაზბეგი გვიჩვენებს სირთულეებით: მგლებით, ქურდებითა და კაზაკებთან შეტაკებებით სავსე ცხოვრებას. ზამთარში, როცა მწყემსები ბარში ჩადიან, კაზაკები ფულს სთხოვენ, დოკუმენტებს ამოწმებენ და ზოგ შემთხვევაში მწყემსებს აკავებენ. შედეგად, მწყემსებს ხიფათის თავიდან ასაცილებლად თან ჰქონდათ თოფები; შეიარაღებული მწყემსების ასახვა კი, სწორედ ანტიპასტორალის გამოვლინებად, მოდად შეიძლება ჩავთვალოთ. ეს მოტივი კი, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის კოლონიალური მმართველობის გათვალისწინებით ძალიან საინტერესო მასალას

*Al. Kazbegi's "Shepherd's Memoir" as
a colonial anti-pastoral*

The “pastoral” is defined as one pole of a literary model of depictions of environments; in this model the “pastoral” depicts rural landscapes in which harmonious life of human and nature is realized. According to the ecocritic Terry Gifford, the convention of the pastoral goes back to classical literature: the Greek poet Theocritus’s Idylls and the Roman Virgil’s Eclogues, which depict shepherds singing about their love, work, and rural life. This pastoral imagination as genre is inherited as mode during the Renaissance, for instance, in Shakespeare’s *As You Like It* and *The Winter’s Tale*, where the pastoral functions as an imagined place of temporary “retreat” from court or city life. On the other pole of this model, we have an anti-pastoral mode which features realistic descriptions of the harsh realities of rural life.

In this paper, I would like to examine Georgian writer Aleksandre Qazbegi’s (1848–1893) prose work “Memoirs of a Former Shepherd” (1882–83) through the theoretical framework. In this work, the writer presents us the life of Georgian shepherds. However, contrary to what we might expected from the title, Qazbegi shows their life as filled with difficulties: wolves, bandits, bad weather and encounters with Cossack soldiers. When the Georgian shepherds moved to the lowlands in winter, the Cossack soldiers demanded them a toll, checked their documentation, and sometimes arrested them. As a result, the shepherds carried guns as a countermeasure for potential difficulties; this image of armed shepherds is nothing but the anti-pastoral mode. Reflecting the colonial rule of the region by the Russian Empire at the time, this motif is distinctive of 19th-century Georgian literature in the

გვაძლევს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პასტორალის თავისებურებათა შესწავლის კონტექსტში.

რუსეთის იმპერიისთვის, რომელიც მემოზელ ტერიტორიებს იპყრობდა, გზა მნიშვნელოვანი იფრასტრუქტურაა, რომელიც მის ცენტრსა და პერიფერიებს აკავშირებს. ტიპური პასტორალის სახელისუფლებო კონტროლის სისტემებისა და ქალაქური ქაოსისგან გათავისუფლებულ სივრცეს წარმოადგენს. აქ კი ჩანს, რომ რუსეთის იმპერია ცდილობს ეს სივრცე გააბოლიანოს, ან დასეროს (ჟილ დელეზისა და ფილიქს გვატარის ტერმინებს თუ გამოვიყენებთ) — ამ შემთხვევაში საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობითა და გამაგრებით. ასე რომ, ის, რასაც ყაზბეგი „ნამწყემსარი მოგონებებში“ აღწერს, რუსული იმპერიული მმართველობით გაძლიერებული კოლონიური ანტიპასტორალია.

context of pastoral studies.

For the Russian Empire, having conquered its neighboring lands, the road was important infrastructure with which it connected its center and peripheries. If the typical pastoral image represents a nomadic space liberated from systems of state control and remoted from chaotic cities, here the empire threatens to striate the Georgian pastoral, rendering it a space subject to systemization and control through the construction and maintenance of roads—in this case, the Georgian Military Highway. What Qazbegi depicts in “Memoirs of a Former Shepherd” is, in this sense, the colonial anti-pastoralism intensified by the Russian imperial rule.

რატი სტურუა

საქართველოს უნივერსიტეტი

sturuarati5@gmail.com

ბიბლიური მელქისედეკისა და მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ

ჩვენს გამოკვლევაში მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ ცნობებს წმინდა მამათა ნაშრომების მიხედვით წარმოვადგენთ.

მელქისედეკიანელთა ერესი განასახიერებდა ნახევრად გნოსტიკურ, ერეტიკულ სექტას. მათი წარმომადგენლები ბიბლიური მელქისედეკის პიროვნებას აიგივებდნენ სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასთან, ძე ღმერთის პიროვნებასთან.

ეპიფანე კვიპრელის გადმოცემით მელქისედეკიანელთა ერესი გავრცელებული იყო ეგვიპტის ტერიტორიაზე. „პანარიონის“ ავტორი გამოყოფს მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების რამდენიმე სახეს.

ნაშრომის დასაწყისში ეპიფანე საუბრობს ერეტიკოსებზე, რომლებიც მელქისედეკს მიიჩნევდნენ რალაც ზებუნებრივ ძალად, რომელიც თავად ძე ღმერთზე აღმატებულად წარმოედგინათ. მწვალეებელათა მეორე განმტოება, რომელსაც წმინდა მამა წარმოგვიდგენს, მელქისედეკს ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასთან, სულიწმინდასთან აიგივებდა. შემდეგი ცდომილება დაკავშირებულია სამარიტელთა მიერ მელქისედეკის პიროვნების არასწორ გააზრებასთან. სამარიტელთა გადმოცემით მელქისედეკი არის ნოეს ძე - სემი. ამგვარი გადმოცემა შეუსაბამოა ისტორიული თვალსაზრისით და, რაც მთავარია, ეწინააღმდეგება ეკლესიის მიერ აღიარებულ წმინდა მამათა განმარტებებს. რიგით შემდგომი გამოვლინება მელქისედეკიანელთა ცდომილებისა, რომელსაც ეპიფანე გადმოგვცემს, გულისხმობს მელქისედეკის პიროვნების გაიგივებას ძე ღმერთთან, ვიდრე უფალი განკაცდებოდა. საკუთრივ

*About Biblical Melchisedech and the Heresy
of Melchisedechians*

In our research, we present information about the Melchisedechians heresy according to the works of the Holy Fathers.

The Melchisedechians heresy was a semi-gnostic, heretical sect. Their representatives equated the person of the biblical Melchisedech with one of the hypostases of the Trinity, the person of the Son of God.

According to Epiphanius of Cyprus, the Melchisedechians heresy was widespread in the territory of Egypt. The author of “Panarion” singles out several types of manifestations of the Melchisedechians heresy. At the beginning of the work, Epiphanius talks about the heretics who considered Melchisedech to be some kind of supernatural power, which they imagined to be superior to God the Son himself. The second branch of heretics, presented by the Holy Father, equated Melchisedech with the Holy Spirit, one of the hypostases of the Holy Trinity. The next error has to do with the Samaritans’ misunderstanding of the person of Melchisedech. According to Samaritans, Melchisedech is the son of Noah - Shem. Such a rendering is inconsistent from a historical point of view and, most importantly, contradicts the definitions of the Holy Fathers recognized by the Church. The next manifestation of the error of the Melchisedechians, which Epiphanius conveys to us, involves the identification of the person of Melchisedech with God the Son before the Lord became man. The same form of heresy is opposed by Mark the Monk in his work - “About Melchisedech”. In his work, Mark, like Epiphanius, confirms that the Melchisedechians heresy, on the one hand, equates Melchisedech with the second hypostas of the Holy Trinity, the Son of God, before he took on human nature, that is,

ამავე მწვალეულობის ფორმას უპირისპირდება მარკოზ მონაზონი ნაშრომში - „მელქისედეკის შესახებ“. მარკოზი თავის ნაშრომში, ისევე როგორც ეპიფანე, ადასტურებს, რომ მელქისედეკიანელთა ერესი ერთი მხრივ, მელქისედეკს აიგივებს ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასთან, ძე ღმერთთან, ვიდრე იგი ადამიანურ ბუნებას შეიმოსავდა, ანუ განკაცდებოდა. მაგრამ მარკოზი აზუსტებს მწვალეულობის მეორე ასპექტს, რომელსაც ეპიფანე არღარ ახსენებს „პანარიონში“. მელქისედეკიანელები, მარკოზის მიხედვით განკაცებულ ძე ღმერთს, იესო ქრისტეს მხოლოდ, ლიტონ ადამიანად თვლიდნენ. მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების ბოლო სახე, რომელსაც ეპიფანე განიხილავს „პანარიონში“, ავტორის განმარტებით, ყველაზე მეტად გაუკუღმართებული ფორმაა. აღნიშნული ერესის მიმდევრები თვლიდნენ, რომ წმინდა წერილში მოხსენიებული მელქისედეკი არის თვით მამა ღმერთი.

მელქისედეკიანელთა ერესის ისტორიის სამი ეტაპი უნდა გამოიყოს:

პირველი ეტაპი მოიცავს მელქისედეკიანელთა ერესის წარმოქმნას და შემდეგ ამ ერესის სხვადასხვა სახით ჩამოყალიბებას, რასაც თავდაპირველად გვამცნობს იპოლიტე რომაელი ანტიერეტკულ ნაშრომში „ფილოსოფუმენა ანუ ყველა ერესის მხილება“, ხოლო შემდეგ ეპიფანე კვიპრელი, იპოლიტე რომაელის ნაშრომზე დაყრდნობით, „პანარიონის“ 55-ე ქვეთავში წარმოგვიდგენს მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების რამდენიმე სახეს.

მეორე ეტაპი გულისხმობს მელქისედეკიანელთა ერესის სახელწოდების ცვლილებას – „ათინგანებად“, რასაც გვამცნობს თიმოთე კონსტანტინეპოლელი ნაშრომში „ეკლესიაში მომსვლელთა შესახებ“. სწორედ ეს არის პირველი წყარო, რომელშიც მელქისედეკიანელები „ათინგანებად“ იწოდებიან.

რაც შეეხება მელქისედეკიანელთა ერესის ისტორიის მესამე ეტაპს.

ღირსი თეოფანე სიღრიანელი (დაახლ. 760-818 წწ.) თავის

became a man. But Mark specifies another aspect of the heresy that Epiphanius does not mention in the *Panarion*. The Melchisedechians, according to Mark, considered the Son of God, Jesus Christ, only a mere human being. The last form of manifestation of the Melchisedechians heresy, which Epiphanius discusses in “*Panarion*”, according to the author, is the most perverted form. The followers of this heresy believed that the Melchisedech mentioned in the Holy Scriptures is God the Father himself.

Three stages of the history of the Melchisedechians heresy should be distinguished:

The first stage involves the formation of the Melchisedechians heresy and then the various forms of this heresy. What Hippolytus of Rome first informs us in his antiheretical work. And then Epiphanius of Cyprus, based on the work of Hippolytus of Rome, in the 55th subsection of “*Panarion*” presents several types of manifestations of the Melchisedechians heresy.

The second stage involves the change of the name of the Melchisedechians heresy - “*Athingans*”, what Timothy of Constantinople informs us in his work. This is the first source in which the Melchisedechians are called “*Athingans*”.

As for the third stage of the history of the Melchisedechians heresy.

Venerable Theophanes the Confessor of Sigriane (760-818) in his work “*Chronographia*” lists the “*Athingans*” alongside other heresies, but he does not call them Melchisedechians, but “*Athingans*”. According to the mentioned source, at this stage, three characteristics have already been identified in “*Atingans*”: The heretical teachings of the Melchisedechians, the Samaritan tradition, and the magical rites of a certain foreign ethnic group, which were executed by the renamed “*Atingans*”.

According to the sources, it is clear that the name “*Athingans*” (Ἀθίγγανοι) was adopted by an ethnic group of gypsies residing in

ნაშრომში „ქრონოგრაფი“ „ათინგანებს“ ჯერ კიდევ სხვა ერესების გვერდით ასახელებს, მაგრამ მათ უწოდებს არა მელქისედეკიანელებს, არამედ „ათინგანებს“. აღნიშნული წყაროს მიხედვით ამ ეტაპზე „ათინგანებში“ უკვე გამოიკვეთილია სამი ნიშან-თვისება: მელქისედეკიანელთა ერეტიკული სწავლება, სამარიტელთა ტრადიცია და გარკვეული უცხო ეთნიკური ჯგუფის მაგიური რიტუალები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი „ათინგანები“ აღასრულებდნენ.

წყარობის მიხედვით ირკვევა, რომ სახელწოდება „ათინგანები“ (Ἀθίνανοι) მიიღო მცირე აზიაში არსებულმა ციგანთა, ანუ ბოშათა ერთ-ერთმა ეთნიკურმა ჯგუფმა, რომელსაც გიორგი მცირე თავის თხზულებაში უწოდებს — „აწინკიანებს“. მათ გაიზიარეს „ათინგანების“ ერეტიკული სწავლება და შეიტანეს მასში საკუთარი ტრადიციული ჩვეულებები — მაგიური რიტუალები და კულტ-მსახურებები.

Asia Minor, who Giorgi Mtsire refers to as the “Atsikians” in his work. They shared the heretic teaching of the “Athingans” and introduced their own traditional customs – magic rituals and idolatry – in it.

რატი სტურუა

საქართველოს უნივერსიტეტი

sturuarati5@gmail.com

გეოგრაფია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ მიხედვით

წინამდებარე სტატიაში ასახულია იაკობ ხუცესის თხზულებაში მოცემული ტოპონიმების გამოკვლევა.

ჩვენ მიერ გეოგრაფიული ადგილები განმარტებულია იმგვარი თანმიმდევრობით, როგორითაც აღნიშნული ტოპონიმები ტექსტშია მოხსენიებული.

„შუშანიკის წამების“ ტექსტში დაცული გეოგრაფიული მონაცემები, მეცნიერთა შეფასებით, სანდო და ზუსტია. ტოპონიმთა უმეტესობა „შუშანიკის წამების“ ქართულ ვრცელ რედაქციაშია მოცემული. სომხურ რედაქციებში ტოპონიმები ნაკლებად მოგვეპოვება.

ტერმინ კართან დაკავშირებით სტატიაში განხილულია მეცნიერთა სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთაგან მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „შუშანიკის წამების“ პირველ თავში დამოწმებული სიტყვა კარი ირანის სამეფო კარსა და ქალაქ ქტესიფონს გულისხმობს, რაც ტექსტის შინაარსიდანაც ნათლად ჩანს. ხოლო, რაც შეეხება მეცამეტე თავში ხსენებულ კარს, ჩვენი აზრით, მეცნიერთა შეხედულება, დაფუძნებული ანტონ კათალიკოსის განმარტებაზე, რომ სიტყვა კარი, შესაძლოა, ძველ ქალაქებს - კარინს ან ყარსს აღნიშნავდეს, უფრო მართებულია.

სტატიაში ასევე განხილულია მეცნიერული კვლევები, რომელთა მიხედვით, X საუკუნიდან ქვემო ქართლის აღსანიშნავად ქართულ საისტორიო წყაროებში ტერმინი სომხითი გამოიყენება, ხოლო X ს.-მდე ბერძნული და სომხური წყაროების მიხედვით ქვემო ქართლი მოიხსენიება ტერმინით გუგარქი. ძველი სომხური მწერლობა სახელწოდება გუგარქს ზოგადად ქართლის მნიშვნელობით იყენებს (და არა მხოლოდ ქვემო ქართლის, როგორც

*Geography according to the work of Jacob the hieromonk:
„The Martyrdom of the Blessed Queen Shushanik“*

This article reflects the examination of the toponyms contained in the text of Jacob the hieromonk's treatise: „The Martyrdom of the Blessed Queen Shushanik“.

We explain the geographical places in the same order as they are mentioned toponyms in the text.

The geographical data preserved in the text of „The Martyrdom of the Blessed Queen Shushanik“, according to scientists, are reliable and accurate. Most of the toponyms are given in the Georgian extensive edition of „Shushanik torture“. In Armenian editions, toponyms are less likely to be found.

Regarding the term „kari“(კარი), the article discusses different points of view of scientists, from which we consider it correct, according to which the word „kari“(კარი) attested in the first chapter of „Shushanik's martyrdom“ refers to the Royal Court of Iran and the city of Ctesiphon, which is clearly evident from the content of the text. And, as for the doors mentioned in the thirteenth chapter, in our opinion, the view of scientists, based on the definition of Anton Catholicos, that the word „Kari“, perhaps, refers to the ancient cities - Karin or Kars, is more correct.

The article also discusses scientific studies, according to which the term Armenian is used in Georgian historical sources to refer to Kvemo Kartli since the X century, and in the X century.- According to Greek and Armenian sources, Kvemo Kartli is referred to by the term gugarki. Ancient Armenian writing generally uses the name

გავრცელებული სტერეოტიპი ცდილობს დაგვარწმუნოს), ხოლო ძველი ქართული მწერლობა ამ სომხურ ტერმინს „ქართლად“ თარგმნის“.

ჩვენს კვლევაში გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომელიც ტოპონიმების – ჩორი და კარი – ადგილმდებარეობისა და ურთიერთმიმართების საკითხს უკავშირდება, კერძოდ: თუკი მსჯელობის თვალსაზრისით დავუშვებთ, რომ ვარსქენი შუშანიკს სხვა ადგილას გაგზავნიდა და შუშანიკ დედოფალი მოწამეობრივ სიკვდილს განერიდებოდა, შუშანიკის პასუხიდან გამომდინარე, მისთვის ამგვარად მისაღები ადგილი მხოლოდ ქრისტიანული წიაღი იქნებოდა, ანუ, ერთი მხრივ, იგულისხმება „კარი“, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე მოიპოვება, და მეორე მხრივ – „ჩორი“ იგივე დარუბანდი, რომელიც ალბანეთის (კავკასიის) უძველეს, ქრისტიანულ საზღვრებში შედიოდა.

ვფიქრობთ, რომ მოცემული კვლევა მიიპყრობს ისტორიული გეოგრაფიითა და ძველი ქართული სასულიერო მწერლობით დაინტერესებულ პირთა ყურადღებას.

gugark in the meaning of Kartli (and not only Kvemo Kartli, as the common stereotype tries to convince us), while ancient Georgian writing translates this Armenian term as “Kartli”.

In our study, we express an opinion related to the issue of the location and relationship of the toponyms – „Chori“ and „Kari“, namely: if we assume from the point of view of reasoning that Varsken would have sent Shushanik to another place and Shushanik the queen would have avoided martyrdom, based on Shushanik’s answer, the only acceptable place for him would be the Christian bosom, that is, on one hand, it means “Kari”, which is considered in the territory of Armenia, and on the other hand - “Chori”, the same Daruband, which was included in the ancient, Christian borders of Albania (Caucasus).

We think that this study will attract the attention of people interested in historical geography and ancient Georgian religious writings.

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nestan.sulava@tsu.ge

*„უცხო“ გააზრებისათვის
„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით*

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინურ, შატერდულ და ჭელიშურ რედაქციებში, ლეონტი მროველის, არსენ ბერის, ნიკოლოზ გულაბერის ძის თხზულებებში წმ. ნინო შემოდის რამდენიმე სიმბოლოთი, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „დედოფალი“, „ტყვე“ და „უცხო“, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული. „დედოფლისა“ და „ტყვისაგან“ განსხვავებული სიმბოლური ღირებულება ეკისრება „უცხო“, როგორც წმ. ნინოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არსობრივ ხატ-სახეს, რომლის გააზრებას კონცეპტუალური მნიშვნელობა ეკისრება და რომელიც სპეციალური განხილვის საგანი არ ყოფილა.

სულხან-საბა ორბელიანმა „უცხო“ განმარტა, როგორც „სხვა“. „ტყვე“ იგივე უცხოებაში მყოფია, წარტაცებულია, სხვა ქვეყანაში მყოფია. გარდა იმისა, რომ წმ. ნინო ქართველთათვის უცხო ქვეყნიდან მოსულია, - ეს არსებითი არ არის მისი ტყვეობისა და უცხოობის განსასაზღვრად, - მისი უცხოობა უფრო ღრმა და მისტიური ფაქტორითაა ასახსნელი. ცნობილია, რომ წმინდანის სათნოებათა წარმოჩენისას ჰაგიოგრაფები ყურადღებას ამახვილებენ სოფლიდან განდგომაზე, უცხოობის სურვილზე, ანუ სხვადაყოფნაზე, მშობლიური გარემოდან გარესამყაროში გასვლის სურვილზე, რაც ევანგელურ სწავლებას ეფუძნება და რაც წმ. გრიგოლ ნოსელმა წმინდანის საღმრთო მოქალაქობის ერთ-ერთ საყრდენად მიიჩნია. ამიტომ გასათვალისწინებელია უცხოობის არსობრივი მნიშვნელობა, რაც ძველ და ახალ აღთქმაში გვხვდება, ხოლო მომდევნო ხანის ქრისტიანულ ლიტერატურაში სიღრმისეულად აისახა. მათეს სახარებაში მაცხოვრის სიტყვა

*To understand the “foreigner” according to
the “Behavior of Kartli”*

In the Sinaian, Shatberdi and Chelishi editions of the “Conversion of Kartli,” in the works of Leonti Mroveli (aka Leontius of Ruisi), Arsen the Monk, Nikoloz, son of Gulaberi, St. Nino is introduced with several symbols, of which the interconnected symbols of the “Queen”, “Captive” and “Foreigner” stand out. The “Foreigner” bears the symbolic value different from that of the “Queen” and “Captive”, and is one of the most important essential icons of St. Nino, the understanding of which is of conceptual importance and which has never been the subject of special studies.

Sulkhan-Saba Orbeliani defined “Foreigner” as “Other”. “Captive” can be interpreted as a person dwelling among foreigners, the one who has been captured, living in a country which is not his/her homeland. In addition to the fact that St. Nino comes from a foreign country to Georgia - this is not relevant to describe her as a “Foreigner” or a “Captive”, - her foreignness can be explained by a deeper and mystical factor. It is known that when presenting some virtues of a saint, hagiographers focus on the act of reclusion, the desire to live a solitary life and remain a foreigner, i.e., the desire to leave the native environment and become the part of the outside world, which is based on the evangelical teaching and which St. Grigol of Nose considered as one of the pillars of the divine citizenship of the saint. Therefore, the essence of foreignness, which is found in the Old and New Testaments, and was deeply reflected in the Christian literature

უცხო სადმი დამოკიდებულება ჰიპოდიგმურ ხატ-სახედ გვევლინება (მათე, 25, 35; 25, 38; 25, 43; 25, 44); ევანგელურ-აპოკალიფტიკური სწავლების კვალობაზე წმ. ნინო მრავალმხრივად „უცხო“: იგი სხვა, უცხო ქვეყანაში მყოფია და უცხოა მანამ, სანამ საქართველოს ქრისტეს სჯულზე არ მოაქცევს; ე. ი. „უცხოში“ სულიერებაა განსახოვნებული. წმ. ნინოს უცხოობა ქრისტიანული აღმსარებლობა და ცნობიერებაა, რაც ქართველი ერისა და საქართველოსთვის იმდროისათვის იყო უცხო, ანუ სხვა. უცხოობა უშუალოდ უკავშირდება წმ. ნინოს, რომელიც უცხოა იმიტომ, რომ იგი, თვისთაგან გამოსული, პირველსახემიღებული, უცხო-ქმნილი უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე. უცხო სხვად ყოფნაა, ეს „სხვა“ წინარესაგან განსხვავებულობას მიანიშნებს და წმ. ნინოში ქართლის სულიერ განმაახლებელს მოგვააზრებინებს. შესაბამისად, „უცხო“ დროსივრცული პოეტიკის კვალობაზეცაა განსახილველი.

მოხსენებაში ამ საკითხთა შესახებ გვექნება საუბარი.

of the following era, should be taken into account. In the Gospel of Matthew, the attitude of the Saviour towards the word “Foreigner” appears as a hypodigmatic image (Matthew, 25, 35; 25, 38; 25, 43; 25, 44); Following the evangelical-apostolic teachings, St. Nino is a “Foreigner” in many ways: she comes from a foreign country and is a foreigner until she converts Georgia to Christianity; i.e., “Foreigner” embodies spirituality. St. Nino is a “foreigner” because of her being Christian and because of her religion, which was foreign to the Georgian nation and Georgia at that time. Foreignness is directly related to St. Nino, who is a “Foreigner” because she, having left her homeland, having returned to her true self, having become a foreigner, must present herself before the Lord Almighty. Being foreigner means being different, different from what one used to be, and in case of St. Nino it means being the spiritual reformer of Georgia. Therefore, the meaning of the word “foreigner” is to be discussed and analysed in the context of spatio-temporal poetics.

We will talk about these issues in our presentation.

ქართველი მეცნიერის უცხოეთში ჩაკარგული კვალი

ქართული ციხე მუდამ „შიგნიდან ტყდებოდა“. ასე მოხდა 1832 წლის 9 დეკემბერსაც, როცა თავადამნაურთა ახლა კარგად ცნობილი შეთქმულების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, იასე ფალავანდიშვილს, რომელიც სახალხო გუბერნატორის ძმა იყო, ნერვებმა უმტყუნა და, მთავარმართებელ ბარონ როზენს დაწვრილებით შეატყობინა შეთქმულების თაობაზე ყველაფერი, რაც იცოდა.

აღშფოთებას ვერ ფარავდა თბილისის სახალხო გუბერნატორი ნიკო ფალავანდიშვილი. უამური „საჩუქარი“ მიართვეს დილის ფოსტით: მწვავე იყო სატირული ლექსის ყოველი სტრიქონი, დაუფარავად აშიშვლებდა მეფის რუსეთის მთავრობის დამთრგუნველ პოლიტიკას საქართველოში. ამხელდა გუბერნატორის ძმას, შეთქმულების გამცემ მოღალატე იასე ფალავანდიშვილს.

ყველას გასაოცრად და დაზვიადებულად, რომელმაც არცთუ ცოტა იწვალა „დამნაშავეთა“ გამოსავლენად, სატირული ლექსის ავტორიცა და გამავრცელებელიც აღმოჩნდნენ 14-15 წლის გიმნაზიელი ბიჭები: ავტორი — ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამავრცელებელი — პეტრე ბაგრატიონი. როგორც არასრულწლოვანნი, ყმაწვილები არ დაუპატიმრებიათ. გადაწყდა, ისინი მშობლებისა და მახლობლების თანდასწრებით დაესაჯა ჯალათს როზგის 25 დარტყმით. საბედისწერო 1832-ში სასჯელის აცილების სურვილით პეტერბურგში გახიზნული ჭაბუკი პეტრე ბაგრატიონი პაპილამ ანა ბაგრატიონ-გოლიცინისამ შეიფარა.

1842 წლიდან პეტრე ბაგრატიონმა მუშაობა დაიწყო ფიზიკასა და ქიმიკაში. იმავე 1842 წლის ნოემბერში პეტრე ბაგრატიონი დააჯილდოვეს სტანისლავის III ხარისხის ორდენით „გალვანურ მეცადინეობაში წარმატებისათვის“. ერთი წლის შემდეგ თავისი

Traces of a Georgian scientist lost in foreign lands

On 9 December 1832, the Georgian ‘castle fell from inside’ as usual. Courage failed Yasse Falavandishvili, the brother of the Public Governor of Tbilisi, and he betrayed his co-conspirators by giving the plot away to the de facto Viceroy of the Caucasus, Baron von Rosen.

Nicko Falavandishvili was furious after receiving an unpleasant mail for breakfast: the delivered poem exposed the repressive policy of Tsarist Russia forcefully introduced to Georgia. It also revealed his brother Yasse as a traitor to the conspiring Georgian noblemen.

Surprisingly, and to the shame of the intelligence, the culprits were identified as 14-15-year-old high schoolers – the author of the satirical poem Nicholas Baratashvili and its distributor Peter Bagration. The juveniles escaped arrest but were sentenced to flogging in front of the family members. Prince Peter fled to Saint Petersburg to avoid punishment and stayed at his great-aunt, Anna Bagration of Golitsyn.

In 1842, Peter Bagration became involved in physics and chemistry. In November of the same year, Prince Peter was awarded the Order of Saint Stanislaus 3rd degree ‘for success in galvanic studies’. In 1843, he published his first scientific research about the galvanic cell he created. The following significant work about the phenomenon that Bagration ‘detected during his galvanic experiments’ was soon also published abroad.

The opportunistic foreign scientists harboured in the Russian Academy of Sciences quickly realised the value of the Bagration research. Through them, as early as 1845, precious metals were processed in Europe and America using the method of Georgian scientist. But a

პირველი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა მის მიერ შექმნილი გალვანური ელემენტის შესახებ. პეტრე ბაგრატიონის შემდეგი მნიშვნელოვანი შრომა შეეხებოდა მოვლენას, რომელიც მეცნიერმა თავისი „გალვანური ცდების მსვლელობაში შენიშნა“. მალე მისი ეს შრომაც დაიბეჭდა საზღვარგარეთ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოკალათებულმა ბედის-მაძიებელმა უცხოელმა მეცნიერებმა მსწრაფლ შეიგნეს პეტრე ბაგრატიონის შრომების ღირებულება და მათი მეშვეობით უკვე 1845 წლიდან ევროპასა და ამერიკაში კეთლშობილი ლითონების დამუშავება ქართველი მეცნიერის მეთოდით წარმოებდა. მოხდა ისტორიული უკუღმართობა და ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1894 წელს პეტრე ბაგრატიონის ცნობილი მეთოდი ოქროს მიღებისა რუსეთში მაკარტურისა და ძმები ფორესტების მეთოდის სახელ-წოდებით დაბრუნდა.

historical injustice happened when the well-known Bagration method of obtaining gold was reintroduced to Russia half a century later, in 1894, as the MacArthur-Forrest cyanidation process – developed only in 1887.

ირაკლი ფაღავა
გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mesefi@gmail.com

კაკსა და ბაზარში მოჭრილ-დადამლული მონეტების შერეული განძი

ჩვენი მიზანია - ისტორიული საქართველოს ქალაქებში, ბაზარსა და კაკში მოჭრილი და დადამლული მონეტების განძის პირველადი პუბლიკაცია. კერამიკულ ჭურჭელში ჩადებული სპილენძის მონეტების განძი, გადმოცემით, შემთხვევით აღმოაჩინეს დაუზუსტებელ ადგილას ისტორიული კახეთის ტერიტორიაზე (საინგილოში), 2019 წელს. ატრიბუციის მიზნით, მოგვაწოდეს 80 მონეტის (უმეტესობის?) გამოსახულება (მეტროლოგიურ მონაცემებთან ერთად). მონეტები ნაწილდება რამდენიმე ჯგუფად: 1) 55 (68.75%) მოჭრილი ქ. კაკში, მოჭრის ადგილი: „ქახედ“, ტიპი - ლომი მარჯვნივ; 2) 5 (6.25%) მოჭრილი ქ. ბაზარში; მათ შორის, 2 „ზაქამ“, ტიპი სპილო მარჯვნივ; 1 „ზაქამ“, ტიპი ლომი მარჯვნივ; 1 „ზაქამ“, ტიპი ლომი მარჯვნივ, 3. 993 წ. = 1585; 1 „ზაქამ“, ტიპი ოთხფეხა ცხოველი მარცხნივ; 3) 2 (2.5%) დამლით „ფულუს ზაქამ“; 4) 1 დამლით „ადლ-ი ფულუს“ (მეორე მხარეს - ერკემლის გამოსახულება), და 2 დამლით „ადლ-ი შაჰი“ (აღმოჩენები კონცენტრირდება საინგილოში) (3.75%); 5) 6 (7.5%) - უნგრული მონეტის ადგილობრივი მინაბადი (აღმოჩენები კონცენტრირდება საინგილოში); 6) 3 (3.75%) არაიდენტიფიცირებული დამლებით; 7) 6 (7.5%) დამლების გარეშე, არაიდენტიფიცირებული. დამტკიცებულია, რომ „ზაქამ“ / „ზაქამ“ აღნიშნავდა ბაზარის (ზაგემის) ზარაფხანას; „ქახედ“ კაკის ზარაფხანას. ბაზარშია მოჭრილი ან დადამლული მონეტების 8.75%, კაკში - 68.75%. დანარჩენის წარმომავლობა სათუოა. განძის ტეზაურაციის *таqn* არის 1585 წ. დასტურდება კაკის ზარაფხანის ინტენსიური მოქმედება. საყურადღებოა სხვადასხვა წონისა და

*Mixed Hoard of Coins Minted and Countermarked in
K'ak'i and Bazari*

Our goal is the preliminary publication of the hoard of coins struck and countermarked in Bazari and K'ak'i (historical Georgia). Reportedly, ceramic vessel with copper coins was discovered at an unspecified location in historical K'akheti (Saingilo), in 2019. We were asked to attribute 80 specimens: 1) 55 (68.75%) minted in K'ak'i, mintname "Kākhed", lion right; 2) 5 (6.25%) minted in Bazari: 2 "Zakām", elephant right; 1 "Zakam", lion right; 1 "Zakam", lion right, AH 993 = 1585; 1 "Zakam", animal left; 3) 2 (2.5%) countermarked "fulūs Zakam"; 4) 1 countermarked "adl-i fulūs" (tup right), and 2 countermarked "adl-i shāhī" (finds typical for Saingilo) (3.75%); 5) 6 (7.5%) local imitations of hungarian coins (typical finds); 6) 3 (3.75%) with unidentified countermarks; 7) 6 (7.5%) without countermarks, unidentified. "Zakām" / "Zakam" mintname designated Bazari (Zagemi); "Kākhed" designated K'ak'i. 8.75% of coins were minted or countermarked in Bazari; 68.75% in K'ak'i. The origin of the rest is disputable. Hoard Taqn is 1585. Evidently, K'ak'i was a prolific mint. Coins with or without countermarks, of different weight and type and produced at two different mints were deposited (circulated?) conjointly: probably, both mints were controlled by the same issuer, i.e. "Kākhed" coins of this type were issued by the Kingdom of K'akheti, rather than the Elisu Sultanate (in the last third of the 16th c.?). New data favour metrological analysis. The hoard constitutes a significant primary source on the economic and political history of the late-feudal Georgia / K'akheti.

ტიპის, სხვადასხვა დამლის მატარებელი თუ დაუდამლავი, სხვადასხვა ქალაქში მოჭრილი მონეტების ერთობლივი ტეზავრაცია (მიმოქცევა?). საფიქრებელია, რომ ემისიის ორივე ცენტრი ერთი და იმავე ემიტენტს ექვემდებარებოდა; ე.ი. „ქაზედ“-ის ამ მონეტებს უშვებდა კახეთის სამეფო და არა ელისუს სასულთნო; სავარაუდოდ, XVI საუკუნის ბოლო მესამედში. ყველა მონეტის წონის პუბლიკაცია იძლევა საშუალებას ჩატარდეს სამონეტო ტიპების მეტროლოგიური ანალიზიც. განძი ძვირფასი წყაროა გვიან-ფეოდალური ხანის საქართველოს, კახეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

*პეტრე დიდის სახელმწიფო ინტერესებს შეწირული
აღსარების საიდუმლო*

*„უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას“
მათე მოციქულის სახარება, თავი 18 : 15*

პეტრე I ისტორიაში შესულია, როგორც რუსეთის რეფორმატორი. მის დროს შეიცვალა პოლიტიკური მიმართულება ქვეყანაში და ორიენტაცია დასავლეთისკენ აიღეს. მან დაასრულა ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ცვლილებები შეეხო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ კი მოექცა საეკლესიო საქმიანობა.

პეტრე I-ის ყურადღება მიპყრობილი იყო დასავლეთში პროტესტანტული ეკლესიის გამოცდილებაზე, რომელიც ეფუძნებოდა მონარქის პირველობას სასულიერო საკითხებში. რეფორმის მთავარი ამოცანა ეკლესიის გავლენის შემცირება და სასულიერო პირების მეფეზე დაქვემდებარება იყო. პეტრე I-ის საეკლესიო რეფორმით განხორციელდა ძალადობა ეკლესიაზე სახელმწიფოს მხრიდან და ეს აღსარების პრაქტიკასაც შეეხო.

დაახლოებით 300 წლის წინ, 1722 წ-ს ივნისში, იმპერატორის მითითებით დაიბეჭდა შესწორებული „სასულიერო რეგლამენტის დამატებები“, რომლმაც გააუქმა აღსარების საიდუმლო, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მაცხოვრის მიერ დაწესებული შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთი. აღსარების საიდუმლოს შენახვა — მღვდლის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, სასულიერო რეგლამენტის მიხედვით კი, სულიერი მწყემსი ვალდებული იყო ეცნობებინა იმ პირის შესახებ, ვინც ჩაიდინა ან გეგმავდა სახელმწიფო მასშტაბის დანაშაულის ჩადენას. ეს გადაწყვეტილება ითვლებოდა ყველაზე დამღუპველად რუსეთისთვის. აღსარების საიდუმლოს

*The Subjugation of Confessional Secrecy of the State
Interests of Peter the Great*

„If your brother sins against you, go and tell him his fault“

Matthew 18:15

In history, Peter I is known as a reformer of Russia. During his time, the political direction in the country has changed and they took the orientation towards the West. He completed the formation of a centralized state. Changes affected almost all spheres of life, and church activities came under special attention.

Peter I's attention was drawn to the experience of the Protestant Church in the West, which was based on the primacy of the monarch in ecclesiastical matters. The main task of the reform was to reduce the influence of the church and subordinate the clergy to the king. With the church reform of Peter I, violence was carried out on the church by the state, and this also affected the practice of confession.

About 300 years ago, in June 1722, the amended "Additions to the Sacred Regulations" were printed by the emperor's instructions, which canceled the secret of confession, one of the seven sacraments established by the Savior in the Orthodox Church. Keeping the secret of the confession is the most important duty of the priest, and according to the religious regulations, the spiritual shepherd was obliged to inform about the person who committed or planned to commit a state crime. Violation of the secret of confession was equivalent to the loss of people's trust in the Church. However, the decree created a great opportunity for government officials who wanted to be as informed as possible through confession, and this way of obtaining information has been preserved in the country for centuries.

დარღვევა ეკლესიისადმი ხალხის ნდობის დაკარგვის ტოლფასი იყო. თუმცა, განკარგულებამ შესანიშნავი შესაძლებლობა შექმნა სახელმწიფო მოხელეებისთვის, რომელთაც სურდათ მაქსიმალურად ინფორმირებული ყოფილიყვნენ აღსარების წყალობით და ინფორმაციის მოპოვების ეს გზა ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს.

ლუკანუსის ერთი ცნობის დაზუსტებისათვის

ცნობილი რომაელი პოეტის ლუკანუსის (ახ.წ. 39-65) „ფარსალია“ რომაული საისტორიო ეპოსის თვალსაჩინო ძეგლია. ეს არის ათ წიგნად დაწერილი პოემა, რომელშიც აღწერილია ძველი რომის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა - სამოქალაქო ომი კეისარსა და პომპეუსს შორის. ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანტიკური ხანიდანვე. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული თვალსაზრისით. ავტორის თხრობის მანერა თითქმის ანალისტურია, და მას ხშირად ბრალს დებდნენ რომ იყო არა პოეტი, არამედ ისტორიკოსი.

ლუკანუსის „ფარსალიაში“ გარკვეული ცნობები მოიპოვება კოლხეთის ისტორიის შესახებაც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ცნობა, სადაც პომპეუსის ბანაკის აღწერისას, სხვა ხალხებს შორის, დასახელებულია „მრისხანე ჰენიოხები“ (Phars., III, 64). ცნობილია, რომ ძვ.წ. 48 წ. ფარსალოსის ბრძოლის წინ პომპეუსის მხარეს იდგა თითქმის მთელი რომაული აღმოსავლეთი. საინტერესოა, რომ ციცერონი ბალკანეთის ბატალიების აღწერისას ორჯერ ახსენებს „კოლხების ფლოტს“ და „კოლხთა ურდოებს“ (Cic., Att., IX, 9-10). თუმცა, პომპეუსის მოკავშირეთა ვრცელ ჩამონათვალში (მაგ., აპიანე, ციცერონი) არც ერთი ავტორი, გარდა ლუკანუსისა, არ ასახელებს ჰენიოხებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლუკანუსი ისტორიული ამბების აღწერისას ძალიან იშვიათად უშვებს შეცდომებს, საკმაოდ ზუსტად გადმოცემს სამოქალაქო ომის პერიპეტეებს და ხშირ შემთხვევაში გვაწვდის სხვა წყაროებისათვის უცნობ ინფორმაციასაც, ვფიქრობთ, მის მიერ ჰენიოხების მოხსენიება არ უნდა იყოს შემთხვე-ვითი. ამ ცნობის სისწორეს გარკვეულწილად ადასტურებს ჰენიოხთა გაერთიანების შემდგომი ისტორიული განვითარების დინამიკაც: მოგვიანო ხა-

To Clarify One Information of Lucanus

“Pharsalia” by the famous Roman poet Lucanus (39-65 AD) is a prominent monument of the Roman historical epic. It is a poem written in ten books describing the most important event in the history of ancient Rome – the Civil War between Caesar and Pompey. The work enjoyed great popularity since ancient times. It is of great importance from a historical point of view. The author’s narrative style is almost analytical, and he has often been accused of being a historian rather than a poet.

In “Pharsalia” there is some information about the history of Colchis. One account is particularly interesting for us, where, among other peoples, the “fierce Heniochs” are named during the description of Pompey’s camp (Phars., III, 64). It is known that at 48 BC before the Battle of Pharsalus, almost the entire Roman East was on Pompey’s side. It is interesting that Cicero mentions the “Colchi fleet” and “Colchi hordes” twice when describing the Balkan battalions (Cic., Att., IX, 9-10). However, in the extensive list of Pompey’s allies (eg., Appian, Cicero), no author except Lucanus mentions the Heniochs. If we consider that Lucanus rarely makes mistakes when describing historical events, quite accurately conveys the vicissitudes of the civil war, and in many cases provides us with information unknown to other sources, we think that his mention of Heniochs should not be accidental. The correctness of this report is confirmed to some extent by the dynamics of the historical development after the unification of the Heniochs: in the sources of the later period, the Heniochs appear as the most reliable allies of the Romans and active carriers of the empire’s policy in the eastern Black Sea region. Based on the situation on the Black Sea coast at that time, we consider it impossible that the Heniochs mentioned by Lucanus refer to the tribes living on the northeastern coast

ნის წყაროებშიც ჰენიოხები ფიგურირებენ როგორც რომაელთა ყველაზე საიმედო მოკავშირეები და იმპერიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. იმ დროს შავიზღვისპირეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გამოირიცხულად მიგვაჩნია, რომ ლუკანუსის მიერ მოხსენიებულ ჰენიოხებში იგულისხმებოდეს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომები. აშკარაა, რომ აქ საუბარია არისტარქეს საგამგებლო ერთეულის სამხრეთით, ათინა-რიზეს რაიონში განსახლებულ ჰენიოხებზე. ვფიქრობთ, ჰენიოხთა რაზმები უშუალოდ რომაული სარდლობის ან რომელიმე ადგილობრივი მცირეაზიელი მმართველის დაქვემდებარებაში იქნებოდა, განსხვავებით ციცერონის მიერ მოხსენიებული „კოლხთა ფლოტისა“ და „კოლხთა ურდოებისაგან“, რომელშიც, როგორც ჩანს, უშუალოდ არისტარქეს მიერ გამოყვანილი ფლოტი და სამხედრო ძალები უნდა იგულისხმებოდეს.

of the Black Sea. It is obvious that here we are talking about the Heniochs settled in the Athina-Rize district, south of Aristarkhes administrative unit. We think that the Henioch detachments would be under the direct command of the Roman command or any local Asia Minor ruler, in contrast to the “Colchi fleet” and “Colchi hordes” mentioned by Cicero it seems should mean the fleet and military forces brought out directly by Aristarchus.

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

Nan.pruidze@ug.edu.ge

აკაკი - საბავშვო მწერალი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში თაობებია გაზრდილი აკაკის თხზულებებზე. წლების მანძილზე ამშვენებდა სასკოლო სახელმძღვანელოებს მისი ქმნილებები.

თავად აკაკიმ მხოლოდ ერთადერთ თხზულებას - „პატარა ტარიელს“ - უწოდა საყმაწვილო მოთხრობა. რეალურად კი მისი მოთხრობების, იგავებისა თუ ზღაპრების დიდი ნაწილი საბავშვო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ნიშნითაა აღბეჭდილი: თემატიკა მრავალფეროვანია, ხოლო შინაარსი - ბავშვისა და მოზარდის ასაკისათვის შესაფერისი, მოთხრობები ძირითადად მცირე მოცულობისაა, შესაბამისად, მათში მოვლენები „სწრაფად“ ვითარდება და პერსონაჟის ხასიათი მკაფიოდ ჩანს ქმედებაში. ენა მარტივია, თუმცა ხატოვანი, ადვილად აღსაქმელი და ლექსიკის გამამდიდრებელი; ტექსტში უფრო მეტი დიალოგია, ვიდრე თხრობა, რაც ყურადღების მოდუნების საშუალებას არ აძლევს მკითხველს; აკაკის მოთხრობები უხვად შეიცავს სათავგადასავლო ელემენტებს და, როგორც წესი, მათ ბედნიერი დასასრული აქვთ - სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე.

აკაკი ჩინებული მეზღაპრეცაა. ის არა მარტო ახალ სიცოცხლეს აძლევს ყველასათვის კარგად ცნობილ ზღაპრის გმირებს, არამედ ორიგინალურ ზღაპრებსაც თხზავს. მათში მოთხრობილი ამბები კი ერთნაირად მიმზიდველი და დამაფიქრებელია როგორც ნორჩი, ისე ზრდასრული მკითხველისათვის.

Akaki – Children’s writer

We can boldly say that generations have grown on Akaki’s writings in Georgia. His works have been in school text-books for years.

Akaki called children’s writing to only one of his works – “Little Tarieli”. In fact, big part of his stories, fables and tales have almost all specific details of children’s literary: theme is diverse and content adequate for child’s age, generally stories are small, accordingly story develops “quickly” and the nature of character is visible in action. Language is simple, but figurative, easy to understand and vocabulary-enriching; in text there is more dialogue than narration which keeps reader focused; Akaki’s stories include lots of adventurous elements and usually they have happy endings – Kindness beats evil.

Akaki is great tale-teller as well. Not only he gives a new life to already well-known characters but he composes original tales too. The stories narrated in them is equally attractive and thought-provoking for both young and adult readers.

მარინე ფუთურიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
marinaarchaeology@yahoo.com
marina.puturidze@tsu.ge

*ინოვაციური მიმართულებები ძვ. წ. მე-2
ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიის
ოქრომჭედლობაში*

სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის ძვ. წ. 21 – 17 საუკუნეებში გამორჩეულ მოვლენად იქცა ოქრომჭედლობის მანამდე არნახულ დონეზე დაწინაურება. აქ გავრცელებული თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა გამორჩეული იყო არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ მთელი უძველესი მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონების მასშტაბითაც. ამ დარგის განვითარება ჯერ კიდევ წინამორბედი, ბედენის კულტურისთვისაც ჩანს დამახასიათებელი, თუმცა ის განსაკუთრებულ მწვერვალს სწორედ თრიალეთის კულტურაში აღწევს.

მისი არსებობის ხანაში აშკარად ვლინდება ახალი, ზოგჯერ უცხო ტენდენციები მხატვრული ხელოსნობის ამ ელიტურ დარგში. აღნიშნულ პერიოდში გამოჩენილი ინოვაციები რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით დასტურდება. უპირველესად ეს არის ტორევეტიკაში ერთი ახალი ტიპის ნაწარმის - ლითონის ჭურჭლის გამოჩენა, რომელიც მანამდე სრულიად უცხო ნაწარმი იყო სამხრეთ კავკასიისათვის. მეორე დამახასიათებელი სიახლე დასტურდება მრავალფეროვანი ორნამენტული სახეების გამოჩენის მხრივ, სადაც აშკარად ვლინდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხო, წინააზიურის სტილის ტენდენციები, რაც სწორედ ტორევეტიკის ნაწარმში ჩანს ყველაზე თვალსაჩინოდ.

კიდევ ერთ ნიშანდობლივ ინოვაციად უნდა ჩაითვალოს ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული მრავალფეროვანი ნიმუშების დამზადების ტექნიკურ ხერხებში გამოჩენილი სიახლეები როგორც

Marina Puturidze
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
marinaarchaeology@yahoo.com
marina.puturidze@tsu.ge

Innovative Tendencies in 2nd Millennium BC South Caucasian Gold Working

In 21 - first half of 17 centuries BC for South Caucasus symptomatic phenomenon became an extreme flourishing of gold working. From this point essential seems the Trialeti Culture, widely distributed in region, the gold working of which distinguishable not only in South Caucasus but also in entire Ancient Near East. Development of the gold working was characterized even for the previous Bedeni Culture, nevertheless, the top standard it reached in trialetian period.

During it clearly was revealed the new, an alien tendency in artistic craft. The innovations became recordable to the different directions. Firstly, it became evident in producing of the metal vessels which were before unknown in the South Caucasus. Another characteristic novelty is an appearance of new ornamental motifs, revealing the local as well the alien, Near Eastern styles. This point, better than in another, can be seen in production of toreutics.

One more specific innovation are those new technical methods which were used in precious metal assemblages. It concerns the modeling of shape and certain details.

From the point of innovative tendencies, distinguishable orientation seems an artistic style of designing of jewelry and toreutics. It concerns to using of new methods: inlay, granulation and filigree when creating the various kind of ornamentation. From this point is especially distinguishable seems the inlaid gold cup and some types of

ფორმის, ისე მისი ცალკეული დეტალების მოდელირებისას.

ინოვაციური ტენდენციების გამოჩენის მხრივ განსაკუთრებული მიმართულებაა სამკაულისა და ტორევეტიკის ნაწარმის მხატვრული გაფორმების სტილი. ეს არის ახალი მეთოდების - ინკრუსტაციის, წვრილი ცვარასა და ფილიგრანის გამოყენება სხვადასხვა ორნამენტული სახეების გადმოცემისას. ამ მხრივ გამორჩეულია ინკრუსტირებულზედაპირიანი ოქროს ჭურჭელი და ასევე, სამკაულის ისეთი ტიპები, როგორებიცაა მძივი, კულონი და საკინძი. ორნამენტული სახეების ინკრუსტაციის, ცვარასა და ფილიგრანის კომბინირებით შექმნილი ორნამენტულის სქემა გამორჩეულად მდიდრულ სახეს აძლევს თრიალეთურ ოქრომჭედლობას და მკაფიოდ გამოარჩევს მას ზოგიერთი წინააზიური ოქრომჭედლური სკოლების პროდუქციისაგან.

სწორედ ამ მიმართულებების სიახლეთა ნაკადის დამკვიდრებას ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის პირველი ნახევრის ოქრომჭედლობაში და მისი ქრესტომათიული ნიმუშების განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

jewelry, like beads, pendant and pins.

Created by the combination of inlay, granulation and filigree, ornamental scheme received valuable design to the jewelry and toreutics of the trialetian patterns.

Presented paper dedicated to the issue of all these innovative tendencies and consideration of key assemblages of first half of the 2 millennium BC.

თეა ქამუშაძე

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
tea.kamushadze@tsu.ge

თეორიასა და პრაქტიკას შორის: რა გავიგეთ “კოვიდ პანდემიის გაკვეთილებიდან”

თანამედროვე ქართული სამეცნიერო აზრი დიდ წილად ეფუძნება საბჭოთა აკადემიურ ტრადიციას. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის მეცნიერება ისეთივე ინსტრუმენტი იყო, როგორც ხელოვნება და ლიტერატურა. საბჭოთა მეცნიერებას ის რეალობა უნდა აესახა, რომელიც სისტემის წარმოდგენებს შეესაბამებოდა. ნებისმიერ სამეცნიერო დისციპლინის კვლევები კონტროლდებოდა და იმ ყალიბში თავსდებოდა, რომელსაც სისტემა ქმნიდა. შესაბამისად ცალკეული დისციპლინა სისტემასთან თანაცხოვრების საკუთარ გზას პოულობდა, რითაც აშკარად სცილდებოდა არსებულ რეალობასა და მის კრიტიკულ გააზრებას. ამდენად ხშირ შემთხვევაში საბჭოთა მეცნიერი და მისი მეცნიერული საქმიანობა ცხოვრებისა და რეალობის მიღმა რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სისტემის რღვევიდან 30 წელი გავიდა, მისი კვალი და გავლენა ქართულ აკადემიურ წრეებზე მაინც საგრძნობია დღესაც.

მოხსენებაში შევეხები ქართული ეთნოლოგიური სკოლის ბედს პოსტსაბჭოთა პერიოდში, საბჭოთა ინერციებსა და მისი დაძლევის შესაძლო გზებსაც.

ამ საკითხებზე მსჯელობისათვის განვიხილავ კოვიდ პანდემიის პერიოდსა და წარმოვადგენ დაკვირვებას თუ რამდენად მოხერხდა სამეცნიერო ცოდნის გამოყენება კრიზისულ პერიოდში, როგორ უპასუხა ქართულ აკადემიურ წრემ შექმნილ კრიზისს? რამდენად უნარიანები აღმოჩნდნენ სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მოღვაწე ადამიანები, არსებული ეთნოგრაფიული

Tea Kamushadze
TSU Ivane Javakhishvili Institute
of History and Ethnology
tea.kamushadze@tsu.ge

*In Between Theory and Practice - Lessons Learned from
the Covid Pandemic*

Modern scientific thought in Georgia is strongly influenced by Soviet academic legacy. Science served as just as much of a tool for the authoritarian Soviet government as did art and literature. The reality that matched the ideology of the regime had to be reflected in Soviet science. Any scientific discipline's research was regulated and conformed to the framework set up by the system. Accordingly, disciplines found their own way of coexistence with the system, thus, clearly going beyond the existing reality and its critical understanding. Consequently, in many cases, the Soviet scientist and his scientific activity remained outside of life and reality. Accordingly, for scientists deep theoretical approach and vaguely writing skills became a way of survival strategy. Although 30 years have passed since the collapse of the Soviet system, its traces and influence on Georgian academic circles are still noticeable today.

I will discuss the fate of the Georgian ethnological school in the post-Soviet era, Soviet inertia, and potential solutions in my presentation.

I'm going to use the Covid pandemic as an example to illustrate these concerns and make an observation about how much scientific information was applied during that time, as well as how the Georgian academic community responded to the developing disaster. How well researchers adapted in the humanities and social sciences. How their ethnographic knowledge benefit society is crisis time. Interestingly, social networks and other Internet platforms have developed into sig-

ცოდნა საზოგადოებრივ სამსახურში ჩაეყენებინათ. იმის გათვალისწინებით რომ პანდემიის პერიოდში, სოციალური ქსელები და სხვა ინტერნეტ პლატფორმები იქცა ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვან შესაძლებლობად.

მოხსენებაში ვეცდები ავხსნა ქართული აკადემიური წრის შეზღუდულობა სამეცნიერო, თეორიული აზრი გარდაქმნას პრაქტიკულ ცოდნად საბჭოთა გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე ვეცდები კონკრეტული ეთნოგრაფიული კვლევის მაგალითზე ვაჩვენო ამის შესაძლებლობა.

nificant options for information exchange throughout the pandemic.

In the presentation, I will try to explain the limitations of the Georgian academic circle in transforming scientific, theoretical thought into practical knowledge, taking into account the Soviet experience. I will also try to show this possibility on the example of a specific, ongoing ethnographic research “Covid Pandemic and Georgia: Anthropological Research of New Reality”.

თეა ქართველიშვილი

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ბეჟან ხორავა

სუ თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
bxorava@yahoo.com

*შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების
დამორჩილების მცდელობა რუსეთის ხელისუფლების
მიერ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების მიხედვით)*

XVII-XVIII საუკუნეებში ოსების ჩამოსახლება შიდა ქართლის მთიანეთში ქართლის სამეფო ხელისუფლების ხელშეწყობით მიმდინარეობდა. დიდი და პატარა ლიახვის სათავეებში ჩამოსახლებული ოსები სამეფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ფეოდალების ყმები ხდებოდნენ.

შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლებულ ოსებს სამეფო ხელისუფლება აწვდიდა პურს, ფქვილს, ყველს, ხორცს, ღვინოს, ფარჩას.

შანშე ქსნის ერისთავმა (1718-1753) თავის მამულში დააყენა ოსები და სოფელი ააშენა, ხოლო დავით ერისთავმა (1753-1774) ტყე გააკაფინა, მეორე სოფელი ააშენა და ოსები დააყენა.

თუმცა ოსები ზოგჯერ არ ამართლებდნენ სამეფო ხელისუფლების და ადგილობრივი ფეოდალების იმედებს. ისინი გადასახადს არ იხდიდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას იკლებდნენ, ქურდობდნენ, ტყვედ მიჰყავდათ ისინი. ამიტომ ადგილობრივი ფეოდალები მათ აყრას ითხოვდნენ. სამეფო ხელისუფლება წესრიგის დამყარებას ცდილობდა.

Tea Kartvelishvili

Senior Researcher at the K. Kekelidze
Georgian National Centre of Manuscripts

Bezhan Khorava
UG Tamaz Beradze
Institute of Kartvelology
bxorava@yahoo.com

An attempt to subjugate the Ossetians living in the Shida Kartli highlands by the Russian authorities in the first half of the XIX century
(According to the collections kept in the K. Kekelidze
Georgian National Centre of Manuscripts)

The resettlement of Ossetians in the XVII-XVIII centuries to the Shida Kartli highlands took place with the assistance of the royal government of Kartli. Ossetians, resettled to the sources of Didi and Patara Liakhvi, became serfs of the royal government or local feudal lords.

The royal government provided the Ossetians resettled to the Shida Kartli highlands with bread, flour, cheese, meat, wine, and brocade.

Shanshe, Duke of Ksani (1718-1753) settled Ossetians in his estate and built a village, and Duke David (1753-1774) cut down a forest, then build a village and settled Ossetians there.

However, the Ossetians sometimes did not justify the hopes of the royal government and local feudal lords. They did not pay taxes, ravaged the local population, plunder, and kidnapped. Therefore, local feudal lords demanded their eviction. The royal government tried to restore order.

The Ossetians resettled to the Shida Kartli highlands continued to attack Georgian villages, robchurches, and steal cattle even after the

შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლებული ოსები რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც აგრძელებდნენ ქართულ სოფლებზე თავდასხმას, ძარცვავდნენ ეკლესიებს, მიერეკებოდნენ საქონელს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება ოსების დამორჩილებას შეეცადა. პოდპოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა შიდა ქართლის მთიანეთში მოსახლე ოსებს მოუწოდა გაეთავისუფლებინათ ქართველი ტყვეები და კანონი დაეცვათ.

იმავდროულად, შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები არ ცნობდნენ ცარიზმის ხელისუფლებას და ქართველი უფლისწულების დროშის ქვეშ რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ოსები საქართველოში ჩამოსახლების პერიოდში წარმართები იყვნენ. რუსული ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა ოსების გაქრისტიანებას. 1816 წლისთვის არაგვისა და გერის ხეობის ოსები უკვე ახლადგაქრისტიანებულნი ყოფილან.

XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის ხელისუფლებამ შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები სამხედრო-ადმინისტრაციულ მმართველობას დაუმორჩილა.

establishment of Russian power.

The Russian government tried to subjugate the Ossetians at the beginning of the XIX century. Lieutenant Colonel Simonovich called on them to release the captured Georgians and abide by the law.

The Ossetians living in the Shida Kartli highlands did not recognize the Tsarist power and fought against the Russian colonial regime under the flag of Georgian princes.

At the time of their resettlement to Georgia, Ossetians were pagans. The Russian government actively tried to convert them to Christianity. By 1816, the Ossetians of the Aragvi and Geri valleys were already newly baptized Christians.

In the middle of the XIX century, the Russian Government subordinated the Ossetians living in the Shida Kartli highlands to the military administration.

ქეთევან ქიმერიძე

სუ თამაზ ბერაძის სახელობის

ქართველოლოგიის ინსტიტუტი

k.kimeridze@ug.edu.ge

ქრისტეს კვართი ქართულ და ევროპულ საისტორიო ტრადიციაში

ქრისტიანობის მთელს მსოფლიოში გავრცელებისა და მისი გავლენის ზრდის კვალდაკვალ, სხვადასხვა სახელმწიფოებმა დაიწყეს ქრისტიანული სიმბოლოების მოძიება, შესყიდვა, მათზე ამბების შეთხზვა... ამგვარად, დღეს გვაქვს რამდენიმე განსხვავებული ტრადიცია, თუ სად ინახება ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი რელიქვია - მაცხოვრის კვართი. ერთ-ერთი, ასეთი ვერსიით ქრისტეს კვართი გერმანიის ქალაქ ტრირში, მის მთავარ ტაძარშია დაცული. საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იგი დედოფალ ელენეს შეუწირავს თავისი მშობლიური ქალაქისთვის. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ იგი საფრანგეთში, ქალაქ არჟანტოშია. რაც შეეხება აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციას, აქ მოიხსენიებენ ქართულ ვერსიას, რომლის მიხედვით ქრისტეს კვართი სვეტიცხოვლის ქვეშ არის დამარხული, თუმცა, მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, ჩნდება ისტორიები, თითქოს ის შაჰ-აბასის დროს საქართველოდან რუსეთში გაუტანიათ, საიდანაც მისი რამდენიმე ნაწილი სხვადასხვა ეკლესიაში აღმოჩნდა. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ქართული საისტორიო ტრადიციის განხილვა ისტორიულ ჭრილში, რადგან მართალია აღნიშნული რელიკვიის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს რამდენიმე ნაშრომი, თუმცა მათი ძირითადი მიზანი ერთგვარად ქართული საისტორიო ტრადიციის ლეგიტიმაციას ემსახურება და ნაკლებად არის ორიენტირებული ნარატიულ წყაროებში შემონახული ინფორმაციების კრიტიკულ ანალიზზე. უნდა ითქვას, რომ ტრირისა და არჟანტოის რელიკვიების ავთენტურობაზე საუბარი ისევე

*Christ's Robe in Georgian and European
Historical Tradition*

Following the spread of Christianity across the world and increase of its influence, different countries began seeking and obtaining Christian symbols, composing stories about them... Therefore, presently, there exist different traditions about where the most important Christian relic – the robe of Christ – is preserved. According to one version, the robe of Christ is kept in the main cathedral of the city of Trier in Germany. According to the historical tradition, the Robe was donated to her native city by Queen Elena. It is also thought to be kept in Argenteuil, France. As for the eastern Christian tradition, it refers to a Georgian version, according to which Christ's robe is buried under the Life-giving Pillar in Svetitskhoveli. However, in the 17th century there emerge stories that as if during the times of Shah Abbas, it was taken to Russia, from where its several parts ended up in different churches. Given the present-day reality, we believe that it is important to discuss Georgian historical tradition in the context of history, because, although there exist several works dedicated to the mentioned relic in Georgian historiography, their main aim is to somehow legitimize Georgian historical tradition and they are less focused on the critical analysis of the information preserved in narrative sources. It should be stated that it is hard to discuss the authenticity of the relics of Trier and Argenteuil, as well as to claim whether the Georgian narrative about burying the robe of Christ in Mtskheta is a reality. Even though we do not possess any tangible evidences which would allow us to provide scientific proof for Georgian narrative or oral tradition, the non-identified origin of the above-mentioned relics leaves room for the Georgian version too.

რთულია, როგორც იმისი მტკიცება, რეალურია თუ არა ქართული გადმოცემა კვართის მცხეთაში დამარხვის თაობაზე. მართალია ჩვენ არ გვაქვს ხელშესახები მტკიცებულებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მეცნიერულად დაგვემტკიცებინა ქართული ნარატიული თუ ზეპირი გადმოცემების ჭეშმარიტება, მაგრამ ზემოაღნიშნული რელიკვიების დაუზუსტებელი წარმომავლობა არსებობის უფლებას უტოვებს ქართულ ვერსიასაც.

გიორგი ქიტოშვილი
ივანე ჯავახიშვილის
თბილისის სახ. უნივერსიტეტი
Giorgi.kitoshvili@tsu.ge

მიდია ძველი აღთქმის ქართულ ვერსიებში

ძველი აღთქმა დატვირთულია არაერთი რეგიონის ტოპონიმებით, რომელთა სახელებიც ებრაულის გავლენით ჯერ ბიბლიის ბერძნულ თარგმანში გაჩნდა, ხოლო შემდეგ – ბერძნულიდან შესრულებულ თარგმანებში, მათ შორის ქართულშიც.

ქართულ თარგმანში განსხვავებული მეთოდით გადმოტანილი ტოპონიმები შევისწავლეთ კომპარატივისტული მეთოდით ბიბლიის თითოეული წიგნის ტექსტის ისტორიის გათვალისწინებით. ტოპონიმთა და მათთან დაკავშირებულ ეთნონიმთა რელევანტური ტექსტუალური ფორმები შევუდარეთ ერთმანეთს. შევისწავლეთ მათი თარგმანის ტექნიკა, გადაწერის პრაქტიკა, გლოსირების მეთოდი.

ამრიგად, ტოპონიმების ქართულ-ბერძნულ-სომხური შესატყვისობების დადგენა გვეხმარება, გავერკვეთ მთარგმნელთა და იმდროინდელი ქართველების ცოდნა-წარმოდგენებში ბიბლიური საზოგადოების შესახებ; გავიგოთ, რა ინფორმაციას ფლობდნენ ქართველები ბიბლიაში მოხსნიებული რეგიონებისა და ქვეყნების შესახებ.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ტოპონიმი მიდიის ეკვივალენტები: ებრაული: מִדְיָן, מִדְיָן: 5 [მად, მადა]; ბერძნული: Μαδαί, Μηδία (მყარი ეკვივალენტი); სომხური: Մաքաց (მყარი ეკვივალენტი); ქართული: ხოჟასტანი, (ხ)უჟიკეთი; ასევე მოხსენიებული ეთნონიმებში: ხუჟიკნი, მიდონელნი, მარნი, არმაკნი. ბერძნულ ბიბლიურ ტექსტუალურ ტრადიციას იზიარებდნენ ქართველი მთარგმნელები ტოპონიმი მიდიის გადმოტანისას;

გარდა ამისა: 1. (ხ)უჟიკეთი მყარი ლექსიკური ეკვივალენტია ყველა ქართულ ვერსიაში, გვიანდელი თარგმანის (ბაქარის ბიბლიის)

Giorgi Kitoshvili
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Giorgi.kitoshvili@tsu.ge

Media in the Georgian Versions of the Old Testament

Under the influence of Hebrew, toponyms initially appeared in the Greek translation of the Bible and, later, in other translations based on the Greek version of the Bible, including the Georgian translations.

The following types of toponyms are found in the Georgian translation. Therefore, translation of the geographical names requires a multidimensional approach. We have studied the toponyms transferred into Georgian based on different methods by means of a comparative approach, taking into account the history of each text of the Bible. We have compared the relevant textual forms of toponyms and related ethnonyms. We have focused on the technique of translation, the practice of copying and the method of glossing.

Thus, identification of the toponyms of the Georgian version of the Bible and textological research is an important task with reference to the study of the technique of transfer, the issues of origin and authenticity of translation and further history of the text. Identification of the Georgian-Greek-Armenian correlation of toponyms helps to analyze the knowledge and opinion of ancient Georgians and translators regarding the Biblical society and find out the awareness of Georgians regarding the regions and countries mentioned in the Bible.

Research has proved that, toponym Media has lexical equivalents: Hebrew: מַדָּא, מַדָּי [Mad, Mada]; Greek: Μαδαι, Μηδία; Armenian: Մադայ; Georgian: Khojastani, (Kh)ujikethi, also mentioned in ethnonyms: Khujikni, Medonelni/Midonelni, Marni, Arshakni. Beside of this: 1. (Kh)ujikethi is base equivalent; 2. Medonelni/Midonelni is derived from Greek by transliteration; 3. There is episodes with Arme-

გარდა. ხოლო განსხვავებული წაკითხვები გვხვდება კონკრეტული წიგნების მიხედვით; 2. მიდონელთა/მედონელთა წაკითხვა ბერძნულიდან ასო-ასო ტრანსლიტერაციით შესრულდა, რადგან ქართული მიდრეკილია ბერძნულთან სიახლოვისაკენ; 3. 4 მეფეთას წიგნში იკვეთება სომხურთან შედარების კვალი; 4. ეზრას წიგნებში არსებული წაკითხვები (ბატანაიელთასა, მართასა) სომხურიდან ტრანსკრიბირების გზით მივიღეთ, ქართული იმეორებს სომხურის შეცდომებს; 5. ქართულ ენაში თარგმანის დროისათვის არსებობდა მიდიელის ადეკვატური შესატყვისი, ამიტომ მეტწილად ითარგმნება *Μαδαί* და არ გადმოდის ტრანსკრიბირების მეოთხით; 6. ესთერის წიგნის წაკითხვების მიხედვით, მიდიელები და პართიელები ქართველ მთარგმნელ-რეცენზენტებს ერთ ხალხად მიაჩნდათ; 7. მათ ასევე საერთო წარმოდგენა აქვთ ელამელებსა და მიდიელებზე, თუმცა, მათ დანამდვილებით არჩევენ სპარსელებისაგან.

კვლევა [PHDF-22-6557] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

nian translation comparison in the 4 Kings book; 4. The readings of the book Erza are derived from Armenian as some Georgian readings repeat the mistakes of Armenian translation; 5. There was an adequate correspondence of Media in the Georgian language at the time of the translation, etc.

This research [PHDF-22-6557] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

ხათუნა ქოქრაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
kh.kokrashvili@gmail.com;
kh.kokrashvil@ug.edu.ge

საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და სტატუსი მე-18 ს-ის მეორე ნახევარში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას, როგორც რელიგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ინსტიტუციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით, საქართველოს ისტორიის დრამატულ პერიოდებში, შიდა აშლილობებისა და გარე საფრთხეების ჟამს. ეკლესიის წვლილი საკმაოდ დიდი იყო ქართველთა კოლექტიური მეხსიერებისა და ერთიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, რათა პოლიტიკური გათიშულობა თუ დაქსაქსულობა მენტალურ და ეთნიკურ დანაწევრებაში არ გადასულიყო.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდებით შევაფასოთ, როგორი იყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და სტატუსი ქართული ფეოდალური სამეფოების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის ბოლო ათწლეულებში, მე-18 ს-ის ბოლო მეორე ნახევარში; იქამდე, სანამ მე-19 ს-ის დასაწყისში რუსეთის მიერ მოხდებოდა ქართული სახელმწიფოების სრული ინსტიტუციური ასიმილაცია, მათ შორის საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდებით გავაანალიზოთ მე-18 ს-ში საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემდეგი პრობლემები: საქართველოს ეკლესიის მმართველობის სტრუქტურა, იურისდიქცია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და მოქმედების საზღვრები; საქართველოს ეკლესიის სტატუსი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში; საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და

Khatuna Kokrashvili
The University of Georgia
kh.kokrashvili@gmail.com;
kh.kokrashvil@ug.edu.ge

State and Status of the Georgian Church in the Second half of the 18th century

Being a religious, social-political and cultural institution, Georgian Orthodox church had major importance, especially in dramatic periods of Georgian history, during the times of internal unrest and external threats. The church played a considerable role in the collective memory and retaining unity of Georgian people making efforts to prevent political disconnection from transforming into ethnic separatism.

In the present work we try to estimate what the state and status of the Georgian church was in the second half of the 18th century, in the last decades of state independence of Georgian feudal kingdoms prior to the full institutional assimilation of the Georgian states and abolition of the autocephalous status of the Georgian church by Russian authorities at the beginning of the 19th century.

We discuss the following problems of the history of the Georgian church in the 18th century: the structure of governance of the Georgian church, its jurisdiction, administrative-territorial division and areas of operation; the status of the Georgian church in the Georgian political space; the state and the status of the Georgian church according to Georgian judicial sources and documents.

In this context, we try to feasibly show what self-perception and self-estimation of the status of the Georgian church was like among the Georgian political and religious elite through the relationship of the church with the state and the society. On the other hand, we try to show how the state and the status of the Georgian church was inter-

სტატუსი ქართული სამართლებივი წყაროებისა და დოკუმენტების მიხედვით.

ამ ფონზე, გვსურს შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ, ერთი მხრივ, საქართველოს ეკლესიის სტატუსის თვითაღქმა და თვითშეფასება ქართული პოლიტიკური და სასულიერო ელიტის მხრიდან, ეკლესიის სახელმწიფოთან და საზოგადოებასთან ურთიერთმიმართების რაკურსით. მეორე მხრივ კი, ვუჩვენოთ, როგორი იყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობისა და სტატუსის გააზრება და შეფასება გარე სამყაროს მიერ: როგორ აღიქვამდა მას ქრისტიანული აღმოსავლეთი და რა დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ მოსაზღვრე იმპერიები: ოსმალეთი, სპარსეთი თუ რუსეთი.

preted and estimated by the outside world: how it was perceived by Christian Orient and what the attitudes of the neighboring empires – Ottoman Turkey, Persia and Russia – were.

ია ღადუა

გიორგი ლეონიძის სახელობის

ქართული ლიტერატურის

სახელმწიფო მუზეუმი

ghaduaia@gmail.com

*როგორ გამოვიყენოთ გრაფემატული კვლევები
ხელნაწერთა დათარიღება-ატრიბუციისათვის
(გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა კვლევის მიხედვით)*

ჩვენ ვცხოვრობთ ყოველდღიური ტექნოლოგიური ინოვაციების ეპოქაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მივიღოთ ახალი მიმართულებისგან, ციფრული ჰუმანიტარიისგან, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საგრძნობლად გავიმართივით ხელნაწერთა კვლევა/დათარიღება. ამ კუთხით კი გრაფემატული კვლევები უმნიშვნელოვანესია. თუმცა, მსგავსი მეთოდები ატრიბუცია-დათარიღებისთვის საქართველოში ჯერ არ გამოუყენებიათ.

ხელნაწერთა დათარიღება საკმაოდ რთული პროცესია, რადგან თითოეული პიროვნების ხელწერა დროთა განმავლობაში საგრძნობლად იცვლება, უვითარდება სპეციფიკური მახასიათებლები. ამიტომაც ერთი ავტორისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა და სტილი წლების მიხედვით უნდა იყოს შესწავლილი. შესაბამისად, თუკი დაგვჭირდება ამა თუ იმ ხელნაწერის ატრიბუცია ან დათარიღება, ამ ავტორის თითქმის მთლიანი არქივის გრაფემატული კვლევა უნდა იყოს ჩატარებული. მაშინ შეგვიძლია დასაბუთებულად, არგუმენტირებულად მივაკუთვნოთ ხელნაწერი ავტორს ან დავათარიღოთ.

გრაფემატული კვლევისთვის გალაკტიონის არქივი შეირჩა, რადგან ის საკმაოდ ვრცელია, თან მასში ბლომადაა როგორც თარიღიანი, ისე უთარიღო ხელნაწერები და ეს მასალა დროის 52-წლიან ინტერვალს მოიცავს.

Ia Ghadua
Giorgi Leonidze
State Museum
of Georgian Literature
ghaduaia@gmail.com

How to Use Graphematic Studies for Manuscript Dating-Attribution

(In accordance with the research of the manuscripts of Galaktion Tabidze)

We live in the epoch of everyday technological innovation. Therefore, it is vital to obtain as much benefit as possible from the new direction, digital humanities, which allow us to significantly simplify the research/dating of manuscripts. In this regard, graphematic studies are very important. However, similar methods for attribution-dating have not yet been used in Georgia.

Dating of manuscripts is quite a complicated process, because each person's handwriting changes significantly over time, developing specific characteristics. That is why the specifics and style characteristic of one author should be studied over the years. Therefore, if we need to attribute or date this or that manuscript, a graphematic research of almost the entire archive of this author should be conducted. Then we can reasonably attribute the manuscript to the author or date it.

Galaktion's archive has been chosen for the graphematic study because it is quite extensive, containing both dated and undated manuscripts, and the material covers a time span of 52 years.

In the first stage of the research, we selected the dated manuscripts of Galaktion Tabidze from each year and started working on the creation of variant bases of the outlines of the letters and signs of the manuscript. For work, we use a high-resolution image of the manuscript,

კვლევის პირველ ეტაპზე შევარჩიეთ გალაკტიონ ტაბიძის თარიღიანი ხელნაწერები ყოველი წლიდან და მუშაობა დავიწყეთ ხელნაწერის ასო-ნიშანთა მოხაზულობების ვარიანტული ბაზების შექმნაზე. სამუშაოდ ვიყენებთ ხელნაწერის მაღალრეზოლუციან გამოსახულებას, რომელსაც ვშლით ცალკეულ გრაფემებად და ვაჯგუფებთ ამ ხელნაწერისთვის შემუშავებულ საბაზისო ცხრილში, რომელშიც გამოყოფილია სამი ძირითადი კომპონენტი: ერთეული, წყვილი და კავშირები/მაკავშირებელი სიტყვები. ეს მონაცემები იძლევა საშუალებას, შევადგინოთ გალაკტიონის ხელნაწერისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორებიცაა: გრაფემების სიდიდე, ერთმანეთისაგან დაშორება, ვირტუალური საწერი ხაზის მიმართ განლაგება, ბმები, ხელის აულებლად ნაწერის სიგრძე და სხვა.

საწვრთნელი ბაზის შექმნის შემდეგ სპეციალური ალგორითმის გამოყენებით გამოიკვეთება შიდა კლასიფიკატორები (თარიღზე მიმანიშნებელი მახასიათებლები). შესაბამისად, როდესაც მივაჩვდით სისტემას უთარილო ტექსტს, ის აღმოაჩენს, რომელი წლის ავტოგრაფებთან ამჟღავნებს საკვლევი ხელნაწერი ყველაზე დიდ მსგავსებას.

უთარილო ტექსტი მოწყვეტილია კვლევისთვის საჭირო ყველა კონტექსტს. ციფრული ჰუმანიტარიის მეთოდები კი საშუალებას იძლევა, დათარიღებისა თუ ატრიბუციის პროცესი არა ჰიპოთეზებზე, არამედ მთლიანად მეცნიერულ საფუძვლებზე დავამყაროთ.

which we break down into individual graphemes and group them into a base table developed for this manuscript, which separates three main components: units, pairs, and conjunctions/connecting words. These data make it possible to compile such features characteristic of Galaktion's handwriting: size of graphemes, distance from each other, placement in relation to the virtual writing line, links, length of writing in one stroke, etc.

After creating the training base, using a special algorithm, internal classifiers (characteristics indicating the date) are identified. Therefore, when we provide the system with an undated text, it will find out which year autographs the research manuscript shows the greatest similarity to.

Dated text is stripped of all context necessary for research. The methods of digital humanities allow us to base the process of dating and attribution not on hypotheses, but entirely on scientific grounds.

მერაბ ლალანიძე

საქართველოს უნივერსიტეტი
რელიგიის თავისუფლების ინსტიტუტი
merabghaghanidze@yahoo.com

ვლადიმირ ბენეშევიჩი – კანონიკური სამართლის მკვლევარი და მსაჯული

რუსი მკვლევრის, ვლადიმირ ბენეშევიჩის (1874-1938), – ისტორიკოსის, საეკლესიო სამართლის მცოდნის, ბიზანტინისტის, არქეოგრაფის, – წვლილი გამორჩეულია აღმოსავლური ქრისტიანობის შესწავლის საქმეში. მისი რამდენიმე გამოკვლევა საქართველოს კვლევებიდან მნიშვნელოვანი მონაპოვარია კონკრეტული აკადემიური დარგების მკვლევართათვის. მათ შორის გამოიყოფა ორი ნაშრომი, რომელთაგან ერთი უკავშირდება სახარების მეათე საუკუნის ქართული თარგმანების კვლევა-გამოცემას, ხოლო მეორე თოთხმეტეტიტულოვანი ნომოკანონის, ანუ „დიდი სჯულისკანონის“ ქართული ვერსიის შესწავლას. მკვლევარმა მნიშვნელოვანწილად გაარკვია ამ ტექსტის გამორჩეული ღირებულება არა მარტო ქართული, არამედ ბიზანტიური სამართლის შესწავლისას, კერძოდ, საეკლესიო-კანონიკურ გარემოში.

ამავე დროს, გამორჩეული იყო ბენეშევიჩის პრაქტიკული მონაწილეობა ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში. საქმე ის იყო, რომ 1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთის იმპერატორის გადადგომისა და ცარიზმის დამხობის შემდეგ, ნიკოლოზ მეორის მიერ სამეფო ტახტზე ოფიციალური უარისთქმიდან ათი დღის შემდეგ, ქართველმა სამღვდელოებამ გამოაცხადა რუსეთის ეკლესიის საქართველოს საექსარქოსოს გაუქმება და, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საკათოლიკოსო მმართველობის აღდგენა, რასაც რუსეთის პოლიტიკურ და საეკლესიო ხელმძღვანელობაში ხანმოკლე დაბნეულობა მოჰყვა.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ ბენეშევიჩს მიანდო საგანგებო

Merab Ghaghanidze
The University of Georgia
Institute for Religious Freedom
merabghaghanidze@yahoo.com

*Vladimir Beneshevich – Researcher and Judge
of Canon Law*

The contribution of the Russian scholar, Vladimir Beneshevich (1874-1938), – historian, canon law scholar, researcher of Byzantine studies, archaeographist, – is outstanding in the study of Eastern Christianity. Several of his works from Georgian studies are an important achievement for researchers in specific academic fields. Among them, two works are distinguished, one of which is related to the research and publication of tenth-century Georgian translations of the Gospels, and the other to the study of the Georgian version of the Fourteen-Title Nomocanon, i.e. the “Didi Sjuliskanoni”. The researcher found out the outstanding value of this text while studying not only Georgian, but also Byzantine law, in particular, in the ecclesiastical-canonical environment.

At the same time, Beneshevich’s practical participation in Georgian church life was outstanding. The fact was that in the spring of 1917, after the abdication of the Russian emperor and the overthrow of the tsarism (ten days after the official abdication of the royal throne by Nicholas II) the Georgian clergy announced the abolition of the Georgian Exarchate of the Russian Church and, accordingly, the restoration of the autocephaly and Catholicos rule of the Georgian Church. Then a brief confusion ensued among the political and ecclesiastical leadership of Russia.

The Provisional Government of Russia entrusted Beneshevich with an extraordinary ecclesiastical-canonical assignment: to study the issue. The Government sent him as its representative to Tiflis, where he had to fulfill an extraordinary church assignment.

საეკლესიო-კანონიკური დავალება. საკითხის შესასწავლად ტფილისის დროებითმა მთავრობამ მაშინ სწორედ ვლადიმირ ბენეშევიჩი, რომელიც თავის რწმუნებულად წარმოგზავნა ტფილისში, სადაც მას საგანგებო საეკლესიო დავალების შესრულება მოუხდა.

ჯერ პეტერბურგში იგი მოლაპარაკებებსა და კონსულტაციებს მართავს პროფესორებთან ზურაბ ავალიშვილსა და ივანე ჯავახიშვილთან, ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ კი – საქართველოს ქართველ თუ არაქართველ სამღვდელოებასთან. რუსეთის იმჟამინდელი ხელისუფლების პოზიცია ამგვარი იყო: საქართველოს ქართველი მრევლისათვის აღდგენილიყო საქართველოს საკათოლიკოსო (ცენტრით მცხეთაში), ხოლო კავკასიაში მცხოვრები რუსეთის ეკლესიის მრევლისათვის, საექსარქოსოს საფუძველზე, შექმნილიყო ტფილისის სამიტროპოლიტო (ცენტრით ტფილისში). მაგრამ პოლიტიკურმა მოვლენებმა, პირველ ყოვლისა, ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, სათუო გახადა, საერთოდ, ეკლესიის მომავალი არსებობა საბჭოთა სახელმწიფოდ სახეშეცვლილი ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე. ბენეშევიჩის საეკლესიო მისია საქართველოში უშედეგო აღმოჩნდა, საქართველო-რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები კი საკმაოდ დროის შემდეგ, სტალინის უშუალო ჩარევით, მხოლოდ 1943 წელს მოგვარდა.

First in St. Petersburg, he conducts negotiations and consultations with professors Zurab Avalishvili and Ivane Javakhishvili, and after arriving in Tbilisi - with the Georgian and non-Georgian clergy of Georgia. The position of the Russian Government was as follows: for the Georgian believers of Georgia – the Church of Georgia (with the center in Mtskheta) should be restored, and for the believers of the Russian Church living in the Caucasus, on the basis of the Exarchate, – the Metropolitan district of Tiflis (with the center in Tiflis) should be created. But the political events, first of all, the October Bolshevik coup, made the future existence of the church in the territory of the former empire, transformed into the Soviet state, doubtful. Beneshevich's ecclesiastical mission in Georgia turned out to be fruitless, and the Georgian-Russian ecclesiastical relations were resolved only in 1943, after a considerable time, with Stalin's direct intervention.

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

n.shavtvaladze@ug.edu.ge

ქართულის, როგორ მეორე ენის, სწავლებისას ინოვაციური გადაწყვეტილებები

თანამედროვე მდგომარეობა გასაოცრად მიილტვის წინ. ისე სწრაფად, რომ ძლივს ვცდილობთ დაწევას. სწავლება - სწავლების ფორმატი საოცრად იცვლება. ევრესტიკული, კატეხიზმური, დედუქცია, ინდუქცია, ფუნდამენტური, მონოლოგური, პოლილოგური, აქტიური, კრიტიკული... ყველა ეს ის მეთოდი, სწავლების გზა და ხერხია, რომლებიც გამოიყენებოდა და ახლაც სახეცვლილად გამოიყენება სწავლებისას. წიგნი და ფურცელი მნიშვნელოვნად საჭირო სასწავლო ფორმატს წარმოადგენდა, ამჯერად კი, კომპიუტერი, ილერწინგი, ელმასალები, ჰიბრიდული პროცესი გააქტიურდა. ჩვენ ვდგებით გამოწვევის წინაშე, განსაკუთრებით ენების სწავლებისას, თან უცხო ენისა. ხელოვნური ინტელექტი კი იჭრება განათლებასა და სწავლების პროცესში.

გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდზე იყო დაყრდნობილი ორმოცდაათ წელზე მეტი ენის სწავლება - იცოდი გრამატიკა, თარგმნა, მაგრამ საუბრი და გაგება არ შეგეძლო. ეს შეცვალა ინტერნეტმა ისე, როგორც შავ-თეთრი ტელევიზორი ფერადმა ტელევიზორმა. ასეთი ტიპის სიახლე მოდის ჩვენთან და ჩვენ ის უნდა მივიღოთ და მას ფეხი უნდა ავუწყოთ.

რა თქმა უნდა, სწავლება გრძელდება, მაგრამ მდგომარეობა იცვლება. ეს ბუნებრივი პროცესია. შეფასება, სახელმძღვანელოების შექმნა, სწავლება კონკრეტულად იყო განსაზღვრული; ძირითადად გრამატიკა და უცხო სიტყვების რაოდენობა, შემნილი ტექსტი და მისი გააქტიურება. როცა ტექსტს ქმნი, მიზანი გაქვს, გააქტიური კონკრეტული თემატიკა და მიზნობრივად გამოიყენო დაგეგმილი გრამატიკული ფორმა თუ ფორმატები. ამ პროცესს მიყავხარ შე-

Innovative solutions in teaching Georgian as a second language

Modern teaching approaches are amazingly ahead. They are getting developed so fast that we can barely follow them. Teaching - the format of teaching is changing tremendously. Heuristic, catechistic, deduction, induction, fundamental, monologic, polylogic, active, critical... All these are the ways and methods of teaching that have been used and are still being used in different ways in teaching. The book and sheet of paper represented a much-needed educational format, but this time computer, e-learning, electronic materials, and the hybrid process are more activated. We face a challenge, especially when teaching languages, including a foreign language. And artificial intelligence is getting into the education and teaching process.

For more than fifty years language teaching was based on grammar-translation method - you knew grammar, translation, but you couldn't speak and understand. This was changed by internet as black and white television was replaced by color television. This type of innovation is coming to us and we have to embrace it and build on it.

Of course, teaching continues, but approaches change. This is a natural process. Assessment, creating textbooks, teaching was specifically defined; Mainly grammar and the number of foreign words, created text and its activation. When you create a text, you aim to activate a specific topic and purposefully use the planned grammatical form or formats. This process takes you to the end and you know exactly what you taught and what the learners learned. When you serve this job and have several decades of experience, you are sure that it is a successful process. You yourself are the bearer of this language, you create it, but without a doubt, often this process and the text lean towards artificial-

დეგამდე და ზუსტად იცი, თუ რა ასწავლე და რა შეიმეცნეს შემსწავლელებმა. როცა ამ საქმეს ემსახურები და რამდენიმე დეკადის გამოცდილება გაქვს, რწმუნდები, რომ ეს წარმატებული პროცესია. შენ თავად ამ ენის მატარებელი ხარ, შენ ქმნი, მაგრამ უდავოდ, ხშირად ეს პროცესი და ტექსტი ხელოვნურობისკენ ილტვის, რაც ბუნებრივია. თანამედროვენი და მოწინავე ქვეყნის პროფესიონალები უცხო ენის სწავლებისას კი, ამარტივებენ მასალას დონეების შესაბამისად, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ პროცესი ავთენტური იყოს. ანუ, თუ მასალის გარკვეული ნაწილი გაუგებარი იქნება, მაგალითად, კითხვისას, ტექსტის ნაწილი, ამას არ ექცევა ყურადღება და უბრალოდ ზოგადი დასკვნის გამოტანითაც კმაყოფილდებიან.

ენის სწავლებისას, ენობრივი დონეების დადგენისას მივმართავთ ევროპულ სტანდარტს, რადგან უფრო მეტი გამოცდილება აქვს, აღიარებული და დამკვიდრებულია კიდევ, როგორც CEFR - ენების ევროპული ჩარჩო.

ality, which is natural. Modern and advanced country professionals, while teaching a foreign language, simplify the material according to the levels, but still try to make the process authentic. That is, if a certain part of the material is incomprehensible, for example, while reading, a part of the text, they do not pay attention to it and are satisfied with making a general conclusion.

When teaching a language, when determining language levels, we refer to the European standard, because it has more experience, it is recognized and even established as CEFR - the Common European framework of Reference for languages.

თეონა შავლობაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
teonashavlokhashvili@gmail.com

სამწევრისის სიძველეების ისტორიიდან

სოფელი სამწევრისი ძამას ხეობაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მტკვრისა და ძამის შესართავთან, ზღვის დონიდან 640 მეტრზე მდებარეობს. სოფლის სახელის წარმომავლობის შესახებ სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ ის უკავშირდება „სამ წევრს“. თავდაპირველად აქ დასახლებული ყოფილა სამი კომლი (სამი წევრი) და ამის გამო ეწოდაო „სამწევრისი“.

ძველი დასახლება, რომელიც განვითარებულ ფეოდალურ ხანას განეკუთვნება, მდებარეობდა თანამედროვე სოფლის სამხრეთით. აქ აღმოჩნდა ცისფრად მოჭიქული, წითლად გამომწვარი უხეშეკციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის მილები და სხვა. აქვე ფიქსირდება რიყის ქვით ნაგები შენობის საძირკვლები.

საისტორიო წყაროებში სამწევრისი პირველად მოიხსენიება XIV საუკუნეში გიორგი VII-ის (1393-1407) მეფობის დროს, „ქართლის ცხოვრების გაგრძელების“ მიხედვით, როდესაც ქართლში თემურლენგი შემოიჭრა, გიორგი მეფე სამწევრისში გამაგრდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ აქ უკვე არსებობდა ციხე.

სამწევრისი მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს აქ არსებული უძველესი ტაძრები, კოშკები და სამწევრისის ციხესიმაგრე და მათ შესახებ დაცული არაერთი წერილობითი წყაროები. სამწევრისის სტრატეგიული მნიშვნელობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო XV საუკუნეში გაიზარდა, როდესაც ფანასკერტელთა ფეოდალური სახლის წევრები ძამას ხეობაში დამკვიდრდნენ და საფუძველი ჩაუყარეს ახალ სათავადოს.

სოფელში შემორჩენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია VII საუ-

From the history of antiquities of Samtsevrissi

The village of Samtsevrissi is located in the Dzama valley, on the right bank of Mtkvari, at the confluence of Mtkvari and Dzama, 640 meters above sea level. Regarding the origin of the name of the village, Sergi Makalatia notes that it is connected with “three members”. Initially, three families (three members) were settled here, and because of that it was called “Samtsevrissi”.

The old settlement, which belongs to the developed feudal age, was located to the south of the modern village. Fragments of blue-glazed, red-fired coarse earthenware, clay pipes and others were found here. The foundations of the cobblestone building are fixed here.

Samtsevrissi is first mentioned in historical sources in the XIV century during the reign of George VII (1393-1407), according to the “Continuation of the Life of Kartli”, when Tamerlen invaded Kartli, King George fortified himself in Samtsevrissi. Based on this fact, it is likely that there was already a castle here.

Samtsevrissi was an important strategic place, which is evidenced by the ancient temples, towers and fortress of Samtsevrissi and a lot of preserved written sources about them. Due to its geographical location, the strategic importance of Samtsevrissi increased in the 15th century, when the members of the Fanaskert feudal house settled in the Dzama valley and laid the foundation for a new principality.

From the surviving monuments in the village, it is worth noting the 7th century St. George’s Cathedral and the castle-hall complex built by the Tsitsishvili’s family, which dates back to the developed feudal age. In the complex of St. George’s Cathedral have been found inscriptions which belong to the X century.

კუნის წმინდა გიორგის ტაძარი და ციციშვილების მიერ აგებული ციხე-დარბაზის კომპლექსი, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანით თარიღდება. სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძრის კომპლექსში აღმოჩენილია ასომთავრული წარწერები, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საბუთები ციციშვილების სადავო მიწების შესახებ, რომელიც სამწევრისში იყო. სამწევრისის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში.

The National Center of Manuscripts preserves the documents about the disputed lands of the Tsitsishvili family, which were in Samtsevrisi. There are interesting information about the Samtsevrisi in Georgian and foreign written sources.

ხათუნა ჩაფიჩაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

khatuna.khatuna@gmail.com;

kh.chapichadze@gtu.ge

საქართველოს „ახალი“ გეოპოლიტიკური პარადიგმა?

მოხსენება შეეხება საქართველოს მიერ ისტორიულად აპრობირებული დაბალანსების პოლიტიკის ერთგვარი აქტუალიზაციის საკამათო პრობლემას - ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებებთან სულ მცირე, დეკლარირებულ შესაბამისობაში, - რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის პირობებში დამდგარი ახალი გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით.

შევეცდებით გავარკვიოთ - დღევანდელი, ე.წ. ახალი გეოპოლიტიკური პარადიგმის რელევანტურობა და რამდენად ემსახურება ის რეგიონული თუ გლობალური მოთამაშეების როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების დაჯახების ფონზე, - პატარა ერის თვითგადარჩენის ამოცანებს, თუ განპირობებული და გამყარებულია სხვა, - ძირითადად, საქართველოს სამინაო პოლიტიკური ანატომიით და განსაკუთრებით, თუმცა არამხოლოდ, პარტიული პოლარიზაციის ფაქტორებით.

Khatuna Chapichadze
Georgian Technical University
khatuna.khatuna@gmail.com;
kh.chapichadze@gtu.ge

Georgia's "New" Geopolitical Paradigm?

The speech will touch on the controversial problem of Georgia's historically proven balancing policy - at least in declared compliance with the country's Euro-Atlantic aspirations, taking into account the new geopolitical realities emerged from the current Russian-Ukrainian war.

We will try to find out - the relevance of today's so-called the new geopolitical paradigm and the extent to which it serves the tasks of self-preservation of a small nation against the background of usually, the conflicting interests of regional or global players, - whether, it has been determined and strengthened mainly by the domestic political anatomy of Georgia and especially, although not only, by the factors of party polarization.

ეკა ჩიკვაიძე

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

chikvaidzeeka@gmail.com

IV-VI საუკუნეების ქართული საეკლესიო (ჰაგიოგრაფიული) ლიტერატურა

ქრისტიანული ეკლესია დაარსების დღიდანვე მოიაზრებდა ქრისტიანული ლიტერატურის არსებობასაც. ამის დასტური ახალი აღთქმის პირველ საუკუნეებშივე ჩამოყალიბებული კანონია. მიუხედავად სარწმუნოებრივი დისპოზიციისა, ქრისტიანული ლიტერატურა, ერთი მხრივ, იყო სამართალმემკვიდრე იუდეური და ბერძნულ-რომაული კულტურული ტრადიციებისა; მაგრამ, რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე (და ამავე სხვაობის გამო), - თავადაც უარყოფელი წინარე კულტურისა და იდეური დევნის მიზეზიც არსებული სოციუმისა თუ სახელმწიფოსგან. ქართული ეკლესია გზას არ იკვალავს წარმართული სარწმუნოებრივი ტექსტების წიაღში (ვარაუდებისა თუ თეორიული ცოდნის მიუხედავად, ჩვენ არ გვაქვს ჩვენამდე მოღწეული ქრისტიანობამდელი ქართული სამწერლობო ტექსტი), მაგრამ იღებს და მისდევს ბერძნულ-რომაულ გავრცელებულ გზას. თუკი დავსვამთ საკითხს, როგორი იყო ბუნებრივი მოცემულობიდან გამომდინარე წინააღმდეგობის კვალი ქრისტიანულ ლიტერატურაში, ცხადია, მივალთ პირველ ქრისტიანთა წამების ამსახველ ჩანაწერებამდე. ასეთი რამ კი ქართულმა ეკლესიამ არ იცის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველ ქრისტიანთა წამებების მსგავსი ტექსტების არსებობა ივარაუდება ქართულ ენაზეც („პირველი ლიტონად აღწერილი“, ანუ კიმენი). თუმცა, თუ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას გადავხედავთ, საინტერესო ფაქტს აღმოვაჩენთ: რევიზიის გამო ჩვენ პრაქტიკულად არ გვაქვს მოწამეთა ღვაწლის ამსახველი თანადროული ტექსტები. შესაბამისად, არ ვიცით მათი პირ-

*Georgian church (hagiographic) literature
of IV-VI centuries*

From the day of its foundation, the Christian Church considered the existence of Christian literature. The proof of this is the law established in the first centuries of the New Testament. Regardless of the religious disposition, Christian literature, on the one hand, was the legal successor of Jewish and Greco-Roman cultural traditions; But, based on a radically different worldview (and because of the same difference), - the reason for the rejection of the previous culture and ideological persecution from the existing society or state. The Georgian Church does not trace its way into the depths of pagan religious texts (regardless of assumptions or theoretical knowledge, we have no pre-Christian Georgian written text that has reached us), but accepts and follows the Greco-Roman path. If we ask the question, what were the traces of resistance based on natural conditions in Christian literature, we will obviously come to the records depicting the torture of the first Christians. The Georgian Church does not know such a thing, but, nevertheless, the existence of texts similar to the tortures of the first Christians is assumed in the Georgian language as well (“the first described as simple”, i.e. Kimen). However, if we look at the Georgian hagiographic literature, we will find an interesting fact: due to the revision of the texts, we practically do not have contemporary texts describing the martyrs’ deeds. Therefore, we do not know their original appearance. On the other hand, the term Kimen in the context of hagiographic texts is not known in any other Christian writings. According to the content of the term Kimeni, Georgian texts and, therefore, in scientific literature, two texts can be distinguished with more or less

ვანდელი სახე. თავის მხრივ, ტერმინი კიმენი ჰაგიოგრაფიულ ტექსტთა კონტექსტში არ იცის სხვა არც ერთმა ქრისტიანულმა მწერლობამ. იმ შინაარსით, რომელიც დევს ტერმინ კიმენში ქართულ ტექსტებსა და, აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში, მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება გამოვყოთ ორად ორი ტექსტი - კოლაელ ყრმათა და დავით და ტირიჭანის წამებანი. როგორია ეს ტექსტები ა. თავისთავად, ბ. დანარჩენ ქართულ ჰაგიოგრაფიასა და გ. პირველი პერიოდის ბერძნულ ტექსტებთან მიმართებით? ამ კითხვებზე პასუხი გვაჩვენებს, როგორი იყო ქართული საეკლესიო ლიტერატურა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე; სწორედ ამ საკითხებზე პასუხის გაცემის მცდელობაა ჩემი მოხსენების მიზანიც.

accuracy - the Kolael children and Davit and the tortures of Tirichani. What are these texts like a. by itself, b. in relation to the other texts of Georgian hagiography and c. in relation to the Greek texts of the first period? The answer to these questions will show us what Georgian church literature was like in the first stage of the spread of Christianity; The purpose of my report is to try to answer these questions.

ცირა ჩიკვაიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

ts.chikvaidze@ug.edu.ge

ვანო ნანუაშვილის წერილები ამერიკელ პოლიტიკოსებს (1958- 1974)

2000 წლის 22 დეკემბერს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ანდრო და ნინო დაბროვეზმა გადასცეს ივანე (ვანო) ნანუაშვილის პირადი არქივი. ვანო ნანუაშვილი (1902-1974) იყო პუბლიცისტი, სამხედრო პირი, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი პირველი ოფიცერი, ასევე, პოლონეთის არმიის კაპიტანი. ებრძოდა წითელ არმიას 1921 წლის თებერვალში კოჯორ–ტაბახმელასთან. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ვანო ნანუაშვილი იძულებულია დატოვოს სამშობლო. ის ემიგრაციაშია ჯერ თურქეთში, შემდეგ საბერძნეთსა და პოლონეთში. მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთსა და იტალიაში იბრძოდა ნაცისტებისა და ფაშისტების წინააღმდეგ. 1951 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა აშშ-ში.

ვანო ნანუაშვილის პირად არქივში არის მისი წერილები მიწერილი ჯ. კენედის, რ. ნიქსონისა და რ. რეიგანისამდი. ყველა ეს წერილი მიზნად ისახავს ამერიკელ პოლიტიკოსებს გააცნოს თავისი ხედვა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესახებ. წერილებთან ერთად ის ამერიკელ პოლიტიკოსებს უგზავნის თავის წიგნებსა და სტატიას და ცდილობს დასავლეთის სამყაროს დაანახოს, რომ „რუსეთის აგრესია არ არის მართლოდენ კომუნისტური პარტიის ქმედება, არსებითად, ეს არის რუსული ეროვნული აგრესია“.

1958 წლის 31 აგვისტოს ვანო ნანუაშვილმა ბოსტონიდან სენატორ ჯონ კენედის მასაჩუსეტის შტატიდან წერს წერილს, რომელსაც თან ურთავს თავის სტატიას “ახლო აღმოსავლეთი და ცივი ომი“ (The Middle East and Cold and Could War), რომელიც

Tsira Chikvaidze
The University of Georgia
ts.chikvaidze@ug.edu.ge

*Vano Nanuashvili's Letters to American Politicians
(1958-1974)*

On December 22, 2000, Andro and Nino Dabrov handed over the personal archive of Ivane (Vano) Nanuashvili to the Korneli Kekelidze National Manuscripts Center of Georgia. Vano Nanuashvili (1902-1974) was a publicist, a military person, one of the first officers of the independent Georgia, as well as a captain of the Polish army. He fought against the Red Army in February 1921 near Kojor-Tabakhmela. After the occupation of the Democratic Republic of Georgia by Soviet Russia, Vano Nanuashvili was forced to leave his homeland. He emigrated first to Turkey, then to Greece and Poland. During the

WW II he fought against the Nazis and fascists in Poland and Italy. He lived in the USA from 1951 until the end of his life.

Vano Nanuashvili's personal archive contains his letters to J. Kennedy, R. Nixon and R. Reagan. All of these letters aim to convey to American politicians his vision of Russia's aggressive policy. Along with the letters, he sends his books and articles to American politicians and tries to show the Western world that "Russia's aggression is not solely an action of Communist Party. Fundamentally, it is Russian national aggression".

On August 31, 1958, Vano Nanuashvili writes a letter from Boston to Senator John Kennedy from the state of Massachusetts, which he encloses with his article "The Middle East and the Cold War", which was published in June 1958 in the magazine "The Ukrainian Quarterly" (Vol. XIV #2), published in America.

1958 წლის ივნისში დაიბეჭდა ამერიკაში გამოშვალ ჟურნალში „უკრაინული კვარტალური გამოცემა“ (The Ukrainian Quarterly, ტომი XIV, # 2).

ვანო ნანუაშვილმა რამდენიმე წერილი დაწერა რ. ნიქსონისთვის გასაგზავნად: ორი წერილი დაწერილია ბოსტონში - 1960 წლის 12 და 20 იანვარს - ნიქსონის აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას. შემდეგი სამი წერილი ვანო ნანუაშვილმა დაწერა სან-ფრანცისკოში: 1972 წლის 10 მარტს, როდესაც ნიქსონი უკვე პრეზიდენტი; 1972 წლის 10 ოქტომბერს - ნიქსონის საარჩევნო შტაბის სახელზე, მისი ხელახალი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისას; ბოლო წერილი პრეზიდენტ რ. ნიქსონისადმი დათარიღებულია 1974 წლის 4 მარტით. ამ წერილებს ვ. ნანუაშვილი თან ურთავს თავის ბროშურას „სსრკ-ის ძლიერება და სისუსტე“ (The Strength and Weakness of the U.S.S.R.), რომელიც 1956 წელს გამოიცა და შემდეგ უკვე თავის გადამუშავებულ და შევსებულ წიგნს: „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“ (What Everyone in the Free World Should Know about Russia), რომელიც 1973 წელს დაიბეჭდა ნიუ-იორკში. ეს წიგნი ქართულადაც გამოიცა 2012 წელს.

1974 წლის 15 მარტს ვანო ნანუაშვილი სან-ფრანცისკოში წერს წერილს, რომელიც განკუთვნილია კალიფორნიის გუბერნატორ რ. რეიგანისათვის. აქაც, წერილს თან ურთავს თავის წიგნს „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“.

ვ. ნანუაშვილი თავის წერილებში აღნიშნავს, რომ მისი წიგნი არის სსრკ-ის სურათი „შიგნიდან“, თუ როგორია ამ ქვეყნის უმრავლესობის, დატყვევებული, დამონებული ხალხების წარმომადგენელთა ხედვა; რომ გარდა სსრკ-ის ოფიციალური ინფორმაციისა, სასარგებლო იქნება ამ ქვეყნის უმრავლესი მოსახლეობის აზრი, რომლებიც წარმოადგენენ დატყვევებულ, დამონებულ ხალხებს“.

Vano Nanuashvili wrote several letters to send to R. Nixon: two letters were written in Boston - on January 12 and 20, 1960 - during Nixon's tenure as US Vice President. Vano Nanuashvili wrote the following three letters in San Francisco: on March 10, 1972, when Nixon was already president; on October 10, 1972 - in the name of Nixon's election headquarters, during the campaign for the Re-Election of the President; The last letter to President Nixon is dated March 4, 1974. Nanuashvili attaches his brochure and book to these letters: "The Strength and Weakness of the U.S.S.R.", which was published in 1956, and „What Everyone in the Free World Should Know about Russia", which was printed in New York in 1973. This book was also published in Georgian in 2012.

On March 15, 1974, Vano Nanuashvili writes a letter in San Francisco, which is intended for the Governor of California, R. Reagan. Traditionally, the letter is accompanied by his book "What Everyone in the Free World Should Know about Russia".

In his letters Nanuashvili notes that his book "is representing the picture of USSR from inside, how it appears to the majority of this country – to the Captive Nations . Beyond the official information from the U.S.S.R self and sources, may be it useful to know the mind of the majority of the population of this country, which are representing the Captive Nations “.

ნიკა ჩიტაძე

შავი ზღვის

საერთაშორისო უნივერსიტეტი

nchitadze@ibsu.edu.ge

nikachita@yahoo.com

საქართველო და სამხრეთ კავკასია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

რუსეთ-უკრაინის ომის განმავლობაში თავი იჩინა უკანასკნელ ათწლეულებში დაგროვებულმა მნიშვნელოვანმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომლებმაც თავისი ასახვა ჰპოვა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

შესაბამისად, სამხრეთ კავკასიისთვის ყველაზე აქტუალური გეოპოლიტიკური მოვლენები უკრაინაში მიმდინარე ომი და რუსეთსა და დასავლეთს შორის მზარდი კონფრონტაციაა.

აღსანიშნავია ის, რომ უკრაინაში შეჭრა რუსეთის მხრიდან ყოფილ საბჭოთა სივრცეში, მეზობელ სახელმწიფოებში ერთ-ერთი უკანასკნელი და ყველაზე ფართომასშტაბიანი ჩარევაა.

დღევანდელ ეტაპზე, უკრაინასთან ომში კრემლის წარუმატებლობის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის, როგორც ერთ-ერთ წამყვანი გეოპოლიტიკური ძალის მნიშვნელობა საფუძვლიანად შეირყა.

აღნიშნულის ნათელი მაგალითი გახლავთ ის, რომ რუსეთი კარგავს თავის გეოპოლიტიკურ გავლენას პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, რომელსაც რუსეთი ოფიციალურად უწოდებდა “ახლო საზღვარგარეთს”, ანუ საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის სფეროს, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულის მაგალითებია ის ფაქტი, რომ რუსეთი თანდათან კარგავს თავის გავლენას სომხეთ-აზერბაიჯანს შორის შუამავლისა და შესაბამისად მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში. კარგად არის ცნობილი, რომ 2020 წლის ნოემბერში სწორედ რუსეთი მოგვევლინა

Nika Chitadze
International
Black Sea University
nchitadze@ibsu.edu.ge
nikachita@yahoo.com

Georgia and the South Caucasus in the background of the Russia-Ukraine war

During the Russia-Ukraine war, significant geopolitical changes accumulated in the last decades manifested themselves, which found their reflection in the South Caucasus region.

Therefore, the most relevant geopolitical events for the South Caucasus are the ongoing war in Ukraine and the growing confrontation between Russia and the West.

It should be noted that the invasion of Ukraine by Russia is one of the last and most large-scale interventions in the former Soviet space, neighboring states.

At the current stage, against the backdrop of the Kremlin's failure in the war with Ukraine, it can be said that the importance of Russia as one of the leading geopolitical forces has been thoroughly shaken.

A clear example of this is that Russia is losing its geopolitical influence on the post-Soviet space, which Russia officially called the “near abroad”, that is, its geopolitical sphere of influence, including the South Caucasus. Examples of this are the fact that Russia is gradually losing its influence in the mediation between Armenia and Azerbaijan and, accordingly, in solving the Nagorno-Karabakh problem. It is well known that in November 2020, it was Russia that presented us as the main “guarantor” for the settlement of the conflict between Armenia and Azerbaijan over Nagorno-Karabakh, when Russia allegedly stopped hostilities in Nagorno-Karabakh and deployed its own “peacekeeping forces”. However, it is well known that in August-Sep-

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებული კონფლიქტის მოგვარების მთავარ „გარანტად“, როდესაც თითქოს რუსეთმა შეაჩერა საომარი მოქმედებები მთიან ყარაბაღში და განათავსა საკუთარი „სამშვიდობო ძალები“. თუმცა კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ 2022 წლის აგვისტოსექტემბერში აზერბაიჯანმა (რუსეთის უკრაინის ომში ჩართვის გათვალისწინებით) სამხედრო შეტევა განახორციელა რუსი „სამშვიდობოების“ პასუხისმგებლობის ზონაში და ლოჭინის დერეფნის მიმართულებით სტრატეგიული ტერიტორია დაიკავა.

ასევე, რუსეთ-უკრაინის ომმა მოახდინა რუსეთის მიერ ოკუპირებული და სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (საქართველო) პრობლემების აქტუალიზაცია. რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში აუცილებლად დადგება აღნიშნულ ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხი.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ასევე დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახალი სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების განხორციელების საკითხი.

tember 2022, Azerbaijan (taking into account Russia's involvement in the Ukrainian war) launched a military attack in the area of responsibility of the Russian "peacekeepers" and occupied a strategic area in the direction of the Lochin corridor.

Also, the Russia-Ukraine war actualized the problems of the Russian-occupied and separatist regions of Abkhazia, the former South Ossetian Autonomous District (Georgia). After the end of the Russia-Ukraine war, the issue of solving the problems related to the mentioned occupied regions will be on the agenda of the international community.

Against the backdrop of the Russia-Ukraine war, the issue of implementing new transport and energy projects in the South Caucasus region was also on the agenda.

ნინო ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.chikovani@tsu.ge

კოლექტიური ტრავმის კულტურული პროცესი: 9 აპრილი, 1089

ნაშრომის მიზანია 1989 წლის 9 აპრილის კოლექტიური ტრავმის კულტურული გადამუშავების შესწავლა, კერძოდ, გავლენის ნარატივის ჩამოყალიბების, ამ პროცესში გამოყენებული კულტურული ნიმუშების და იმ მოვლენის განგრძობადი რეზონანსის ანალიზი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში.

9 აპრილმა - „დღემ, აღსასვლელ ტრაგიკმითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით“ - სათავე დაუდო „დროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.“ იგი ჩამოყალიბდა ეროვნული მეხსიერების საკვანძო მომენტად და საქართველოს თანამედროვე ისტორიის პარადიგმულ მოვლენად. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები. კონკრეტული შემთხვევისა და შინაარსობრივი ანალიზის თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, შესწავლილია ოფიციალური დოკუმენტები, მედია მასალები, ისტორიული ნარატივები, მხატვრული ტექსტები, გამოსახულებანი, მონუმენტები და მეხსიერების სხვა არეები.

კვლევა აჩვენებს, რომ 9 აპრილი ნარატივის ჩამოყალიბება ტრავმის დილასვე დაიწყო; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ოფიციალური ნარატივი სწრაფად მარგინალიზდა. მისი კონტრვერსია, რომელიც ქართულ კულტურულ ნიმუშებს (ეროვნული ღირსება, პატრიოტიზმი, თავგანწირვა და სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა) ემყარებოდა, თანდათანობით ჩამოყალიბდა გავლენის ნარატივად, რომელიც აისახა სხვადასხვა მედიასა და ჟანრში,

Nino Chikovani
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
nino.chikovani@tsu.ge

*Cultural Processing of the Collective Trauma:
April 9, 1989*

The paper aims to discuss cultural processing of April 9, 1989 through analyzing formation of the impact narrative of the collective trauma, cultural patterns which were used in this process and the enduring resonance of the event which has left significant traces in the collective memory. April 9, “the day filled with tragedy and immeasurable pride,” laid foundation for “the time we live in now.” This day was formed as a key happening in the national memory and a paradigmatic event in the modern history of Georgia. Theories of collective memory and cultural trauma form the theoretical framework of the research. The study refers to the qualitative methods of case study and content analysis for exploring official documents, media materials, historical narratives, literary and artistic texts, monuments and other sites of memory.

The study reveals that construction of the narrative of April 9 started at the same day. The official narrative introduced by the communist government of the Georgian Soviet Socialist Republic was quickly marginalized, and the one based on the Georgian cultural patterns (national dignity, patriotic devotion, self-sacrifice for the homeland and resurrection) was gradually shaped as the impact narrative reflected in different media and genres, artistic, literary and historical representations. Resonance of April 9 transformed it into the reference point for the perception and representation of the past as well as future history.

მხატვრულ, ლიტერატურულ და ისტორიულ რეპრეზენტაციებში.
9 აპრილის რეზონანსმა ეს მოვლენა აქცია ათვლის წერტილად
როგორც წარსული, ასევე მომავალი ისტორიის აღქმისა და რე-
პრეზენტაციისთვის.

ნინო ჩიხლაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

Nino_chikhladze@yahoo.com

*ცაიშის ეკლესიის მოხატულობის საღვთისმეტყველო
პროგრამა და მისი დამკვეთი კათალიკოსი მალაქია
გურიელი (1616-1639)*

ცაიშის ღმრთისმშობლის ეკლესია 1616-1619 წლებში მოიხატა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის, მალაქია გურიელის დაკვეთით, რაც ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის საგანძურში დაცული ცაიშის ტაძრის ჯვარცმისა და ღმრთისმშობლის ხატების, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი, ვრცელი წარწერებითაა დადასტურებული. ეკლესიის პოსტბიზანტიური სტილის მოხატულობის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა გვაფიქრებინებს, რომ XVII ს-ის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს გავლენიან ისტორიულ პირს, ჟუმათელ-ცაიშელ ეპისკოპოსსა და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს, მალაქია გურიელს ეკლესიის მოსახატად მოწვეული ჰყავდა მხატვრული არტელი, რომელმაც შეასრულა ღრმად გააზრებული საღმრთისმეტყველო იდეებითა და იშვიათი იკონოგრაფიული გამოსახულებებით დატვირთული მხატვრული დეკორი.

ცაიშის მოხატულობის საღმრთისმეტყველო პროგრამა შეიცავს მაცხოვრის ვნება-აღდგომის, იოანე ნათლისმცემლის, ღმრთისმშობლის ცხოვრებისა და მიძინების და ასევე, წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი ციკლების გაფართოებულ ვერსიებს, რომლებიც იშვიათ იკონოგრაფიულ გამოსახულებებსა და სცენებსაც გვთავაზობს. ასეთია თუნდაც, „ჯვარცმის“ ფართოდ გაშლილი, საგანგებოდ გამახვილებული კომპოზიციიდან ცალკე გამოყოფილი „კვართზე წილისყრის“ ეპიზოდი. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სცენა „იოანეს ქადაგება ნათლისღებაზე“ წმ. იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების ციკლიდან, ან თუნდაც, სცენები

*Theological Program of Wall Painting of Tsaishi Church
and Its Donator Catholicos Malaqia Gurieli (1616-1639)*

It is known in the scientific literature that the extensive inscriptions on the Icons of the Crucifixion and the Virgin from Tsaishi Church, that are preserved in the treasure of Zugdidi Historical Museum, give us information that Tsaishi Church of Virgin was painted by order of the Catholicos of Western Georgia Malaqia Gurieli in 1616-1619. The high artistic skill of the post-byzantine painting of the Tsaishi Church makes us think that the Western Georgia influential historical person of the beginning of the 17th century, bishop of Tsaisheli-Jumateli and the Catholicos Malaqia Gurieli invited to paint the church an artistic artel, which produced the mural decoration characterized by conveying deep thought theological ideas loaded with the rare iconographic images.

The theological program of Tsaishi murals contains expanded versions of the cycles depicting the Passion-Resurrection of the Savior, the Life, and Dormition of the Virgin, the Life of John the Baptist as well as the Life of St George and includes rare iconographic images and scenes. Such is the case even with the episode of “The Casting Lots for the Garment” separated from the widespread, especially focused composition of Crucifixion. For example, we can name the scene “John’s Sermon on the Epiphany” from the cycle of Life of John the Baptist, or at least, the scenes “The Prayer of the Virgin and Annunciation of the Dormition” and “Mary Rejoices her Dormition to her Friends” from the cycle of the Dormition of the Virgin.

The overall artistic décor of Tsaishi is in no way inferior to the best paintings of the neighboring centers of Orthodox Christianity Trabzon

“ღმრთისმშობლის ლოცვა და მიძინების ხარება“ და „მარიმი ახარებს თავის მიძინებას მეგობარ დედებს“ ღმრთისმშობლის მიძინების ციკლიდან.

ცაიშის მთლიანი მხატვრული დეკორი ტოლს არ უდებს გვიანი შუა საუკუნეების მართლმადიდებელი ქრისტიანობის მეზობელ ცენტრებსა (ტრაპიზონი, თესალონიკე) თუ სამონასტრო კომპლექსებში (ათონის მთა, მეტეორა) შექმნილ ანალოგიური პერიოდის საუკეთესო მოხატულობებს. ამავე დროს, მხატვრობის მთავარი იდეური ფოკუსი - საკურთხეველის საკონქო გამოსახულება - „ნიკოპეის“ იკონოგრაფიული ტიპის ღმრთისმშობელი - მკაფიოდ გამოხატავს კათალიკოს მალაქია გურიელის კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტირს, მის კავშირს ქართული კულტურის კერასთან და დასავლეთ საქართველოს სასულიერო ცენტრთან, გელათის მონასტერთან. ეს კი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გვიანი შუა საუკუნეების ამ უაღრესად საყურადღებო ძეგლს.

and Thessalonica or the monastic complexes of Mount Athos and Meteora produced in the same period. At the same time, the main ideological focus of the mural decoration _ the conch image of the altar _ an iconographic type of Mother of God “Nicopoios” - clearly expresses the cultural policy and political orientation of the Catholicos Malaqia Gurieli and his connection with the spiritual center of Western Georgia, the Gelati Monastery. It gives a special significance to this highly remarkable monument of the late Middle Ages.

მარიამ ჩორგოლიანი
თბილისის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია
marichorgo@gmail.com

ნიკოლოზ შენგელაიას ფილმი “ელისო” (1928) და მისი მხატვრობა

წარმოდგენილი თემა არის ნაწილი სადოქტორო კვლევისა „1920-30-იანი წლების ქართული მოდერნისტული კინოს მხატვრობა“ და შესაბამისად, საპრეზენტაციო თემას წარმოადგენს ნიკოლოზ შენგელაიას 1928 წლის მხატვრული ფილმი „ელისო“ და მისი მხატვრობა. ფილმი ძალზედ საინტერესოა ეროვნულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, რადგანაც აქ ვხედავთ კავკასიის, ჩეჩნეთის ყოფა-ცხოვრებას, რომელიც ფილმის მოდერნისტმა მხატვრმა დიმიტრი შევარდნაძემ ეროვნული ხასიათის ძიებებით გადაწყვიტა. ფილმი არის ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის „ელისოს“ ადაპტირებული ვერსია, გადაღებული მოთხრობის თემის მიხედვით, სადაც ასახულია მეფის რუსეთის იმპერიის მცდელობა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მშობლიური მიწიდან იძულებით განდევნოს ჩეჩენი ხალხი, მათ ნაცვლად კი კაზაკები ჩაასახლოს.

მკვლევარებისთვის საინტერესოა კონკრეტული კინოს მხატვრობა და საუბრისას უნდა აღინიშნოს კოსტიუმები, სამკაულები, პეიზაჟები საცხოვრებელი სახლებითა და მათი ინტერიერები სხვადასხვა ინვენტარით, რომლებიც XIX საუკუნეში კავკასიის ხალხებისთვისაა დამახასიათებელი და მათი მიხედვითაა შექმნილი, რაც ვგონებთ დიდ როლს ითამაშებს ქვეყნისა და რეგიონის ეთნოგრაფიულ-კულტურული კვლევების პრობლემاتيკაში.

წარმოდგენილ თემაში საუბარი იქნება ასევე XIX-XX საუკუნეების მიჯნისა და XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს, კავკასიისა და ქართული საზოგადოების ყოფასა და კულტურაზე. გასული საუკუნის პირველი ათწლეულები მსოფლიოსა და კავკასიის რეგიონში მრავალმხრივ გამორჩეული და მნიშვნელოვანი პერიოდი იყო,

*Nikoloz Shengelaia's movie "Eliso" (1928)
and its painting*

The presented topic is part of the doctoral research "Georgian Modernist Film Painting in 20-ies, 30-ies of the XX century" and, therefore, the presentation reviews „Eliso" of Nikoloz Shengelaia (1928). The movie is very interesting with of its national-ethnographic point of view, and cause here we can also see the life of the Caucasus, Chechnya, which the modernist artist of the film, Dimitri Shevardnadze, decided by searching for a national character.

The film is an adapted version of Alexander Kazbegi's story "Eliso", based on the theme of the story, which depicts the attempt of the Russian Empire to forcibly expel the Chechen people from their native land in the second half of the 19th century, and replace them with Cossacks.

For researchers it is very interesting the painting of the movie "Eliso" because of costumes, jewelry, landscapes with houses and their interiors with various inventories, which are characteristic of the peoples of the Caucasus in the 19th century and created according to them, should be mentioned, which we think will play a big role in the ethnographic-cultural researches of the country and the region.

Also the research describes the lifestyle and culture of the society of the World, the Caucasus and Georgia in the 19-20th century. The beginning of the 20th century was very remarkable and significant period in the World and in Caucasus, as social, historical, political and cultural contexts shifted. So we think that the presented topic from the doctoral research will have a great influence on the better understanding of the culture of this period.

როგორც ზოგადკულტურული ვითარების, ისე საკუთრივ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების თვალსაზრისით. ამიტომაც ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაწყვეტი სადოქტორო თემიდან დიდ გავლენას იქონიებს ამ პერიოდის კულტურის უკეთ აღქმაში.

ნარი ჩხაბერიძე
დამოუკიდებელი მკვლევარი
chkhberidzenari@gmail.com

საქართველოს ეთნოკულტურა და ბიბლიურ- ეკლესიოლოგიური სიმბოლიკის ასპექტები

კვლევაში წარმოდგენილია საქართველოში გამოვლენილი ბიბლიურ-ეკლესიოლოგიური ასპექტების ანალიტიკური მიმოხილვა. კერძოდ, ნაჩვენებია ქართული ეთნოკულტურისთვის დამახასიათებელი ის თანმიმდევრულობა, რომელიც ქრისტიანული ჭეშმარიტების თავისებური აღქმისა და შემეცნების მეშვეობით ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში; ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ მიმდინარეობდა და დღემდეც მიმდინარეობს ჩვენს ეთნიკურ გარემოში ქრისტიანობის ფუნდამენტურად და პრაქტიკულად დამკვიდრება, რაც საქართველოში ნიშანდებულ იმგვარ ბიბლიურ კვალზე განიხილება, როგორიცაა – სიცოცხლის ხის მრავალფეროვანი სიმბოლიკური აღქმის ფაქტები (სვეტიცხოველი, დედაბოძი, წმინდა ხეები, გვერგვი, კალპიანი ჩიჩილაკი და სხვა).

გარდა ამისა, ნაშრომში მიმოხილულია ზოომორფული სიმბოლიკის თავისებური – ჰუმანისტურ-კულტურული მსოფლმხედველობრივი გააზრება, რომლის დროსაც, ადრეულ ქრისტიანულ სიმბოლიკით აღიარებულ ცხოველებთან ერთად

(ხარი, ცხვარი, ვეფხი, ლომი და ა.შ.), გაანალიზებულია და წარმოდგენილია ახლებური გააზრება „ვირის“ (ძვ.ქართ. კარაულის) სახარებისეული სიმბოლოსი, ვითარცა შრომისმოყვარეობის სათნოების სახე-სიმბოლოსი, კერძოდ: ყურადღება მახვილდება სახე-სიმბოლო „ვირის“ მძიმე შრომასთან ასოცირებაზე, რის საფუძველსაც იძლევა სახარებაში საგანგებოდ მითითებული – „ნაშობი კარაულისაგან“ (მათე 21,5). „კარაული“ აქ სწორედ მძიმედ ნაშრომ-ნაჯაფ ვირზე მიგვიტოთებს, ხოლო საკუთრივ „მძიმე შრომითა და ჯაფით“ მოიაზრება ადამიანის ღვთივობაძებულ შესაძლებლობათა

Georgian Ethnoculture and Aspects of Biblical-Ecclesiological Symbolism

The research presents the analytical study of Georgian biblical-ecclesiological aspects, in particular the inherent consistency of Georgian man's thinking that was formed through the peculiar perception and cognition of the Christian truth over the centuries. It shows how the fundamental and practical establishment of Christianity has been processed until today in our ethnic environment, which is discussed based on the diverse biblical trails in Georgia, such as various facts of perception of the "Tree of Life" ("Svetitskhoveli" (living pillar), "Dedabodzi" (central pillar), Holy Trees, "Gvergvi" and "Kalpiani Chichilaki" (Georgian traditional Christmas Trees, etc.).

Besides, the work represents the peculiar understanding of zoomorphic symbolism in a humanistic-cultural worldview, where together with animals recognized by early Christian symbolism (bull, sheep, tiger, lion, etc.), the adjusted concept of the Gospel symbol "donkey" (Ancient Georgian "Karauli") is analyzed and presented as a face-symbol of the virtues of diligence, namely: The research focuses on associating the face-symbol of "donkey" with hard work on the basis of "Born from a work animal" (Matthew 21,5), as utterly stated in the Gospel. The "work animal" here refers exactly to the donkey who had worked really hard, and in particular, "hard work and dedication" itself implies such a zeal for the maximum realization of man's God-given abilities, that the hardness of work is reflected in Christ, whose "yoke is easy, and burden is light" (Matthew 11,30).

მაქსიმალურად რეალიზებული იმგვარი შრომისმოყვარეობა, რისი მეოხებითაც შრომის სიმძიმე გარდაისახება ქრისტესმიერად, რომლის „უღელი ტკბილ არს, და ტვირთი სუბუქ არს“ (მათე 11,30).

თამარ ცაგარელი

საქართველოს შოთა რუსთაველის

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქ.თბილისის მერიის მუზეუმის

გაერთიანების სტრუქტურული ერთეული -

ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი

ttsagareli@tafu.edu.ge; tamaratsagareli@gmail.com

ანთროპოლოგია და თეატრი

როგორც ცნობილია, XX საუკუნის II ნახევრიდან ვითარდება კომპლექსი დისციპლინებისა, რომელთაც აერთიანებენ საერთო სათაურით - „ადამიანის ბიოლოგია“. იგი შეისწავლის ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და გენეტიკურ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმისა და სხეულის აგებულების ვარიაციებსა და განვითარებაზე. ამავე დროს, ეს პერიოდი ბევრი ახალი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებით აღინიშნა.

ფილოსოფიაში ასეთი ახალი დისციპლინებია: „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“, „აქსიოლოგია“, „კულტუროლოგია“, „განათლების ფილოსოფია“ და სხვა. დამოუკიდებელ დარგებად არსებობს სამეცნიერო ანთროპოლოგია, სოციოლოგიური ანთროპოლოგია, ეთნოლოგიური ანთროპოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

ფილოსოფიური დისციპლინების ჩამოყალიბების პარალელურად ყალიბდება ახალი, კერძო, სპეციალური მეცნიერებები. ერთ-ერთი ასეთი სპეციალური მეცნიერებაა „თეატრალური ანთროპოლოგია“, რომლის ფუძემდებელია ოდინის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი ეუჯენიო ბარბა.

ბარბასთვის თეატრი არა მხოლოდ სპექტაკლების შექმნის და წარმოდგენის ადგილი გახლდათ, არამედ ეს იყო მისთვის ლაბორატორია, თეატრალური ლაბორატორია, სადაც ის, თავის

Tamar Tsagareli
Shota Rustaveli
Theatre and Film Georgia State University;
Vakhtang Chabukiani Memorial House-Museum
of the Union of Tbilisi Municipal Museums.
ttsagareli@tafu.edu.ge; tamaratsagareli@gmail.com

Anthropology and Theater

As is known, since the second half of the 20th century, a complex of disciplines has been developing, which are united under the common title “Human Biology.” It will study the physiological, biochemical and genetic factors that influence the variations and development of the human body and body structure. At the same time, this period was marked by the formation of many new scientific disciplines.

Such new disciplines in philosophy are: “philosophical anthropology”, “axiology”, “cultural science”, “philosophy of education” and others. Scientific anthropology, sociological anthropology, ethnological anthropology, philosophical anthropology exist as independent fields.

Along with the formation of philosophical disciplines, new, private, special sciences are formed. One of these special sciences is “theatrical anthropology”, the founder of which is Eugenio Barba, one of the founders of the Odin Theater.

For Barba, the theater was not only a place to create and present plays, but it was a laboratory for him, a theater laboratory, where he, together with his colleagues, conducted practical exercises based on the theatrical traditions of different countries. “The desire to create a theatrical laboratory arose after I met Jerzy Grotowski and spent three years with him” - writes Barba. He was closely connected with Grotowski throughout his work. In his book “Grotowski in search of the lost theater”, Barba notes that the three years he spent with Gro-

თანამობრებთან ერთად, ატარებდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს, სხვადასხვა ქვეყნების თეატრალურ ტრადიციებზე დაყრდნობით. „თეატრალური ლაბორატორიის შექმნის სურვილი მას შემდეგ გამიჩნდა, წერს ბარბა, როცა გროტოვსკი გავიცანი და მასთან ერთად სამი წელი დავყავი“. იგი მთელი თავისი შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეჟი გროტოვსკისთან. მის წიგნში „გროტოვსკი დაკარგული თეატრის ძიებაში“ ბარბა აღნიშნავს, რომ გროტოვსკისთან გატარებული სამი წელი - ეს იყო მისი პროფესიონალად ჩამოყალიბების სამი წელი, ეს იყო მისი რეჟისორად დაბადების სამი წელი. „საოცარია, მაგრამ ის, რაზედაც მე ვოცნებობდი, რაც უტოპია მეგონა, გროტოვსკიმ თვალნათლივ დამანახა საკუთარი ექსპერიმენტებით. სწორედ ეს იყო მიზეზი, - წერს ბარბა, - რომ შექმნილიყო თეორიული სკოლაც, სადაც განვიხილავდით თითოეულ სავარჯიშოს, იმ პრაქტიკულ აღმოჩენებსა და მიგნებებს, რასაც ჩვენ სხვადასხვა ტრადიციიდან ვიღებთ და ვითვისებთ“. თეატრი, რომელსაც შეუძლია ელაპარაკოს თითოეულ მაყურებელს სხვადასხვა და გამჭრიახი ენით, არაა ფანტასტიკური იდეა, არც უტოპიაა. ჩვენთვის თეატრი აგებულია ხანგრძლივი სწავლების მეთოდზე, პრაქტიკულ და თეორიულ კვლევებზე დაყრდნობით.

towski were three years of his professional formation, these were the three years of his birth as a director. "It's amazing, but what I dreamed about, what I thought was utopia, Jerzy Grotowski clearly showed me through his own experiments. This was the reason, - writes Barba, - to create a theoretical school, where we would discuss each exercise, the practical discoveries and conclusions that we receive and assimilate from different traditions." A theater that can speak to each audience in a different and insightful language is not a fantastic idea. , it is not a utopia either. For me, the theater is built on a long-term teaching method, based on practical and theoretical studies.

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

maiatsertsvadze@yahoo.com

მიხეილ ჭავჭავაძის უბის წიგნაკები, როგორც საისტორიო წყარო

როგორც ცნობილია, დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჭავა-
ხიშვილი თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეც
გახლდათ და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი იყო საქართველოს ეროვნულ-
დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ
პარტიის მთავარ კომიტეტის წევრი, 1922-1924 წლებში შედიოდა
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში და აქტიურად
მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებაში.
მწერალი თავად იყო მომსწრე, მოწმე თუ მონაწილე ბევრი
თანადროული ეპოქალური ფაქტისა თუ მოვლენისა - ილია
ჭავჭავაძის მკვლელობა, საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადება, მისი უკუპაცია და ანექსია ბოლშევიკური რუსეთის
მიერ, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ ჭავჭავაძის ახლო ურთი-
ერთობა ჰქონდა თავის თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადო
მოღვაწეებთან, ისტორიულ პირებთან, ხელოვანებთან, საზოგა-
დოებისთვის ამა თუ იმ აქტივობით გამორჩეულ ადამიანებთან.
მან იცოდა მრავალი საგულისხმო ისტორია, ამბავი თუ ცნობა,
რომელთაც თავის უბის წიგნაკებში ინიშნავდა.

აღნიშნული უბის წიგნაკები ქართული დოკუმენტური პროზის
უნიკალური ნიმუშებია, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით იქ-
ცევს მეცნიერთა და მკითხველთა ყურადღებას. ისინი უაღრესად
მნიშვნელოვანია მწერლის მშემოქმედების სხვადასხვა ასპექტის
საკვლევადა და ფართოდ გამოიყენება ფილოლოგთა მიერ მისი
ტექსტების შესასწავლად.

*Pocket Notebooks by Mikheil Javakhishvili,
as a Historical Source*

As is known, the great Georgian writer Mikheil Javakhishvili was a prominent public and political figure and actively participated in the national liberation movement of the country. He was one of the founders of the National Democratic Party of Georgia and a member of the main committee of this party, in 1922-1924 he was a member of the Independence Committee of Georgia and actively participated in the preparation of the August 1924 uprising. The writer was a witness, witness or participant of many contemporary epochal facts and events - the murder of Ilia Chavchavadze, the declaration of independence of Georgia, its occupation and annexation by Bolshevik Russia, the August 1924 uprising, etc.

It should also be noted that Mikheil Javakhishvili had a close relationship with his contemporary political and public figures, historical persons, artists, and people distinguished by one or another activity for the society. He knew many important histories, stories and data, which he noted in his pocket notebooks.

The mentioned pocket notebooks are unique examples of Georgian documentary prose, which attract the attention of scholars and readers in many ways. They are extremely important for studying various aspects of the writer's work and are widely used by philologists to study his texts.

At the same time, pocket notebooks by Mikheil Javakhishvili can be considered as a kind of historical sources, in which there are abundant scattered materials for studying the history of Georgia, the Russian Empire, or some countries of Europe and Asia at that time,

ამავდროულად, მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკები შეიძლება განვიხილოთ ერთგვარ საისტორიო წყაროებად, რომლებშიც უხვადაა გაბნეული მასალები საქართველოს, რუსეთის იმპერიის თუ ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნის იმდროინდელი ისტორიის შესასწავლად და რომლებშიც მწერალი აფიქსირებს მეტად ღირებულ ცნობებს, დაკვირვებებსა და რეფლექსიებს განვითარებულ მოვლენათა თუ მათ მონაწილეთა ირგვლით.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი ჩვენი კვლევა ეძღვნება მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკების ამ მხარეს. იგი აქტუალურია დღევანდელ კონტექსტში, როცა ხდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ გაყალბებული უამრავი თემისა თუ დებულების უარყოფა თუ გადააზრება.

and in which the writer records valuable information, observations and reflections about the developed events and their participants.

Our research presented at the scientific conference is dedicated to this side of the pocket notebooks by Mikheil Javakhishvili. It is relevant in today's context, when numerous theses and statements forged by Soviet historiography are being rejected or reconsidered.

*თანაზიარების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის
(μετουσία, μετέχειν) შინაარსის შედარებითი ანალიზი
პლატონის, პლოტინოსისა და გრიგოლ ნოსელის
ფილოსოფიის მიხედვით*

ფილოსოფიური სწავლებისა, უმთავრესად კი, ანტიკური ბერძნული და ნეოპლატონური ფილოსოფიისა, თუ ნებისმიერი რელიგიური მოძღვრების განხილვისას, ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს ადამიანის „აბსოლუტთან“ (αὐτὸ τὸ ἔν) ზიარება და ამ ზიარების ბუნების გაგება წარმოადგენს. ყოველ ფილოსოფიურ დოქტრინაში ამ საკითხისადმი სპეციფიკური მიდგომები იკვეთება. მთელი ფილოსოფიური სისტემა სწორედ ზიარების საკითხში იყრის თავს და ვლინდება. ბერძნულ ენაში მეტაფიზიკურთან ადამიანის თანაზიარებისა თუ მისი ჭვრეტის გამომხატველი მრავალი ტერმინი შეიქმნა. ერთ-ერთი ასეთი ტერმინია „μετουσία“ და მისი მონათესავე: μετέχειν, μέθεξις, μετοχή, μεταλαμβάνω.

კვლევაში ყურადღება ტერმინ μετουσία-სა და მის მონათესავე სიტყვათა გამოყენების დიაპაზონსა და შინაარსზე გამახვილებული პლატონის, პლოტინოსისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებებში. ეს მოაზროვნეები ადამიანის „აბსოლუტთან“ თანაზიარების საკითხს ყველაზე ხშირად სწორედ ამ ტერმინით გამოხატავენ.

ამ ტერმინების განხილვისას აღნიშნული სამი ფილოსოფოსის ხსენება მნიშვნელოვანია, როგორც მოღვაწეობის ქრონოლოგიის, ასევე მათ მიერ თანაზიარების ნიუანსების გამოკვეთისა და, შესაბამისად, თავად ტერმინ μετουσία-ს განვითარების თვალსაზრისით.

კვლევის პირველ ეტაპზე ზიარების აღმნიშვნელ ტერმინთა

Comparative analysis of the content of the terminology denoting participation (μετουσία, μετέχειν) according to the philosophy of Plato, Plotinus and Gregory of Nyssa

One of the most important issues when discussing about philosophy, especially ancient Greek and Neoplatonic philosophy, is human participation with the “Absolute” (Gr. αὐτὸ τὸ ἔν) and the understanding of the nature of this participation. Each philosophical doctrine has specific approaches to this issue. The entire philosophical system converges and manifests itself in the issue of participation in “Absolute”.

Many terms were created in the Greek language expressing human participation with the Metaphysical or its contemplation. One such term is “μετουσία” and its cognates: μετέχειν, μέθεξις, μεταλαμβάνω.

In the research, attention is focused on the range and content of the term “μετουσία” in the works of Plato, Plotinus and Gregory of Nyssa. These thinkers express the issue of human participation in the “Absolute” most often with this term.

The mention of these three philosophers is important both from the point of view of the chronology of their work, as well as from the point of view of their highlighting the nuances of participation and, therefore, the development of the term “μετουσία” itself.

In this research, the etymology of the terms denoting participation was established: 1st there're terms connected to the verbs “ἔχω” and “λαμβάνω” and 2nd - “Μετ-ουσία”, “μέτ-ειμι”. In one case, the result of participation is not mutually (synergistically) active, but passive possession (Plato, Plotinus), and in the other case, synergistic being-possession. The third stage is the main point, in which the essen-

ეტიმოლოგია დადგინდა, რითაც ორი ჯგუფი გამოიკვეთა: 1-ელი – ტერმინები, რომლებიც დაუკავშირდა ზმნებს ჯგა და λαμψάνω და მე-2 – Μετ-ουσία, μέτ-ειμι. ერთ შემთხვევაში, ზიარების შედეგი არის არა ორმხრივ (სინერგიულად) აქტიური, არამედ პასიური ფლობა (პლატონი, პლოტინოსი), ხოლო მეორე შემთხვევაში, სინერგიული მყოფობა-ფლობა. მესამე ეტაპი კი ამოსავალია, მასში ავტორთა ფილოსოფიის არსებითი განსხვავებია გაანალიზებული.

პლატონისა და პლოტინის ფილოსოფიაში „თვითერთი“ განყენებული რაობაა, რომელსაც არ მიეწერება სამყაროს შექმნის ნებელობითი აქტი. შესაბამისად, მას არ აქვს ქმნილებასთან ორმხრივი კავშირი, თანამოზიარეობა. გრიგოლ ნოსელის ფილოსოფიაში კი „პირველსაწყისი“ პიროვნული რაობაა, ნებელობის მქონე. სწორედ ამიტომ, მასა და მოზიარეს, ასევე პიროვნებას შორის მყარდება ორმხრივი თანაზიარება. ეს პროცესები კი, სამივე ფილოსოფოსთან ერთი და იგივე ტერმინოლოგიით არის გამოხატული.

tial difference of the authors' philosophies is analyzed.

In the philosophies of Plato and Plotinus, the "One" is a sentient being to whom the willful act of creating the world is not ascribed. Therefore, he doesn't have a mutual connection with the creation, co-participation. In Gregory of Nyssa's philosophy, the "One" is a personal being, with will. That is why mutual cooperation is established between him and the sharer, as well as the person. These processes are expressed with the same terminology by all three philosophers.

მამუკა (მონაზონი იოანე) ცუხიშვილი

საქართველოს საპატრიარქო

mamukacuxishvili@gmail.com

IV საუკუნის I მეოთხედის ქართლის სამეფო და ქრისტიანი დედები

ქრისტიანობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ადამიანების ცნობიერებაში. მან განსაზღვრა მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის ფასეულობები და სათავე დაუდო ჰუმანურ ღირებულებებს. მრავალგზის დევნის მიუხედავად, ქრისტიანობა იდგა ურყევად და მტკიცედ, რამაც განაპირობა მრავალი სახელმწიფოს და ერის ბედი. შექმნა და ჩამოაყალიბა უამრავი ხალხის ფიზიონომია.

ქართლის მეფის მირიანის და კაბადოკიელი ქალწულ ნინოს უდიდესი ძალისხმევით, IV საუკუნის I მეოთხედის ქართლის სამეფოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ამ უმნიშვნელოვანესი აქტით, ქართლი გახდა ქრისტიანული ევროპის განუყოფელი ნაწილი და ამ უდიდეს საშვილიშვილო საქმეში ქრისტიანი დედების როლი განუსაზღვრელია.

სწორედ მათი ღვაწლია წარმოჩენილი ჩვენს წერილში, რომელიც ემყარება საისტორიო, საარქივო და ხელნაწერ დოკუმენტებს.

Mamuka (monk Ioane) Tsukhishvili

Patriarchate of Georgia

mamukacuxishvili@gmail.com

Kingdom of Kartli and Christian mothers of the first quarter of the 4th century

Christianity played a decisive role in people's consciousness. He defined the values of world civilization and culture and laid the foundation for humane values. Despite many persecutions, Christianity stood steadfast and determined, which determined the fate of many states and nations. He created and shaped the physiognomy of many people.

With the great efforts of the Kartli king Mirian and the Cappadocian virgin Nino, Christianity was declared the state religion in the Kartli kingdom in the first quarter of the 4th century. With this most important act, Kartli became an integral part of Christian Europe, and the role of Christian mothers in this great noble cause is undefined.

It is their merits that are presented in our letter, which is based on historical, archival and manuscript documents.

ივანე წერეთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane.tsereteli@tsu.ge

საქართველო დასავლეთსა და რუსეთს შორის: საჯარო დიკურსის დინამიკა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

ნაშრომის მიზანია, ვიკვლიოთ რა გავლენას ახდენს უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია საქართველოში პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის პროცესზე, რასაც საჯარო დისკურსის დინამიკის ანალიზის საფუძველზე ვაჩვენებთ. ნაშრომის სავარაუდო საკვლევი კითხვები შემდეგნაირად გვესახება:

1. როგორ და რატომ აისახება ომის პერიპეტეიები საჯარო დისკურსის განმსაზღვრელ ძირითად ნარატივებში?
2. რა გავლენას ახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ტრანსფორმაციაზე პროდასავლური და პრორუსული იდენტობების დაპირისპირების თვალსაზრისით?

საკითხის გააზრებისათვის ვეყრდნობით კულტურული ტრავმის თეორიებს, კერძოდ ალექსანდრე ასმანის კონცეფციას კულტურული ტრავმის რეზონანსის შესახებ. მიგვაჩნია, რომ რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოსთვის იქცა ერთგვარ რეზონანსულ მოვლენად, რომელიც აცოცხლებს მეხსიერების ხატებს, ემოციებს, მნიშვნელობებს. ახალი მოვლენა აღვიძებს ძველ, წარსულში არსებულ სტიმულს - კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მეორე მხრივ კი, ეს კონფლიქტები, როგორც საზოგადოების ცნობიერებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული კულტურულ ტრავმები, განსაზღვრავს და ქმნის ახალი მოვლენის აღქმის ჩარჩოს. ტრავმის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ვინ არის მტერი,

ტრავმული მოვლენების გააზრება დაკავშირებულია სახელმწი-

Ivane Tsereteli
Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Ivane.tsereteli@tsu.ge

*Georgia between the West and Russia:
The Dynamic of Public Discourse
in the Light of the Russian-Ukrainian War*

The research aims to study the influence of the Russian intervention in Ukraine on the political and cultural transformation of Georgia, which will be demonstrated through the analysis of the dynamics of the public discourse which reflect the changing political tendencies. The study will argue that narratives influence the attitudes of the wider strata of society and have an impact on the changes of discourses in terms of the pro-western and pro-Russian orientations. This plays an important role in the definition of the directions of Georgia's political and cultural transformation.

Since gaining its independence, the pro-Western course of Georgia seemed to have no alternative, and the pro-Russian orientation could not compete with it. The intervention of Russia in Ukraine activated the “perspectives” of Georgia's returning back to the Russian sphere of influence. It should be kept in mind that the conflicting narratives are not only the text with a political significance but the expression of cultural identity as well. The internal contradictions in the Georgian reality connected to the Russia's war in Ukraine falls within the paradigm of Francis Fukuyama on the contemporary identity politics and the struggle for recognition as long as the clash of the Western and anti-Western directions is the conflict of different political and value systems. The internal political reality of Georgia reflects the process of the clash of identities at the margins of different values expressed through the Russian-Ukrainian War.

ფოებრივ-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ მსჯელობასთან. ომის შედეგად გააქტიურებული ძალები ქართულ საჯარო დისკურსში ქმნიან პოლიტიკურად მოტივირებულ ნარატივებს. ამ ნარატივებში შერჩეული მოვლენებისა და დაგეგმილი პოლიტიკური დისკურსის მიზემ-შედეგობრივი დაკავშირების შედეგად კი იქმნება სასურველი წესრიგი. პოლიტიკურად მოტივირებული ნარატივები პარალელურად წარმოადგენს კონფლიქტური იდენტობების ნარატივებს, რადგან მათ საფუძველზე განისაზღვრება როგორ აღიქვამს საქართველო საკუთარ ფიზიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ადგილს რუსეთ-უკრაინის ომით შექმნილ თანამედროვე რეალობაში, როგორ სურს, რომ აღიქმებოდეს „სხვების“ მიერ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პროდასავლური კურსი უალტერნატივო ჩანდა და პრორუსული ორიენტაცია კონკურენციას ვერ უწევდა. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციამ რუსეთის გავლენის სფეროში საქართველოს დაბრუნების „პერსპექტივები“ სამიში გახადა.

ალექსანდრე ჭულუხაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
a.chulukhadze@ug.edu.ge

ირანული წარმოშობის სამხედრო ტერმინოლოგია ქართულში

საქართველოსა და ირანის მრავალსუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების განმავლობაში ირანული წარმოშობის სხვადასხვა მნიშვნელობის ასობით ლექსიკური ერთეული შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ენაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამხედრო-საომარ საქმესა და მასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან ნასესხობებს, რომელთა ანალიზიც, არსებული ისტორიული წყაროების პარალელურად, გარკვეულწილად უფრო ღრმა წარმოდგენას გვიქმნის ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ისტორიულ-პოლიტიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ სფეროში.

Alexander Chulukhadze

The University of Georgia

a.chulukhadze@ug.edu.ge

Iranian origin military terminology in Georgian

During the centuries-old historical-cultural relations between Georgia and Iran, hundreds of different meanings Iranian origin lexical units became established in the Georgian language. A special place among them is loanwords of military affairs and related themes. The analysis of Iranian loanwords, along with existing historical sources, gives us a somewhat deeper understanding of aspects of the Georgian-Iranian relations in the historical-political and military-administrative spheres.

*საისტორიო-ფოლკლორული და წერილობითი
წყაროები დიმიტრი ფურცელაძის მიერ 1863 წელს
შედგენილ სახელმძღვანელოში*

დიმიტრი ფურცელაძე ცნობილი პედაგოგი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, საზოგადო, მოღვაწე, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ავტორ-შემდგენელია წიგნისა — „ქართული ანბანი და წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხთათვის“.

წიგნის მნიშვნელობა უდიდესი იყო მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის, რადგან რუსული რეფორმები ჯერ არ იყო საქართველოში გატარებული და დაბალი სოციალური ფენებისთვის სასკოლო განათლების მიღება რთული იყო. ამ წრის სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები ხშირად თვითგანვითარებით ეუფლებოდნენ ცოდნას და ჭირდებოდათ სახელმძღვანელო, რომელშიც შეტანილი იყო ყველა დარგის თანამედროვე მიღწევები.

ფურცელაძის სახელმძღვანელო უნივერსალური იყო, მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას: ენას, ლიტერატურას, ბუნებისმეტყველებას, მათემატიკა-ფიზიკას, გეოგრაფიას, ისტორიასა და სხვ. სწავლების მეთოდი ისე იყო შერჩეული, რომ მოწაფეს ანბანიდან უნდა დაეწყო, შეესწავლა ზომა-წონის, ფულის, სიგრძის ერთეულები, ურთიერთობა ადამიანებთან. ამ სწავლებიდან კარგად ჩანს ჩვენში ამ დროს არსებული ფეოდალური იდეოლოგია და შუასაუკუნეობრივი სქოლასტიზმი, რაც განათლების პროცესს ჩაკეტილს ხდიდა. მიუხედავად ამისა, წიგნი გამორჩეულია მოწაფეთათვის კარგად შერჩეული საისტორიო ფოლკლორული მასალებით, წყაროებით, როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“, ასევე იმ მიმოწერიდან, რაც ქართველ მეფეებსა და საზოგადოების წევრებს ჰქონდათ რუს მეფეებთან. ზოგიერთი მათგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად უცნობია და თავისი შინაარსით

*Historical-folkloric and written sources in the textbook
compiled by Dimitri Purtseladze in 1863*

Dimitri Purtseladze - outstanding educator, historian, archaeologist, public figure, chairman of the Caucasian Censorship Committee – is the author and compiler of the textbook “Georgian alphabet and textbook for illiterate people”.

The book was of great importance in the 1860s, as the Russian reforms had not yet been implemented in Georgia, and school education was unavailable for the Georgians representing lower social classes. Young people from these classes, who aspired to learn and acquire knowledge, were often self-educated and needed a textbook covering latest advances in all fields and subjects.

The textbook compiled by Dimitri Purtseladze was universal, as it included several directions: language, literature, natural sciences, mathematics and physics, geography, history, etc. The teaching method selected enabled students to start by studying the alphabet, and move to study the units of weight, currency units, the metric system of measurement, and how to interact and communicate with people. This textbook clearly shows the feudal ideology and medieval scholasticism prevailing in Georgia at that time and setting rigid curbs on the process of education. Nevertheless, the textbook is distinguished by historical-folkloric material and sources selected for students from “The Georgian Chronicles” and the correspondence between Georgian kings and public figures, on the one hand, and Russian emperors, on the other hand. Some of the latter had been completely unknown in Georgian historiography whereas they prove to be of particular interest with regard to their content. In this respect, the letters com-

საინტერესო. ამ მხრივ გამორჩეულია თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ შედგენილი და გაგზავნილი წერილები მეფე _ალექსი მიხეილის ძე რომანოვთან. წერილების შესახებ ინფორმაცია მოიპოვა პოეტმა რაფიელ ერისთავმა თინეთის მაზრაში ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერის დროს. მან პეტერბურგში მოღვაწე ფრანგ მეცნიერს _ მარი ბროსეს, რომელსაც პირადად იცნობდა, თხოვა მოეძებნა სათანადო არქივებში ხსენებული წერილები. ბროსემ მონახა და გადმოუგზავნა. ერისთავს 1854 წელს ჯერ „კავკაზში“ გამოაქვეყნა ეს წყაროები, შემდეგ კი, 1855 წელს, კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების მესამე ტომში შეიტანა. ამ წერილების ქართული ვარიანტი დიმიტრი ფურცელაძემ პირველად დაბეჭდა 1863 წელს გამოცემულ, ზემოთ დასახელებულ სახელმძღვანელოში. წერილებს, წიგნში შეტანილ სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად, დიდი „მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლისათვის.

posed and sent by the Tushetians, the Pshavs and the Khevsurs to Tsar Alexis, son of Michael Romanov, are noteworthy. Prince Raphael Eristavi, Georgian poet, obtained the information about the letters while collecting ethnographic materials in Tianeti district. He asked Marie Brosset, a French scholar working in St. Petersburg, whom he knew personally, to find the letters in the archives. Marie Brosset found the letters and sent them to Prince Raphael Eristavi. In 1854, Prince Raphael Eristavi first published these letters in the newspaper "Kavkaz" ("The Caucasus") and later, in 1855, entered them in the third volume of the works published by the Geographical Society of the Caucasus. The Georgian versions of these letters were first introduced via the aforementioned textbook published in 1863 by Dimitri Purtseladze. The letters, along with other historical sources included in the textbook, are of great importance for the study of the relations between Russia and Georgia.

ზურაბ ხუციშვილი

საქართველოს შოთა რუსთაველის

თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

z.khutso72@gmail.com

საქართველო და კავკასია ქართულ კინემატოგრაფში

ნაშრომში საუბარი იქნება საქართველოს და კავკასიის ასახვაზე ქართულ კინემატოგრაფში. კავკასია რომლის შემადგენელი ნაწილიც არის საქართველო ძალიან მრავალფეროვანია, კვლევის მიზანია შესწავლილი იქნეს თუ რამდენად საინტერესოდ შეძლო ქართულმა კინომ ამ მრავალფეროვნების ჩვენება.

Zurab Khutsishvili
The Shota Rustaveli
Theatre and Film
Georgia State University
z.khutso72@gmail.com

Georgia and the Caucasus in Georgian Cinema

The paper will talk about the depiction of Georgia and the Caucasus in Georgian cinematography. The Caucasus, of which Georgia is a constituent part, is very diverse, the purpose of the study is to study how interestingly Georgian cinema was able to show this diversity.

ედიშერ ჯაფარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

jafaridzeedo@yahoo.com

ალექსანდრე ნიკურაძე - კავკასიის კონფედერაციის იდეის შესახებ

მეოცე საუკუნის 20-30 -იან წლებში ერთიანი და დამოუკიდებელი კავკასიის იდეამ, რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შეკავების მიზნით ერთგვარი განვითარება პოვა პრომეთეისტული მოძრაობის ჩამოყალიბებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა არარუსი ემიგრანტული ანტიბოლშევიკური ორგანიზაციის კოორდინაციის საფუძველზე კრემლის საგარეო-პოლიტიკური ექსპანსიისთვის წინააღმდეგობის გაწევას. მართალია მათი გეგმები დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა, მაგრამ პრომეთეისტული მოძრაობის წიაღში წარმოშობილმა იდეებმა კავკასიის ხალხთა მჭიდრო რეგიონალური ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ დღემდე შეინარჩუნეს აქტუალობა.

*Aleksandre Nikuradze-about the idea of the Caucasus
Confederation*

In the 20s and 30s of the 20th century, the idea of a united and independent Caucasus, in order to restrain Russia's imperialist intentions, found a kind of development in the formation of the Promethean movement, which aimed to resist the Kremlin's foreign-political expansion based on the coordination of all non-Russian émigré anti-Bolshevik organizations. Although their plans could not be implemented due to independent reasons. But the ideas about the importance of the close regional integration of the peoples of the Caucasus, originating in the heart of the Promethean movement, have retained their relevance to this day.

In the period after the Second World War, A Nikuradze actively participated in the geopolitical processes of the world (the creation of the new European continent on the so-called geopolitical chessboard and their subsequent arrangement), among which the project of the Caucasus Confederation is worth noting. Which provided for Georgia to become the leader in the Caucasus region, with the German protectorate.

ლევან ჯიქია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ljikia123@gmail.com

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ შედგენილი უცნობი ნაშრომი „ЛАЗИСТАН. КРАТКИЙ ОЧЕРК КРАЯ“

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივის სიმონ ჯანაშიას ფონდში ინახება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ რუსულ ენაზე შედგენილი უცნობი ნაშრომი „ЛАЗИСТАН. КРАТКИЙ ОЧЕРК КРАЯ“. წიგნი მოიცავს მცირე ფორმატის 49 გვერდს. ყდაზე გაკეთებული მინაწერიდან ირკვევა, რომ ნაშრომი მომზადდა კავკასიის ფრონტის პოლიტიკური მიმართულების დაკვეთით. წიგნის გამოცემის ადგილად ქ. თბილისია მითითებული, გამოცემის წლად კი - 1941 წელი. წიგნზე ტირაჟი არ ფიქსირდება, სავარაუდოდ მისი მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი დაიბეჭდა.

წიგნს ბოლოში ერთვის ჭოროხის, რიზისა და ტრაპიზონის ვილაიეთების რუკა.

წიგნში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ლაზეთის საზღვრები; ბუნება; კლიმატი; მოსახლეობის რაოდენობა; გზები; ქალაქები; ნარკვევი ლაზეთის ისტორიიდან; ადგილობრივი მოსახლეობის ენა; ბუნებრივი რესურსები; ეკონომიკა; ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა; ლაზებში არსებული ნაციონალური მოძრაობა.

გარდა იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე უცნობი იყო ამ წიგნის არსებობის შესახებ, ის მნიშვნელოვანია სხვა გარემოების გათვალისწინებითაც - აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული მიწების საკითხით გაცილებით ადრე დაინტერესდა, ვიდრე ეს დღემდე იყო ცნობილი.

*Unknown Work by Academician Mr. Simon Janashia
„ЛАЗИСТАН. КРАТКИЙ ОЧЕРК КРАЯ“*

The unknown Work „ЛАЗИСТАН. КРАТКИЙ ОЧЕРК КРАЯ“ composed by Academician Mr. Simon Janashia in Russian language has been kept in Simon Janashia Foundation of the Central History Archives of the National Archives of Georgia. The book includes 49 small format pages. From the inscription on the cover of the book, it is clear that the work has been prepared by the political order of the Caucasus Front. Tbilisi is indicated as the publication place of the book, and the year of publication is 1941. The circulation of the book has not been recorded on the book, probably only a few copies had been printed.

The maps of the Chorokhi, Rizi, and Trabzon vilayets (provinces) are attached at the end of the book.

The book discusses such issues as Lazeti borders, nature, climate, the number of the population, roads, cities, the study of Lazeti history, the language of the local population, natural resources, economics, territorial-administrative division, the National Movement of the Laz.

Apart from the fact that the existence of this book was unknown in Georgian historiography until today, it is significant in terms of other circumstances as well – it turned out that the political leadership of the Soviet Union got interested in the issue of Georgian lands within Turkey much earlier than it was known until now.

თინათინ ჯიქურაშვილი
სუ თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
t.jikurashvili@ug.edu.ge

ამოსის ტექსტის გელათური ვარიაციები

კვლევა [PHDF-22-1325] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

ჩვენამდე მოღწეული მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტების შემცველი ქართული ხელნაწერები ორ რედაქციულ ჯგუფს ქმნიან: ოშკურსა და გელათურს. ოშკური რედაქცია წარმოდგენილია ოშკურ (Ivir.Geo.1) და იერუსალიმურ (Jer.7/11) ბიბლიაში. გელათურ რედაქციად კი მიჩნეულია XII-XIII საუკუნეების გელათის კატენებიან ბიბლიაში (A-1108) შესული კიმენი, ასევე საბას (იგივე მცხეთური) ბიბლიის ტექსტი, რადგან, ცნობილია, რომ საბა წინასწარმეტყველთა წიგნებზე მუშაობისას სწორედ გელათის ბიბლიას ეყრდნობოდა. ეს ორი ტექსტი (ოშკური და გელათური) ერთმანეთისაგან ბევრი მახასიათებლით განსხვავდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მთარგმნი დედნისადმი მთარგმნელთა განსხვავებული მიდგომითაა განპირობებული: ცნობილია, რომ გელათის სკოლაში მთარგმანი უკვე თეორიულ პრინციპებსაც ეფუძნებოდა და მთარგმნელები ამ პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას ცდილობდნენ. ამან კი, ცხადია, გავლენა იქონია ტექსტის ენობრივ მახასიათებლებზეც.

ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროში სწორედ მეორე – გელათური მთარგმანი მოექცა. როგორც აღმოჩნდა, გელათის სამწიგნობრო-ლიტერატურულ სკოლაში მცირე წინასწარმეტყველების ტექსტებზე მუშაობა კატენებიანი ბიბლიის შექმნით არ დასრულებულა. ისინი ასევე შევიდა მეტაფრასულ კრებულებში: გელათის კატენებიანი

Gelati variations of Amos

This research [PHDF-22-1325] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

Georgian manuscripts containing the texts of Minor Prophets maintained up to present compose two edition groups: Oshki and Gelati editions. Oshki edition is presented in Oshki (Ivir.Geo.1) and Jerusalem (Jer.7/11) Bible and as Gelati edition there is regarded the text (keimenon) included into Gelati bible with catenae dated back by 12th – 13th centuries (A-1108), and the text of Saba (i.e. Mtskheta) Bible.

These two translations (Oshki and Gelati Versions) differ from one another by numerous characteristics, and this is primarily conditioned by the different approaches of translators to the translated texts: it is known that in Gelati school striving to precision of the text was at the top level and naturally, this has impacted the linguistic characteristics of the text.

Within the area of interest of our research there was the latter, Gelati translation. It turned out that work on the texts of Minor Prophets at Gelati school was not ended by rewriting of the Bible with catenae and these texts were included also into the metaphrase collection (Kutaisi Historical Museum, K-1).

In the paper, will be discussed Gelati versions of Amos – both: the text of Gelati Catenae Bible and the text of metaphrastic collection. Will be analyzed their relationship with Oshki version and the principles on which the changes of the text are based.

ბიბლიის გარდა, ამოსის ტექსტი თეოდორიტე კვირელის განმარტებებითურთ შესულია ასევე გელათური წარმოშობის მეტაფრასულ კრებულში (K-1).

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ გელათელი მთარგმნელების მიერ ამოსის ტექსტში შეტანილ ცვლილებებზე. ერთი მხრივ დავაკვირდებით რა იცვლება ოშკურ რედაქციასთან მიმართებით, მეორე მხრივ კი გავაანალიზებთ თვით გელათური ვერსიების ურთიერთმიმართებებს.

თინათინ ჯიქურაშვილი
სუ თამაზ ბერაძის სახელობის
ქართველოლოგიის ინსტიტუტი
t.jikurashvili@ug.edu.ge

*„დედათა ბუნებად იწრო არს“ –
„შუშანიკის წამების“ ერთი ფრაზის განმარტებისათვის*

„ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნებად იწრო არს“ – ურჩევს სპასრსი კაცი ვარსკენს, აცნობებს რა ამბავს შუშანიკის „განდგომისა“ და სასახლის დატოვების შესახებ. „დედათა ბუნების იწროება“ მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული. ყველაზე ძველი და, შეიძლება ითქვას, ტრადიციული გაგებაა: იწრო = ვიწრო; ე.ი. ქალების ბუნება ვიწროა, შეზღუდულია. მეორე მოსაზრებით „წამების“ ამ ფრაზაში ნაგულისხმევია ქალების ნაზი, სათუთი ბუნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც არ უნდა ვეცადოთ ამ ფრაზის განმარტებას, ეს მაინც ჰიპოთეტური მსჯელობა იქნება, რადგან ტექსტში ამ ფრაზასთან დაკავშირებით დამატებით არანაირი კომენტარი არაა მოცემული და ნებისმიერი ახსნა შესაძლოა სუბიექტურ მიდგომად მოგვეჩვენოს. თუმცა მოხსენებაში შევეცდებით იწროს ძველი ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული მნიშვნელობების ანალიზის გზით „წამების“ ტექსტში დადასტურებული ფრაზის განმარტებას და ახლებური ინტერპრეტაციის შემოთავაზებას.

*“Women’s mind is narrow” – Defining a phrase
from “Martyrdom of The Holy Queen Shushanik”*

“As I am informed, your wife has left you. I would advise you not to speak harsh words to her since a women’s mind is narrow [იწრო [itsro]]” – a Persian man advises Varsken the Pitiakhsh, after learning about Queen Shushanik being rebellious and having left the palace. The word “იწრო [itsro]” in this phrase has been interpreted by researchers in different ways. The oldest and, presumably, the most traditional understanding of the word “იწრო [itsro]” is: narrow-minded = unreasonable; i.e., women are narrow minded, unreasonable. According to other researchers, the gentle, tender nature of women is implied in this phrase from “Martyrdom of The Holy Queen Shushanik”.

We should note that no matter how hard we try to explain the meaning of this phrase, it will still be a hypothetical explanation, because there is no additional comment regarding this phrase in the text, and any explanation may seem like a subjective approach. However, in our presentation, we will try to explain and define the word given in the text of “Martyrdom of The Holy Queen Shushanik” through the analysis of the meaning of the word “იწრო [itsro]” included in other ancient Georgian written texts and propose a new interpretation of the phrase.

Salih UÇAK

The University of Georgia
salihucak21@gmail.com

“Georgia” in Dede Qorqud Stories, Koroglu Epic and Evliya Celebi’s Seyahatname

Georgia is an important country located in the heart of the Caucasus, strategically at the intersection of Asia and Europe. Georgians have been in constant communication and interaction with the Turks throughout history due to their location. There are many studies on the dimensions of this communication and interaction and how it affects history. However, these studies were mostly conducted on a single case or phenomena. In this study, this communication and interaction, which we mentioned with a holistic perspective, is discussed comparatively, based on three important historical works about “Georgia”. Dede Qorqud Stories, Koroglu Epic and Evliya Celebi’s Seyahatname have been analyzed in the context of “Georgia” and the features mentioned in the works were re-evaluated with some criteria. While more struggle is mentioned in Dede Qorqud Stories and Koroglu Epic, especially Megreles and Abkhazians are mentioned in Seyahatname. In this study, there is a careful comparison of these three separate works.

(სალიჰ უჩაკი / საქართველოს უნივერსიტეტი - „საქართველო“
დედე ჟორჯეთის თქმულებები, ჟორჯოლის ეპოსსა და ევლია
ჩელების საიათნამეში)



საქართველოს უნივერსიტეტის
ბ ა მ ო მ ს ე მ ლ ო ბ ა

© დაიბეჭდა საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში.

მისამართი: 77ა, მ. კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელ.: +995 032 2 55 22 22
ელ. ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge